| | |
|---|---|
| **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კოდი:** | |
| **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება:** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | |
| **ფაქტიური მისამართი და ტელეფონი:** თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, # 1, 0179, ტელ: 2253971 | |
| **ვებგვერდი:** www.tsu.edu.ge | |
| **ელ.ფოსტა:** rector@tsu.ge, chancellery@tsu.ge | |
| **საკონტაქტო პირი (გვარი, სახელი, ტელეფონი, ელ.ფოსტა): თამარ ვეფხვაძე, ტელ: +995 32 229 08 15, ელ-ფოსტა: tamar.vepkhvadze@tsu.ge** | |

| სამაგისტრო პროგრამის დასახელება | მიზანი | სწავლის შედეგი | კრედიტების რაოდ. | ინფორმაცია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ |
|---|---|---|---|---|
| ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი | | | | |
| ფილოსოფია | **პროგრამა მიზნად ისახავს** ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულების ერთ-ერთი ფუნდამენტური დარგის ფილოსოფიის სპეციალისტების მომზადებას, რომელთა თეორიული, საკონსულტაციო და საექსპერტო, აგრეთვე პრაქტიკული საქმიანობა მომავალში ხელს შეუწყობს ქვეყნაში დემოკრატული ღირებულებების დამკვიდრებას. პროგრამის მიზანია თანამედროვე სამყაროში მიმდინარე გლობალური აკულტურაციის პროცესების, მულტიკულტურული გარემოს, კულტურათშორის | **ცოდნა და გაცნობიერება**<br>კურსდამთავრებულმა იცის:<br>• წამყვანი თეორეტიკოსების ნაშრომები,<br>• კულტურისა და ზნეობის ფილოსოფიის, პოლიტიკური ფილოსოფიისა და გამოყენებითი ეთიკის ძირითადი თეორიები და პრინციპები,<br>• ფილოსოფიური დისკურსების ფუნქციონირების თავისებურებები, მათი მსგავსება–განსხვავება, ფორმირებისა და განვითარების ისტორიულ–პოლიტიკური პირობები<br>• ესთეტიკურის და ტრანსესთეტიკურის, მორალისა და პოლიტიკურის, ასევე კულტურის არტეფაქტები | 120 | 2012 წლის 26 ივლისის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება # 259 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ინტენსიური ურთიერთობების გამომწვევი და მორალური ღირებულებათა გადაფასების გამომწვევი მიზეზების განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ფუნდამენტური ცოდნის გადაცემა შემდეგი მიმართულებებით: კულტურის ფილოსოფია, პოლიტიკური ფილოსოფია, ზნეობის ფილოსოფია და გამოყენებითი ეთიკა. სამაგისტრო პროგრამის თითოეულ სასპეციალიზაციო მოდულში ექსისტენციის ტრანსცენდირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ონტოლოგიური მოდუსია წარმოდგენილი, რომელთა გათვალისწინების გარეშე ფილოსოფია ვერ შეძლებს საკუთარი მოწოდების რეალიზებას და სამყაროში ადამიანის ადგილის სრულფასოვან განსაზღვრას. პროგრამის ფარგლებში გაანალიზდება გლობალიზაციის ძირითადი მახასიათებლები, მოხდება თანამედროვე სამყაროში იდენტობის მნიშვნელობის გაცნობიერება. თვითმყოფადობის და მასზე სხვა კულტურების გავლენების პოზიტიური და ნეგატიური მხარეების გაცნობიერება; პროგრამის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა პოსტმოდერნული პოსტულატების სისტემატურ და კრიტიკულ გააზრებას. ტრადიციული და თანამედროვე | • განსხვავებულ კულტურათა ,,ენები’’<br>• პოლიტიკურ და მორალურ ღირებულებათა სისტემები და გაცნობიერებული აქვს მათი კონცეპტუალიზაცია.<br>• აცნობიერებს თანამედროვე ფილოსოფიის ძირითად ტენდენციებსა და გამოწვევებს,<br>• იცის ფილოსოფიური კვლევის თანამედროვე მეთოდები;<br>• კურსდამთავრებულს აქვს კულტურის ფილოსოფიის, გამოყენებითი ეთიკის, ზნეობისა და პოლიტიკური ფილოსოფიის სფეროების ღრმა და სისტემური ცოდნა, რაც მას ახალი იდეების შემუშავებისა და ცალკეული პრობლემის გადაჭრის საშუალებას მისცემს.<br>• მაგისტრს აქვს ერთ-ერთი ევროპული ენის (ინგლსურის/ გერმანულის /ფრანგულის) ცოდნა B2 დონეზე და შეუძლია მისი გამოყენება სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი მიზნებისთვის.<br><br>**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი**<br>კურსდამთავრებულს შეუძლია<br>• კომპლექსურად პრობლემების გადაჭრის ორიგინალური გზების მოძიება. კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; სტრატეგიული დაგეგმარება;<br>• სინთეზური და ანალიტიკური, ჰერმენევტიკული და ფენომენოლოგიური მეთოდების საშუალებით კლასიკური და პოსტმოდერნული პარადიგმებს შორის არსებული საპირისპირო (წინაღმდეგობრივი) | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | მეთოდოლოგიების გამოყენებით განხორციელდება ქართული და დასავლური (ევროპული და ამერიკული) ფილოსოფიური აზრის კვლევა.<br>სამაგისტრო პროგრამა იმ ფილოსოფიური მიმდინარეობების, კონცეფციების, სტრატეგიების შესწავლაზეა ორიენტირებული, რომელთა გარეშეც დღევანდელ ინტელექტუალურ ვითარებაში წარმოუდგენელია ფილოსოფიური პრობლემების თემატიზირება და გადაწყვეტა.<br>დეტალურად იხ.<br>http://www.tsu.edu.ge/data/file_db/faculty_humanities/ma_2012Program%20filosofia.pdf | საფუძვლების დამოუკიდებელი კვლევა,<br>• ფილოსოფიის უახლესი კვლევის ტაქტიკების გამოყენებით დარგების მრავალფეროვნების, მათი უნიკალობის და თვითღირებულების ანალიზი<br>• საქართველოს მულტიკულტურულ რეალიაში წარმოშობილი კულტუროლოგიური, პოლიტიკური-ეთიკურ–ზნეობრივი გამოწვევების, პრობლემების და დილემების ანალიზი და მათ გადაწყვეტაზე ორიენტირებული ქმედებები.<br>• მაგისტრს შეუძლია ერთ-ერთი ევროპული ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) სასპეციალიზაციო სფეროში დარგობრივი სამეცნიერო ლიტერატურის კითხვა და დამუშავება, ფლობს ასევე სამეცნიერო ხასიათის ტექსტის შედგენის (საკონფერენციო მოხსენება, სამეცნიერო სტატია და სხვ.) და დარგობრივი პრეზენტაციის მომზადების უნარს შესწავლილი ენის შესაბამის უცხოენოვან აუდიტორიაში.<br><br>**დასკვნის უნარი**<br>კურსდამთავრებულს აქვს უნარი:<br>• სტრატეგიული ანალიზის;<br>• კულტურისა და პოლიტიკური ფილოსოფიის, ზნეობის ფილოსოფიისა და გამოყენებითი ეთიკის კრიტერიუმების იდენტიფიცირების;<br>• კულტურისა და პოლიტიკური ფილოსოფიის, გამოყენებითი ეთიკის ველზე არსებული მაგალითებისა და ზნეობის ფილოსოფიის გამოცდილების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნისა | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | და გადაწყვეტილების მიღების;<br>• ლოკალური, რეგიონული და გლობალური კონტექსტის გააზრების, კრიტიკული ანალიზის და შესაბამისი არგუმენტირებული დასკვნების გაკეთების;<br>• კულტურისა და პოლიტიკური ფილოსოფიის, ზნეობის ფილოსოფიისა და გამოყენებითი ეთიკის სფეროში დილემების, საფრთხეების, ძლიერი და და სუსტი მხარეების შეფასების;<br>• კულტურისა და პოლიტიკური ფილოსოფიის, ზნეობის ფილოსოფიისა და გამოყენებითი ეთიკის სფეროსთან დაკავშირებული ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის;<br><br>**კომუნიკაციის უნარი**<br>კურსდამთავრებულს აქვს უნარი:<br>• ჩაერთოს დისკუსიაში, კულტურის ფილოსოფიის, პოლიტიკისა და ზნეობის ფილოსოფიისა და გამოყენებითი ეთიკის პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით,<br>• შეუძლია აუდიტორიის კითხვებზე მკაფიოდ დასაბუთებული, არგუმენტირებული პასუხის გაცემა;<br>• შეუძლია საჯარო გამოსვლის ტექსტის, სამეცნიერო ნაშრომის ქართულ და უცხო ენაზე შექმნა აკადემიური პატიოსნების სტანდარტების დაცვით;<br>• შეუძლია ქართულ და უცხო ენაზე პრეზენტაციის წარმართვა;<br>• აქვს სწავლისა და კვლევის პროცესში საინფორმაციო ტექნოლოგიების უახლესი მიღწევების გამოყენების უნარი; | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **სწავლის უნარი**<br>კურსდამთავრებულს აქვს უნარი:<br>• როგორც პირველადი, ისე მეორადი საინფორმაციო წყაროებიდან, მათ შორის ინტერნეტის გამოყენებით ინფორმაციის დამოუკიდებლად და ეფექტურად მოპოვების;<br>• სხვადასხვა ტიპის (მათ შორის სამეცნიერო) ტექსტების გაგების, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და რეპროდუქციის;<br>• სწავლის პროცესის სტრატეგიულად მაღალ დონეზე დაგეგმვის;<br>• ინტეგრირების, მეცნიერებათშორის ინტერდისციპლინარული კვლევების;<br>• დროის ზუსტად დაგეგმვისა და მართვის;<br>• კვლევების დამოუკიდებლად ჩატარების და მონაცემთა ბაზის შექმნის და ანალიზის უნარი.<br>**ღირებულებები**<br>კურსდამთავრებულს აქვს:<br>• პატიოსნებისა და ღირსების გრძნობა,<br>• დაკისრებული მოვალეობებისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა;<br>• პატივისცემის გრძნობა მორალური, ეთიკური, კულტურული და სამართლებრივი ნორმებისადმი;<br>• პატრიოტული სულისკვეთება,<br>• თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასების უნარი;<br>• უცხო ფენომენის მიმართ შემწყნარებლობა, ტოლერანტობა განსხვავებული პოზიციის მიმართ.<br>• დოგმატიზმის, ფანატიზმის, სწორხაზოვანი აზროვნების შეზღუდულობის უარყოფის უნარი; | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | • საკითხის პლურალისტური განხილვის საჭიროების უნარ-ჩვევები.<br>• ზოგადსაკაცობრიო და მულტიკულტურული ღირებულებებისადმი პატივისცემის გრძნობა და მათ დამკვიდრებაში წვლილის შეტანის უნარი.<br>• პროფესიული ეთიკის ცოდნა.<br>დეტალურად იხ.<br>http://www.tsu.edu.ge/data/file_db/faculty_humanities/ma_2012Program%20filosofia.pdf | | |
| **საქართველოს ისტორია** | **პროგრამა მიზნად ისახავს** საქართველოს ისტორიის დარგში ღრმა და სისტემური ცოდნით აღჭურვილი, კვლევაზე ორიენტირებული მაგისტრის მომზადებას და ეროვნული ისტორიის ღრმად და სისტემურად შემეცნების გზით ისტორიკოსის კომპეტენციების განვითარებას. ამ მიზანს პროგრამა განახორციელებს:<br>1. საქართველოს ისტორიის და წყაროთმცოდნეობის დარგში სტუდენტისათვის საგნობრივად სპეციფიკური ცოდნის მიცემით, რაც გულისხმობს ფუნდამენტური ფაქტობრივი ცოდნის მიწოდებას;<br>2. სტუდენტისათვის კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებით, სამეცნიერო პრობლემის, შესაბამისი თეორიული საფუძვლის, წყაროების იდენტიფიკაციის, კვლევის და მიღებული შედეგებიდან შესაბამისი დასკვნების გამოტანის, ისტორიული | **ცოდნა და გაცნობიერება:** მაგისტრს ექნება საქართველოს ისტორიის კონკრეტული ფაქტების, ისტორიული წყაროების და ისტორიოგრაფიული დისკურსების დეტალური ცოდნა;<br>სტუდენტი გააცნობიერებს საქართველოს ისტორიის სხვადასხვა თეორიულ საფუძველზე რეპრეზენტაციის შესაძლებლობას და შეძლებს მისი, როგორც ერთიანი პროცესის, მსოფლიო ისტორიის კონტექსტთან დაკავშირებას.<br>მაგისტრს აქვს ერთ-ერთი ევროპული ენის (ინგლისურის/ გერმანულის /ფრანგულის) ცოდნა B2 დონეზე მისი სასწავლო და კვლევითი მიზნებისთვის გამოსაყენებლად.<br><br>**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება:** სტუდენტს ჩამოუყალიბდება კითხვის და წაკითხული მასალის კრიტიკული ანალიზის, ინფორმაციის მოძიების, სამეცნიერო პრობლემის განსაზღვრის, იდენტიფიცირების და კვლევითი ამოცანების გამოკვეთის უნარ- | 120 | 2012 წლის 18 ივლისის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #204 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | რეპრეზენტაციის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებით;<br>3. სამეცნიერო ნაშრომის დაწერის, პრეზენტაციის და ისტორიკოსის პროფესიული საქმიანობისათვის სხვა აუცილებელი პრაქტიკული ცოდნის მიწოდებით.<br>ამის პარალელურად პროგრამა სტუდენტს გააცნობიერებინებს პროფესიული ეთიკის წესებს, განუვითარებს სოციალური პრობლემებისადმი მოქალაქეობრივ დამოკიდებულებას. ეს მიზნები სავსებით შეესაბამება ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას. პროგრამა ორიენტირებულია ბაზარზე, საზოგადობაში მუდმივად არსებობს მოთხოვნილება ისტორიის ცოდნაზე, განსაკუთრებით კი, ეროვნული ისტორიის ცოდნაზე. ფართო კულტურული თვალსაწიერის, კომუნიკაბელური და ეროვნული ისტორიის ღრმად მცოდნე სპეციალისტები, რომელსაც მოამზადებს პროგრამა, დასაქმდებიან ჰუმანიტარული თუ არაჰუმანიტარული პროფილის, როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო, დაწესებულებებში. დეტალურად იხ. http://www.tsu.edu.ge/data/file_db/faculty_humanities/MA%20program%20saqarTvelos%20istoria_65949.pdf | ჩვევები, რომელთა გამოყენებას ის შეძლებს როგორც სამეცნიერო ნაშრომის დაწერისას, ისე სხვადასხვა პრაქტიკული საქმიანობის დროს კონკრეტული ამოცანის შესრულებისას. მაგისტრს შეუძლია ერთ-ერთ ევროპული ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) სასპეციალიზაციო დარგში სამეცნიერო ლიტერატურის გაგება და დამუშავება, ასევე სამეცნიერო ხასიათის ტექსტის შედგენა (საკონფერენციო მოხსენება, სამეცნიერო სტატია და სხვ.) და დარგობრივი პრეზენტაციის მომზადება შესწავლილი ენის შესაბამის უცხოენოვან აუდიტორიაში.<br><br>**დასკვნის უნარი:** სტუდენტს განუვითარდება განსხვავებული თვალსაზრისების შედარების, მათი კრიტიკული ანალიზის და ამის საფუძველზე საკუთარი დასაბუთებული დასკვნების გამოტანის უნარი.<br><br>**კომუნიკაციის უნარი:** პროგრამის ფარგლებში დიდი ადგილი დაეთმობა ცალკეული პრობლემების კოლექტიურ განხილვას, ინტერაქციულ ლექციებს, სტუდენტები ხშირად იმუშავებენ ჯგუფში, ერთობლივ შექმნიან პროექტებს, ჩაატარებენ სამეცნიერო კონფერენციებს, ექნებათ საქმიანი კონტაქტები სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტების სტუდენტებთან, პროფესორებთან. აზრთა მუდმივ გაცვლის პირობებში სწავლების შედეგად სტუდენტებს განუვითარდებათ სამეცნიერო სფეროში წერილობითი და ვერბალური კომუნიკაციის უნარი მშობლიურ | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | და უცხო ენებზე. ამასთან ისინი ჩამოყალიბდებიან საზოგადოდ კომუნiკაბელურ და თვითკრიტიკულ პიროვნებებად, რომელთათვის საზოგადოებასთან ურთიერთობა დაფუძნებული იქნება ურთიერთპატივისცემას და ეთიკურ პრინციპებს.<br><br>**სწავლის უნარი:** სტუდენტებს მუდმივად მოუწევთ ახალი ცოდნის მიღება, უკვე ნაცნობი საკითხების შესახებ ცოდნის აქტუალიზება, მასალის კრიტიკული გააზრება, ახლებური ინტერპრეტაცია და თვისებრივად ახალი მასალის ათვისება. აღნიშნული გარემოება სტუდენტისაგან მოითხოვს სწავლისათვის მუდმივ მზაობას. ამგვარი პროცესი განსაკუთრებით ავითარებს ათვისების უნარს. ამასთან, სწავლის პროცესი დაუკავშირდება შემოქმედებით პროცესს. დასწავლა აღარ იქნება ცოდნის მიღების ერთადერთი გზა. ცოდნის მიღება მოხდება აგრეთვე შემოქმედების პროცესში.<br><br>**ღირებულებები:** მშობლიური ქვეყნის ისტორიის შემეცნება სტუდენტის თვალსაწიერში შემოიყვანს სხვა ერებსაც. დისკურსი მშობლიური ერის შესახებ სხვა არაფერია თუ არა საკუთარ და უცხო ღირებულებათა შედარება. ეს დისკურსი გულისხმობს მიმართებას სხვებთან, ანუ სხვადასხვა ღირებულებათა სისტემების ურთიერთშეჯერებას. ამის შედეგად პროგრამის ფარგლებში მუდმივი განხილვის | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | საგანი იქნება ღირებულებები და ნაციონალური თვითიდენტიფიკაცია ღირებულებების მიხედვით. ეს გარემოება ხელს უწყობს და განაპირობებს სტუდენტის ღირებულებათა სისტემის ფორმირებას. მას განუვითარდება მულტიკულტურულ საზოგადოებაში ადაპტაციის უნარი, რადგან გაცნობიერებული ექნება, რომ სხვადასხვა ერთობაში ერთი და იგივე ფაქტები აღიქმება სხვადასხვაგვარად. პროგრამის ფარგლებში სტუდენტი გააცნობიერებს სამეცნიერო კვლევის ეთიკურ პრინციპებს, კონკრეტულად, ისტორიული კვლევის ეთიკის ძირითად პრინციპებს და პოსტულატებს.<br>**დეტალურად იხ. http://www.tsu.edu.ge/data/file_db/faculty_humanities/MA%20program%20saqarTvelos%20istoria_65949.pdf** | | |
| **ახალი და უახლესი ისტორია** | **სამაგისტრო პროგრამის მიზანს** წარმოადგენს მაღალკვალიფიციური სპეციალისტ-მკვლევრების მომზადება ახალი და უახლესი ისტორიის დარგში. ახალი და უახლესი ისტორია არის მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მონაკვეთი, რომლისადმი ინტერესი მთელ მსოფლიოში ყოველთვის უდიდესი იყო და დღესაც ყველაზე მეტად შესწავლადი დარგია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამ დარგს დაფუძნების პერიოდიდანვე ექცეოდა დიდი ყურადღება, რაც გამოიხატა კიდეც XXს. 30-იანი წლების შუახანებში | **სწავლის შედეგი:** მაგისტრატურის სასწავლო პროგრამის დასრულებისა და სამაგისტრო ნაშრომის დაცვის შედეგად მიღებული ცოდნის, კვალიფიკაციისა და კომპეტენციის გამოყენებით კურსდამთავრებულს გააჩნია შემდეგი უნარები:<br><br>**ცოდნა და გაცნობიერება** – თანამედროვე მსჯელობის მიმდინარეობებისა და საკითხების ცოდნა; კაცობრიობის წარსულის ერთი ან მეტი პერიოდის საკვანძო საკითხების სპეციალიზებული, ღრმა და სისტემური ცოდნა; მსოფლიო პოლიტიკის კრიტიკული ანალიზისა და ინტერპრეტირების უნარი; ისტორიის მეთოდოლოგიის ცოდნა; | 120 | 2012 წლის 18 ივლისის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #210 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის ჩამოყალიბებაში. ქართველი მეცნიერები ყოველთვის ცდილობდნენ, არ ჩამორჩენოდნენ მსოფლიო ისტორიულ აზროვნებას, და, რასაკვირველია, დღეს, როდესაც საქართველო ესწრაფვის ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას, მას ნამდვილად სჭირდება ახალი და უახლესი ისტორიის სპეციალისტები. აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის მთავარი ამოცანაა, მისცეს მაგისტრატურის მსმენლებს ღრმა ცოდნა ახალ და უახლეს ისტორიაში. პროგრამის გავლის შემთხვევაში სტუდენტს ექნება სრული წარმოდგენა ახალი და უახლესი ისტორიის სფეროში არსებულ ძირითად თეორიულ მიდგომებზე. ამავე დროს, ის მიიღებს კონკრეტულ ცოდნას ევროპისა და ამერიკის, ახლო აღმოსავლეთის, შორეული აღმოსავლეთის ისტორიაზე და საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიაზე აღნიშნულ პერიოდში. დეტალურად იხ. http://www.tsu.edu.ge/data/file_db/faculty_humanities/MA_axali_uax_2012.pdf | ისტორიული მეთოდის განვითარების ეტაპების ცოდნა; სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის ცოდნა; ისტორიის დიდაქტიკის ცოდნა; ისტორიული ან მსგავსი მონაცემების დამუშავებისათვის საჭირო კომპიუტერული და ინტერნეტ-რესურსების ფლობა; ახალ და უახლეს ხანაში აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობებისა და ურთიერთაღქმის საფუძვლიანი ცოდნა.<br><br>**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება –** საკამათო საკითხებზე დისკუსიის, თანმიმდევრული და ლოგიკური არგუმენტების საშუალებით მკაფიოდ და კორექტულად კამათის უნარი; ინტერნეტ-რესურსების გამოყენების უნარი; თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებისა და უახლესი ინტერდისციპლინარული მეთოდების გამოყენებით მასალის დამუშავების უნარი; მრავალმხრივი მასალის თანმიმდევრული ორგანიზების უნარი; განსხვავებული დისციპლინარული მეთოდოლოგიების ინტეგრირებულად გამოყენების უნარი; აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის არსებული პრობლემების ისტორიულ კონტექსტში გაანალიზების უნარი.<br><br>**დასკვნის უნარი** – სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ათვისება, კითხვა და გააზრება; კვლევის შედეგების შესაბამისი ნარატიული ფორმით გადმოცემის უნარი; ევროპული მოვლენების, განვითარებებისა და | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | პოლიტიკის, ნაციონალურ, რეგიონულ და ადგილობრივ ჩარჩოებში ინტერპრეტირების უნარი; არა მხოლოდ ქართული, არამედ დასავლური მეცნიერების უახლესი მიღწევების გათვალისწინებით საკვლევი ტექსტების ანალიზისა და მათთვის კომენტარების დართვის უნარი.<br><br>**კომუნიკაციის უნარი –** სპეციალიზებული სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი, წერილობითი თუ ზეპირი პრეზენტაცია; კვლევის შედეგების შესაბამისი ნარატიული ფორმით გადმოცემის უნარი; ქართულ ენაზე წერის უნარი; ინგლისურ ენაზე (საგნების პირველი მსოფლიო ომის ისტორია ან მეორე მსოფლიო ომის ისტორია ინგლისურ ენაზე გავლის ან ინგლისური ენის კურსის არჩევის შემთხვევაში) წერის უნარი შესაბამისი ტერმინოლოგის გამოყენებით; ზეპირი კომუნიკაციის უნარი ინგლისურ ენაზე (საგნების პირველი მსოფლიო ომის ისტორია ან მეორე მსოფლიო ომის ისტორია ინგლისურ ენაზე გავლის ან ინგლისური ენის კურსის არჩევის შემთხვევაში); არაბულ, თურქულ, სპარსულ ან იაპონურ ენებზე (არჩევის შემთხვევაში) წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი; ინგლისურ, გერმანულ ან ფრანგულ ენაზე წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი (შესაბამისი უცხოური ენის კურსის არჩევის შემთხვევაში).<br><br>**სწავლის უნარი –** სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარი; ხელმძღვანელობის ქვეშ | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | მუშაობის უნარი; სამეცნიერო დარგობრივ ლიტერატურაზე დამოუკიდებელი მუშაობით ცოდნის განახლება; კვლევის საგნის დასახვის უნარი, იმისთვის, რომ წვლილი შეიტანოს ისტორიოგრაფიულ ცოდნასა და დებატებში; განათლების შემდგომ (სადოქტორო) საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.<br><br>**ღირებულებები –** განსხვავებული აზრის პატივისცემა; განსხვავებული კულტურების პატივისცემა; საკუთარი და სხვათა კულტურული მემკვიდრეობის ცოდნა და პატივისცემა; ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების გათავისება; აკადემიური პატიოსნებისა და ეთიკის ნორმების დაცვა.<br><br>**დეტალურად იხ.** http://www.tsu.edu.ge/data/file_db/faculty_humanities/MA_axali_uax_2012.pdf | | |
| **ქრისტიანობის ისტორია** | **პროგრამის მიზანია** მკვლევარის მომზადება ქრისტიანობის ისტორიის დარგში, რომელიც შეძლებს ქრისტიანობისა და ქრისტიანული ეკლესიის ისტორიული პროცესების კვლევა-ანალიზს თანამედროვე მეცნიერული კვლევის მეთოდებით. სამაგისტრო პროგრამა საშუალებას იძლევა, სტუდენტმა მიიღოს ღრმა და სისტემური ცოდნა მეცნიერების სხვადასხვა მიმართულებაში: ეკლესიის ისტორია, საეკლესიო დიპლომატია, ქრისტიანული თეოლოგია, | **ცოდნა-გაცნობიერება:**<br>ქრისტიანობის ისტორიის სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული თეორიული და პრაქტიკული სასწავლო დისციპლინების მასალის ათვისების საფუძველზე ისტორიის მაგისტრს გააჩნია ქრისტიანობის კვლევების დარგობრივი სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც განათლების პირველ საფეხურზე მიღებული ცოდნის გაღრმავების და კვლევის კონტექსტში მისი გამოყენების, ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას აძლევს. აქვს ემპირიული მასალის, | 120 | 2012 წლის 18 ივლისის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #215 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ქრისტიანობის ისტორიოგრაფია და წყაროთმცოდნეობა, ქრიტიანული ფილოლოგია, რელიგიათმცოდნეობა, ქრისტიანული ხელოვნების ისტორია და ა.შ.<br>პროგრამის მიზანია, სტუდენტს მისცეს სისტემური და ღრმა ცოდნა ქრისტიანული სარწმუნოების საღვთისმეტყველო საკითხებზე, ქრისტიანობის ისტორიის კვლევების მეთოდოლოგიაზე, გამოუმუშაოს მიღებული ცოდნის გაცნობიერებისა და შედეგების პრაქტიკაში დანერგვის უნარი. პროგრამა სტუდენტს საშუალებას აძლევს, მონაწილეობა მიიღოს რელიგიურ პრობლემებზე მიმდინარე სამეცნიერო მსჯელობებში; პროგრამა სტუდენტს ჩამოუყალიბებს ცოდნას თანამედროვე გლობალიზაციის პროცესებში რელიგიის ფაქტორზე და მის ობიექტურად გააზრება-შეფასებაზე. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქრისტიანობის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა თავისი სასწავლო და კვლევითი კომპონენტით მიზნად ისახავს, მოიცვას დარგის ყველა ასპექტის ღრმა და სისტემური ცოდნა და მაგისტრის მომზადებისას გაითვალისწინოს ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნები, აგრეთვე უზრუნველყოს საკუთარი კურსდამთავრებულისთვის | ინფორმაციის შეგროვება–დაჯგუფების, მეცნიერული პრობლემების ინტერპრეტაციის უნარი. ისტორიის მაგისტრი ფლობს ქრისტიანობის კვლევებში დანერგილ სათანადო ტერმინოლოგიას და დარგობრივ სფეროში მუშაობის მეთოდებს; გაცნობიერებული აქვს ქრისტიანობის კვლევების და ზოგადად ისტორიის დარგის ინტერდისციპლინურობა, იცნობს სასპეციალიზაციო დარგობრივი სფეროს მთავარ პრინციპებს, თეორიებსა და კონცეფციებს; ფლობს ერთ-ერთ ევროპულ ენას (ინგლისურის/ გერმანულის /ფრანგულის) B2 დონეზე საერთო ევროპული სარეკომენდაციო საბჭოს მიერ შემუშავებული ენის ცოდნის დონეთა განმსაზღვრელი ჩარჩოს მიხედვით და შეუძლია ამ ცოდნის გამოყენება აკადემიური და კვლევითი მიზნებისთვის.<br><br>**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება:**<br>ისტორიის მაგისტრს შეუძლია ქრიტიანობისა და აბრაამისტული რელიგიების შედარებითი კვლევების გამოყენება კომპლექსურ პრობლემებში გარკვევისათვის; თეორიული და ემპირიული მასალის ურთიერთშეჯერება, მის საფუძველზე ქრისტიანობაში მიმდინარე პროცესების განსაზღვრა-ანალიზი. ისტორიული წყაროების და ტექსტების აღქმის, გაცნობა-განზოგადების და დამოუკიდებელი მუშაობის, ანალიზის და შეფასების უნარი, მეცნიერული კვლევების უახლესი მეთოდების ფორმულირებისა და გამოყენების უნარი. ქრისტიანობის პრობლემებზე მუშაობის | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | შესაბამისი და მომიჯნავე სპეციალობებით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.<br>დეტალურად იხ.<br>http://www.tsu.edu.ge/data/file_db/faculty_humanities/Program.%20kristianobis%20istoria_83199.pdf | შედეგების, მეცნიერული დებულებების არგუმენტირებულად დასაბუთების, მეცნიერული პაექრობის, მსჯელობის მაღალი კულტურის ფლობის უნარი. სპეციალობით შეუძლია ზოგადად ისტორიის და კერძოდ, ქრისტიანობის ისტორიის დარგობრივ სფეროში კომპლექსური პრობლემების ამოცნობა/იდენტიფიცირება და მათი გადაჭრა დარგში მიღებული კვლევის მეთოდების გამოყენებით; ცოდნის გამოყენება ახალ, გაუთვალისწინებელ გარემოში ან (მომიჯნავე) მულტიდისციპლინურ კონტექსტში; შეუძლია კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; ჰუმანიტარული სფეროსთვის დამახასიათებელი კვლევითი მეთოდების გამოყენებით წყაროების დამუშავება და კვლევითი ან ანალიტიკური ხასიათის პროექტის განხორციელება. პროგრამით მიღებული შესაბამისი ღრმა და სისტემური ცოდნის, უნარების საფუძველზე აქვს რელიგიური, ლიტერატურული, ისტორიული და სოციალური პროცესების შეფასებისა და ანალიზის უნარი; ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების განზოგადებისა და ისტორიულ კონტექსტში განხილვის უნარი. ისტორიის მაგისტრს ქრისტიანობის კვლევებში შეუძლია ევროპული ენების პრაქტიკული გამოყენება მთელი რიგი წერილობითი კორესპონდენციისა და ზეპირმეტყველების მიზნებისათვის, არჩეულ ევროპულ ენაზე | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | სხვადასხვა ტიპის ტექსტების (მათ შორის, სამეცნიერო ლიტერატურის) წაკითხვის, მოსმენის, გაგების, თარგმნის, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და რეპროდუქციის უნარი. შეუძლია პროფესიულ საქმიანობაში ან შემდგომი სწავლის პროცესში ამ ენის ფართო აკადემიური მიზნებისთვის ეფექტურად გამოყენება.<br>დასკვნის უნარი:<br>ისტორიის მაგისტრს შეუძლია გამოიმუშაოს ქრიტიანობის ისტორიაში არსებული უახლესი მეცნიერული კვლევების განზოგადების, ინტეგრირების უნარი. უახლესი გამოკვლევების კრიტიკული ანალიზის და ახლებურად ფორმულირების უნარი. სხვადასხვა სახის ქრისტიანობის და ზოგადად ისტორიული და უახლესი ინფორმაციების შეჯერების, სინთეზირებისა და საკუთარი დასკვნების გამოტანის უნარი, სფეროსათვის დამახასიათებელი რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი; მას აქვს ცოდნის ინტეგრირების უნარი; შეუძლია განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი დარგობრივი სფეროსათვის შესაბამისი როგორც სტანდარტული, ისე ინოვაციური მეთოდების გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება და მკაფიო არგუმენტებით დასაბუთება; ზუსტი ფორმულირებით | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | გადმოცემა; აქვს პრობლემის სინქრონიაში და დიაქრონიაში ხედვის უნარი; სისტემის (სტრუქტურის) შემადგენელი ცალკეული ელემენტების ურთიერთზეგავლენის გააზრების, სიტუაციაში ადაპტირების და მინიმალური დახმარების პირობებში მუშაობის და გადაწყვეტილების მიღების უნარი. ჯგუფური თუ დამოუკიდებელი მუშაობის პირობებში მას შეუძლია აბსტრაქტული მონაცემებისა და კონცეფციების საჭიროებისამებრ ტრანსფორმაცია და პრობლემის გადაჭრის გზების მონახვა. შეუძლია  სასპეციალიზაციო სფეროში კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრა სათანადო ცოდნისა და მეთოდების გამოყენებით.<br><br>**კომუნიკაციის უნარი:**<br>ისტორიის მაგისტრს ქრისტიანობის ისტორიაში შეუძლია ქრისტიანობის ისტორიის დარგისათვის დამახასიათებელი მეცნიერული კანონების გამოყენებით სწორი მსჯელობა; ჩატარებული კვლევის შედეგების არგუმენტირებულად მიწოდება აკადემიური და პროფესიული საზოგადოებისათვის მშობლიურ ენაზე; ავლენს მეცნიერულ, აკადემიურ კომუნიკაციის უნარს სპეციალისტებთან დისკუსიის პროცესში; გააჩნია ინტერდისციპლინურ ჯგუფში მუშაობისა და კოლეგიალობის დაცვის უნარი; დისკუსიაში პროფესიულ დონეზე აქვს თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების გააზრების უნარი. აკადემიურ, | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | სამეცნიერო და პროფესიულ წრეებში ქართულ და უცხოურ ენებზე, შეუძლია ინფორმაციის შესაბამისი უცხოენოვანი წყაროს გამოყენება; სხვადასხვა თემებზე თავის აზრებისა და შეხედულებების მკაფიოდ ჩამოაყალიბება; მას შეუძლია ასევე თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების აქტიურად გამოყენება დარგობრივ სფეროში. აქვს საჯარო გამოსვლის ტექსტის, სამეცნიერო ნაშრომის ქართულ და უცხო ენაზე შექმნის უნარი აკადემიური ნორმებისა და სტანდარტების დაცვით; ქართულ და უცხო ენაზე პრეზენტაციის წარმართვის უნარი;<br>სწავლის უნარი:<br>ისტორიის მაგისტრს აქვს ქრისტიანობის ისტორიის სფეროს გააზრება-გაცნობიერების უნარი; ქრისტიანობის მიმართულებების თავისებურებათა გათვალისწინება და მართებული გააზრება, სამუშაო დროის სტრატეგიულად დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი: თავისი კომპეტენციის სფეროში შეუძლია სამუშაოს დაწყებამდე სამუშაოს შესრულების გეგმის დამოუკიდებლად შედგენა, პრიორიტეტების გამოყოფა, მუშაობის პროცესში საჭირო რესურსების უზრუნველყოფა და გამოყენება. მას კარგად აქვს გაცნობიერებული ცოდნის გაღრმავების აუცილებლობა; შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის დამოუკიდებლად წარმართვა რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით; საკუთარი სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერებით მისი თანმიმდევრულად და მრავალმხრივად | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა. შეუძლია საკუთარ თავზე მუშაობა და მაგისტრატურაში მიღებული ცოდნისა და უნარების დარგობრივ საქმიანობაში დამოუკიდებლად სრულყოფა; შეუძლია სამეცნიერო დარგობრივ ლიტერატურაზე დამოუკიდებელი მუშაობით ცოდნის განახლება; მას აქვს განათლების შემდგომ (სადოქტორო) საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.<br><br>**ღირებულებები:**<br>ისტორიის მაგისტრს აქვს გააზრებული ეროვნულ-ქრისტიანული ღირებულებების მნიშვნელობა და გააჩნია მათი მნიშვნელობის შეფასების უნარი; ქრისტიანული ღირებულებების ირგვლივ ახალი მეცნიერული დასკვნების გააზრება, ამ დასკვნების საკუთარი შეხედულებებთან შეჯერება და საზოგადოებამდე მიტანა. განსხვავებული სამეცნიერო აზრისა და დებულებებისადმი პატივისცემის, ეთიკური ნორმების დაცვის უნარი. კარგად აქვს გაცნობიერებული პროფესიული, სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობები და სათანადო აკადემიური და ეთიკური ნორმები. იცავს აკადემიური პატიოსნებისა და ეთიკის სტანდარტებს; ინტერპერსონალური ურთიერთობების ეთიკას.<br>მას აქვს კულტურათაშორისი და რელიგიათშორისი ურთიერთობების, კულტურულ-რელიგიური მრავალფეროვნების აღქმის, ადეკვატური გაგებისა და | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | პატივისცემის უნარი; ახასიათებს რელიგიური ტოლერანტობა, განსხვავებული კონფესიების, კულტურებისა და აზრის პატივისცემა; დემოკრატიული ფასეულობების პატივისცემა; შეუძლია ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.<br>დეტალურად იხ. http://www.tsu.edu.ge/data/file_db/faculty_humanities/Program.%20kristianobis%20istoria_83199.pdf | | |
| **ძველი ენები და ცივილიზაციები** | **სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს** მოამზადოს ახლო აღმოსავლეთისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ძველი ენებისა და ცივილიზაციის კომპლექსური სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ ფილოლოგიურ, ისტორიულ, ქვეყანათმცოდნეობით, კულტუროლოგიურ კვლევას თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებისა და უახლესი ინტერდისციპლინარული მეთოდების გამოყენებით, სწავლისა და მუშაობის გაგრძელებას როგორც ვიწრო სპეციალობით – სიძველეთმცოდნეობის რომელიმე ქვედარგში, ასევე მომიჯნავე დარგებში. მიზნის მისაღწევად პროგრამა უზრუნველყოფს 1. „მკვდარი ენების" (არჩევით: აქადური, შუმერული, ეგვიპტური, ხათური, ხეთური და სხვა ანატოლიური ენები, ურარტული, ძველი ბერძნული, ლათინური) შესწავლას (ან არჩეულ | **ცოდნა და გაცნობიერება** – მაგისტრს გააჩნია ზოგადად სიძველეთმცოდნეობის ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების, პრობლემების გამოკვეთისა და მათი გადაჭრის გზების ძიების საშუალებას აძლევს. იგი იცნობს მის მიერ შერჩეული კონკრეტული ძველი ენის გრამატიკის საფუძვლებს; ამ ენებზე არსებული წერილობით წყაროებს, მათი ტრანსლიტერაციის, თარგმანისა და ინტერპრეტაციის სპეციფიკას; რელიგიური წარმოდგენების, კულტურის სხვადასხვა სფეროს, სახელმწიფო სტრუქტურებისა და სამართლებრივი საზოგადოების ჩამოყალიბების უძველეს ეტაპებს. მაგისტრს აქვს ერთ-ერთი ევროპული ენის (ინგლისურის/ გერმანულის /ფრანგულის) ცოდნა B2 დონეზე მისი სასწავლო და კვლევითი მიზნებისთვის გამოსაყენებლად.<br><br>**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** – მაგისტრს შეუძლია ზოგადად | 120 | 2012 წლის 18 ივლისის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #203 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ენაში ცოდნის გაღრმავებას, თუ მაგისტრანტს ეს ენა შესაბამისი ძირითადი ან დამატებითი საბაკალავრო პროგრამის, ან არჩევითი კურსების ფარგლებში სწავლების წინა საფეხურზე უკვე შესწავლილი აქვს); 2. ამ ენებზე შედგენილი სხვადასხვა ჟანრისა და შინაარსის ტექსტების ნიმუშების კომპლექსურ შესწავლას; 3. ახლო აღმოსავლეთისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ძველი ცივილიზაციების ისტორიის, რეგიონის ისტორიის საკვანძო მომენტებისა თუ პრობლემების შესწავლას.<br>სამაგისტრო პროგრამის აქტუალობას განაპირობებს საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიული და კულტურული კონტაქტები აღნიშნულ რეგიონებთან, ამ სამყაროს როლი და მნიშვნელობა ქართველური ტომებისა და ძველი ქართული კულტურის ფორმირების პროცესში.<br>დეტალურად იხ. http://www.tsu.edu.ge/data/file_db/faculty_humanities/MA2012%20Ancient%20Languages%20and%20Civilizations11.pdf | სიძველეთმცოდნეობის სფეროში და, კერძოდ, მის მიერ არჩეულ ენასა თუ ცივილიზაციასთან დაკავშირებით კომპლექსური პრობლემების ამოცნობა და მათი გადაჭრა დარგში მიღებული კვლევის მეთოდების გამოყენებით; ცოდნის გამოყენება ახალ, გაუთვალისწინებელ გარემოში ან (მომიჯნავე) მულტიდისციპლინურ კონტექსტში; შეუძლია კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; ჰუმანიტარული სფეროსთვის დამახასიათებელი კვლევითი მეთოდების გამოყენებით წყაროების დამუშავება და კვლევითი ან ანალიტიკური ხასიათის პროექტის განხორციელება. პროგრამით მიღებული შესაბამისი ღრმა და სისტემური ჰუმანიტარული ცოდნის, უნარების საფუძველზე აქვს ლინგვისტური, ლიტერატურული, ისტორიული და სოციალური პროცესების შეფასებისა და ანალიზის უნარი; ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების განზოგადებისა და ისტორიულ კონტექსტში განხილვის უნარი. მას შეუძლია მის მიერ არჩეული ძველი ენიდან ტექსტის ტრანსლიტერაციისა და თარგმანის შესრულება, მისი ფილოლოგიური, ისტორიული და კულტუროლოგიური ანალიზი. მაგისტრს შეუძლია ერთ-ერთ ევროპული ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) სასპეციალიზაციო დარგში სამეცნიერო ლიტერატურის გაგება და | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | დამუშავება, ასევე სამეცნიერო ხასიათის ტექსტის შედგენა (საკონფერენციო მოხსენება, სამეცნიერო სტატია და სხვ.) და დარგობრივი პრეზენტაციის მომზადება შესწავლილი ენის შესაბამის უცხოენოვან აუდიტორიაში.<br><br>**დასკვნის უნარი** – მაგისტრს შეუძლია სფეროსათვის დამახასიათებელი რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი; განყენებული მონაცემებისა და /ან სიტუაციების ანალიზი დარგობრივი სფეროსათვის შესაბამისი როგორც სტანდარტული ისე ინოვაციური მეთოდების გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება და მკაფიო არგუმენტებით დასაბუთება; ზუსტი ფორმულირებით გადმოცემა. მას აქვს პრობლემის სინქრონიაში და დიაქრონიაში ხედვის უნარი; სისტემის (სტრუქტურის) შემადგენელი ცალკეული ელემენტების ურთიერთზეგავლენის გააზრების, სიტუაციაში ადაპტირების და მინიმალური დახმარების პირობებში მუშაობის და გადაწყვეტილების მიღების უნარი. ჯგუფური თუ დამოუკიდებელი მუშაობის პირობებში მას შეუძლია აბსტრაქტული მონაცემებისა და კონცეფციების საჭიროებისამებრ ტრანსფორმაცია და პრობლემის გადაჭრის გზების მონახვა. შეუძლია სასპეციალიზაციო სფეროში | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრა სათანადო ცოდნისა და მეთოდების გამოყენებით.<br><br>**კომუნიკაციის უნარი** – მაგისტრს შეუძლია დისკუსიაში პროფესიულ დონეზე მონაწილეობა, თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების გაზიარება აკადემიური, სამეცნიერო და პროფესიული წრეებისთვის ქართულ და უცხოურ ენებზე, მას შეუძლია ასევე თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების აქტიურად გამოყენება დარგობრივ სფეროში. აქვს საჯარო გამოსვლის ტექსტის, სამეცნიერო ნაშრომის ქართულ და უცხო ენაზე შექმნის უნარი აკადემიური ნორმებისა და  სტანდარტების დაცვით, ქართულ და უცხო ენაზე პრეზენტაციის წარმართვის უნარი;<br><br>**სწავლის უნარი** – მაგისტრს შეუძლია სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება, დამოუკიდებლად დაგეგმვა და წარმართვა; საკუთარ თავზე მუშაობა და მაგისტრატურაში მიღებული ცოდნისა და უნარების დარგობრივ საქმიანობაში დამოუკიდებლად სრულყოფა; სამეცნიერო დარგობრივ ლიტერატურაზე დამოუკიდებელი მუშაობით ცოდნის განახლება.<br><br>**ღირებულებები** – მაგისტრს კარგად აქვს გაცნობიერებული პროფესიული, სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობები და | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | სათანადო აკადემიური და ეთიკური ნორმები. იცავს აკადემიური პატიოსნებისა და ეთიკის სტანდარტებს; ინტერპერსონალური ურთიერთობების ეთიკას. მას აქვს კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის, ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარი; ახასიათებს ტოლერანტობა, განსხვავებული კონფესიების, კულტურებისა და აზრის პატივისცემა; დემოკრატიული ფასეულობების პატივისცემა; შეუძლია ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.<br><br>**დეტალურად იხ.** http://www.tsu.edu.ge/data/file_db/faculty_humanities/MA2012%20Ancient%20Languages%20and%20Civilizations11.pdf | | |
| **ინტერკულტურული კვლევები ძველ და შუა საუკუნეების ისტორიაში** | **პროგრამა მიზნად ისახავს** ინტერკულტურულ კვლევებს კონკრეტული რეგიონების ფარგლებში და მოიცავს ისტორიის ორ ფართო ქრონოლოგიური პერიოდს, ძველ და შუა საუკუნეების ხანებს. პროგრამა მოიცავს როგორც თეორიულ კვლევებს, ასევე ითვალისწინებს ამ საზოგადოებების კვლევის სხვადასხვა მეთოდოლოგიურ მიდგომებს, ემპირიული მაგალითების (Case Studies) საფუძველზე, ახდენს ისტორიული პრობლემების/პროცესების | **ცოდნა და გაცნობიერება**: თეორიული მიდგომების გაცნობიერების, სასწავლო კურსების გავლის საფუძველზე, მაგისტრი ფლობს თანამედროვე მეცნიერული კვლევის მეთოდებს და მეთოდოლოგიურ მიდგომებს.ფლობს ცოდნას ძველი და შუა საუკუნეების საზოგადოებების კვლევების მიმართულებით. შესწევს უნარი გააცნობიეროს დიაქრონულ ჩარჩოებში მოქცეული ორი დიდი ქრონოლოგიური პერიოდის აქტუალური პრობლემები აღმოსავლური, დასავლური და ქართული საზოგადოებების მაგალითებზე; შეუძლია ძველი და შუა საუკუნეების | 120 | 2012 წლის 18 ივლისის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #212 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | მოდელირებას. მითითებული ქრონოლოგიური პერიოდის ფარგლებში სტუდენტმა უნდა გაიაზროს ისტორიის კარდინალური თეორიული საკითხები და პრობლემები ინტერკულტურულ კვლევების ჭრილში; თავი მოუყაროს ემპირიულ მასალას, მოახდინოს მათი კლასიფიცირება, განზოგადება, შეპირისპირება და კულტურული მემკვიდრეობითობის ანალიზი; სტუდენტმა უნდა შეისწავლოს ძველი და შუა საუკუნეების საზოგადოებების ტიპოლოგიის და გენეზისის პრობლემები, დაეუფლოს პრობლემის ანალიზის ხერხებსა და მიდგომებს. გაიაზროს საზოგადოებების მოდელირების ინტერდისციპლინური ხასიათი. პროგრამის მიზანია მოამზადოს ფართო დიაპაზონის მკვლევარი და პრაქტიკოსი, რომელიც დაეუფლება ფუნდამენტურ ცოდნას ისტორიის ერთიან ონტოლოგიურ ქარგაში: კერძოდ კი, ძველი და შუა საუკუნეების საზოგადოების კვლევის პროცესში, სტუდენტს ექნება შესაძლებლობა გაეცნოს დასავლურ, აღმოსავლურ და კავკასიურ (ქართული კულტურის მაგალითზე) კულტურების განვითარების დიაქრონულ და სინქრონულ პროცესებს, რეგიონალური და პერიფერიული თავისებურებების წარმოდგენით; პროგრამა სტუდენტს | საზოგადოებების ინტერკულტურული კავშირების დადგენა და ნაწილობრივ, კომპარატივისტული კვლევა. იცნობს ძირითად მეცნიერულ ტენდენციებს, ონტოლოგიურ და ეპისტემოლოგიურ ჭრილში განიხილავს ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის პრობლემატიკას. მიღებულ ცოდნას იყენებს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში.<br><br>**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება:** სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულ, ისტორიის მაგისტრს შეუძლია: ემპირიული მასალის სიტემატიზაცია, ანალიზი და ინტერპრეტაცია; საკვლევი პრობლემის მკაფიოდ წამოწევა, იდენტიფიცირება, კონტექსტუალიზაცია და ისტორიული პარალელების ძიება.აპრობირებული კვლევის მეთოდების და მიდგომების განსაზღვრა და დასაბუთებული მორგება. ემპირიული მასალების მოძიება და სისტემაში მოქცევა; Pქრონოლოგიური და თემატური კავშირების კორელაციაში მოყვანა; კვლევის შედეგების პრეზენტაცია, წერილობითი და ზეპირი ფორმით. მაგისტრი ფლობს კონკრეტულ და დეტალურ ცოდნას ისტორიის ორი ქრონოლოგიური პერიოდის (ძველი და შუა საუკუნეების) ქარგაში. შეუძლია:გამოყოს ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის საკვანძო პრობლემები, დაინახოს და დაადგინოს ანალოგიები და განსხვავებები კულტურულ, პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ მახასიათებლებში, განაზოგადოს და მოახდინოს ამ ეპოქებში მიმდინარე | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | აძლევს შესაძლებლობას გაიფართოვოს თეორიული თვალსაწიერი, განავითაროს და დახვეწოს ინტერპრეტაციის და ანალიზის უნარი, შეიძინოს დამოუკიდებელი კვლევის ჩვევები და სტრატეგია.<br>პროგრამაში ჩართული არიან ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის (ისტორიის მიმართულება, აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულება, კულტურის მეცნიერებები და სხვ.) სხვადასხვა მიმართულების წამყვანი პროფესორები მათი კურსებითა და პროგრამებით. ეს გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის ფარგლებში საზოგადოებების ინტერკულტურული კვლევების ინტერდისციპლინარულ ხასიათს.<br>პროგრამა ამზადებს სტუდენტს შემდგომი კვლევებისა და პრაქტიკული საქმიანობისათვის. პროგრამა განკუთვნილია იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ისტორიის საკითხების ონტოლოგიური და ეპისტემოლოგიური კვლევებით, ამ ცოდნის გამოყენებით კონკრეტული ისტორიული საზოგადოების კვლევაში და აგრეთვე, პრაქტიკულ საქმიანობაში.<br>პროგრამა, მის ხელთ არსებული აკადემიური რესურსით, მიზნად ისახავს, მოიცვას დარგის ფართო | პროცესების/მოვლენების გაცნობა და რეინტერპრეტაცია.<br><br>**დასკვნის უნარი:** სამაგისტრო პროგრამის კურსსდამთავრებულ, ისტორიის მაგისტრს შეუძლია მისთვის საინტერესო პრობლემის გარშემო ძველი და შუა საუკუნეების ისტორიაში საჭირო მასალების სინთეზირება, განმარტება, და შესაბამისი ანალიტიკური დასკვნის გამოტანა; ამ ცოდნის განზოგადება და მისი შემოქმედებითად დაკავშირება ანალოგიურ პროცესებთან და მოვლენებთან. რთული და არასრული ინფორმაციის შემთხვევაშიც მაგისტრს შეუძლია ინტერდისციპლინარული გამოცდილების საფუძველზე მეცნიერულად დასაბუთებული და არგუმენტირებული დასკვნის გამოტანა.<br><br>**კომუნიკაციის უნარი:** სამაგისტრო პროგრამის კურსსდამთავრებულ ისტორიის მაგისტრს შეუძლია ეფექტური აკადემიური კომუნიკაცია ეროვნულ და დასავლურ სამეცნიერო წრეებში, რისთვისაც გააჩნია ევროპული ენის სათანადო კომუნიკაციური უნარ-ჩვევები; შეუძლია თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების აქტიურად გამოყენება, ეფექტური ურთიერთობა სასწავლო თუ სამუშაო ჯგუფში. აქვს მიღებული ცოდნის დასაბუთებული წარმოჩენის და სამეცნიერო დისკუსიაში ჩაბმის უნარი.<br><br>**სწავლის უნარი:** სამაგისტრო პროგრამის | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ცოდნა, მაგისტრის მომზადებისას გაითვალისწინოს ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნები, უზრუნველყოს კურსდამთავრებულისთვის როგორც სპეციალობის, ასევე მომიჯნავე სპეციალობებით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.<br>დეტალურად იხ. http://www.tsu.edu.ge/data/file_db/faculty_humanities/MA%20program%20interkulturuli%20kvlevebi_77571.pdf | კურსდამთავრებულ მაგისტრს შეუძლია ძველი და შუა საუკუნეების სივრცეში მოქცეული ინტერკულტურული პრობლემატიკის გაცნობიერება, დამახსოვრება და სწავლა; სწავლისა და კვლევის პროცესის თანამიმდევრულად წარმართვა და დაგეგმვა: უახლესი ლიტერატურის გაცნობა, ამ მასალის სწავლისა და კვლევის პროცესში აქტიური გამოყენება. Mმაგისტრანტს შეუძლია განსაზღვროს მაგისტრატურის საფეხურზე სწავლის პროცესის თავისებურება და დაგეგმოს სწავლის პროცესი.<br><br>ღირებულებები:<br>ისტორიის მაგისტრი ორიენტირებული უნდა იყოს საერთაშორისო სამეცნიერო სტანდარტებზე და ეთიკის ნორმებზე, გაეცნოს და გაიზიაროს დასავლეთის აკადემიური გამოცდილება, მოახდინოს ამ სამეცნიერო მიდგომების და ღირებულებების აკუმულირება, გაზიარება და დანერგვა მშობლიურ გარემოში. მას აქვს კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის, ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარი; ახასიათებს ტოლერანტობა, განსხვავებული კონფესიების, კულტურებისა და აზრის პატივისცემა; დემოკრატიული ფასეულობების პატივისცემა; შეუძლია ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა. | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | დეტალურად იხ. http://www.tsu.edu.ge/data/file_db/faculty_humanities/MA%20program%20interkulturuli%20kvlevebi_77571.pdf | | |
| **მედიევისტიკა** | მედიევისტიკის სამაგისტრო პროგრამა ინტერდისციპლინურია, მოიცავს როგორც თეორიულ და მეთოდოლო¬გიურ საკითხებს, ასევე ემპირიულ მასალას. პროგრამის მიზანია, წყაროების შესწავლისა და მრავალფეროვანი თეორიული მიდგომების ანა¬ლიზის საფუძველზე, მოამზადოს მკვლევრები და პრაქტიკოსები მედიევისტიკაში, რომელ¬თაც ექნებათ ღრმა ცოდნა შუა საუკუნეების და აღორძინების ეპოქის შესახებ, მისი რეგიონული განვითარების თავისებურებების წარმოდგენით.<br>პროგრამა მაგისტრანტს საშუალებას აძლევს, განავითაროს და დახვეწოს ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარი კონ¬კრეტული ისტორიული პროცესების და ეპოქის გათვალისწინებით, შეისწავლოს შუა საკუნეების საზოგადოება, მასში მიმდინარე ურთიერთობები - ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, კულტურული, როგორც წერილობითი, ასევე არქეოლოგიური, | **ცოდნა და გაცნობირება:**<br>• მაგისტრი ღებულობს ღრმა და სისტემური ცოდნას მედიევისტიკაში, შუა საუკუნეებისა და რენესანსის ეპოქის ისტორიაში; შეუძლია შუა საუკუნეებში მიმდინარე პროცესების, მისი განვითარების მიღწევების გამოყენება და დაკავშირება თანამედროვეობასთან და თანამედროვე პერიოდში მიმდინარე პროცესების საფუძველზე ამ მოვლენების რეინტერპრეტაცია;<br>• მაგისტრს შეუძლია შუა საუკუნეების და აღორძინების პრობლემების იდენტიფიცირება, წყაროების გამოყენების ახალი გზების მოძიება, დაკავშირება და შედარება;<br>• შეუძლია სხვადასხვა მედიევალურ სივრცეთა ძირითადი მახასიათებლების განსაზღვრასთან ერთად მედიევალურ სამყაროში არსებული მულტიკულტურულობისა და სხვადასხვა კონფესიათა და ნაციონალურ ერთობათა თანაარსებობის თავისებურებების გააზრება.<br>• მაგისტრს აქვს ერთ-ერთი ევროპული ენის (ინგლისურის/ გერმანულის /ფრანგულის) ცოდნა B2 დონეზე მისი სასწავლო და კვლევითი მიზნებისთვის გამოსაყენებლად.<br><br>**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება:** | 120 | 2012 წლის 18 ივლისის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #213 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ეთნოგრაფიული, ენობრივი, ტექნიკის, მეურნეობისა და სამართლის, აგრეთვე სხვა მომიჯნავე დარგების მონაცემების გამოყენებით. პროგრამა წარმოდგენილია ფართო წყაროთმცოდნეობის ბაზაზე; მიზნად ისახავს შედარებითი კვლევების წარმოებას, ფართო არეალის შესწავლას და მათ შედარებით ანალიზს, სხვადასხვა საგანში შეძენილი მეთოდოლოგიებისა და ცოდნის ერთმანეთთან დაკავშირებას, სხვადასხვა პერიოდებსა და კონტექსტში ისტორიოგრაფიული შეხედულებებისა და პერსპექტივების გაცნობიერებას; დისციპლინათშორისი დეტალური ცოდნის შეძენას კონკრეტული პერიოდის დოკუმენტების სპეციფიკური საშუალებებითა და მეთოდებით. დეტალურად იხ. http://www.tsu.edu.ge/data/file_db/faculty_humanities/MA%20progrma%20medievistika_95333.pdf | • მაგისტრს აქვს უნარი, მოახდინოს ინტერპრეტირება შუა საუკუნეების მოვლენების, განვითარებებისა, საზოგადოებისა და პოლიტიკისა რეგიონალურ და ადგილობრივ ჩარჩოებში. მას უნდა შეეძლოს კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლების განსაზღვრა, წყაროებისა და თანამედროვე მედიევისტიკის მიღწევების საფუძველზე ისტორიული პროცესების ანალიზი;<br>• მაგისტრს აქვს საანალიზო მასალის მოძიების, შერჩევის, შეფასებისა და კვლევითი შედეგების შეჯერების, კრიტიკული ანალიზის და ინტერპრეტაციის უნარი;<br>• მაგისტრს შეუძლია კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლების განსაზღვრა, წყაროებისა და თანამედროვე მედიევისტიკის მიღწევების საფუძველზე ისტორიული პროცესების ანალიზი;<br>• მაგისტრს აქვს სხვადასხვა მოსაზრებათა, კონფესიათა განსხვავების და ამ კონფესიის დროსთან დაკავშირების უნარი.<br>• მაგისტრი იცნობს შუა საუკუნეების სპეციფიკის შესაბამისად წერილობით წყაროებზე მუშაობის თავისებურებებს და აქვს მისი კრიტიკული ინტერპრეტაციის უნარი.<br>• მაგისტრს შეუძლია ერთ-ერთ ევროპული ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) სასპეციალიზაციო დარგში სამეცნიერო ლიტერატურის გაგება და დამუშავება, ასევე სამეცნიერო ხასიათის ტექსტის შედგენა (საკონფერენციო მოხსენება, სამეცნიერო სტატია და სხვ.) და დარგობრივი | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | პრეზენტაციის მომზადება შესწავლილი ენის შესაბამის უცხოენოვან აუდიტორიაში.<br><br>**დასკვნის უნარი** - მაგისტრი ფლობს:<br>• ტექსტში გადმოცემული მასალის კრიტიკული გაცნობიერების, არგუმენტაციის, ანალიზისა და დასკვნის გამოტანის უნარს;<br>• სხვადასხვა კულტურულ და ნაციონალურ თუ კონფესიულ საფუძვლებზე წარმოქმნილი მოვლენების გააზრების უნარს.<br>• კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასკვნების გამოტანის, განმარტებისა და ინტერპრეტაციის უნარს.<br>• სისტემური ცოდნის გამოვლენის და პრობლემაში ღრმად და თავისუფლად ორიენტირების უნარს;<br><br>**კომუნიკაციის უნარი -** მაგისტრს შეუძლია:<br>• სამეცნიერო ელექტონული ლიტერატურის და ელექტრონული საბიბლიოთეკო წყაროების, ელექტრონული ბაზების მოძიება და გამოყენება.<br>• საჯარო გამოსვლის ტექსტის, სამეცნიერო ნაშრომის ქართულ და უცხო ენაზე შექმნის უნარი აკადემიური ნორმებისა და სტანდარტების დაცვით; კრიტიკული აზრის გამოთქმისა და დისკუსიაში ჩართვის უნარი.<br>• აუდიტორიისათვის საპრეზენტაციო მასალის თვალსაჩინოდ მიწოდების მიზნით ტექნიკური საშუალებების გამოყენება;<br>• კვლევის შედეგების, როგორც ზეპირი ასევე წერილობითი ფორმით პრეზენტაცია ქართულ და უცხოურ ენაზე. | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **სწავლის უნარი**<br>• მაგისტრს აქვს სამუშაო დროის სტრატეგიულად დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი: თავისი კომპეტენციის სფეროში შეუძლია სამუშაოს დაწყებამდე სამუშაო გეგმის დამოუკიდებლად შედგენა, პრიორიტეტების გამოყოფა, მუშაობის პროცესში საჭირო რესურსების უზრუნველყოფა და გამოყენება.<br>• გააჩნია მედიევისტიკის სფეროში თანამედროვე დასავლური ცოდნის გამოყენების და საკუთარი პროფესიული ცოდნის გაღრმავების უნარი კვლევის პროცესში; ახალი იდეების, კონცეფციების, განსხვავებული მოსაზრებების დამოუკიდებლად გაგებისა და შესწავლის უნარი.<br>• პრეზენტაციებსა და პროექტზე მუშაობის პროცესში სტუდენტი გამოიმუშავებს როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური მუშაობის უნარს. სასწავლო კურსის ფორმატიდან გამომდინარე, სტუდენტებს უვითარდებათ აგრეთვე: დროის ფორმატის ზუსტი განსაზღვრის, საკუთარ ნაშრომზე პასუხისმგებლობის და სხვ. უნარ-ჩვევები.<br><br>**ღირებულებები:**<br>• მაგისტრს შეუძლია ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება.<br>• სხვადასხვა კონფესიათა თანაარსებობისა და | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | დამოკიდებულებათა შესწავლის საფუძველზე მაგისტრს ჩამოუყალიბდება ტოლერატული დამოკიდებულება სხვადასხვა კონფესიების მიმართ;<br>• მას აქვს კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის, ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარი;<br>• მაგისტრი მიიღებს სათანადო საფუძველს, რათა კონკრეტული სამეცნიერო თუ პრაქტიკული სამუშაოს შესრულებისას, ცოდნის გადაცემისას დაიცვას აკადემიური პატიოსნების ნორმები და სტანდარტები.<br>• მაგისტრს შეუძლია დისკუსიის პროცესში სხვათა აზრის გათვალისწინება და პატივისცემა, პაექრობისას საკუთარი აზრის კორექტულად გამოხატვა, ეთიკის ნორმების დაცვა.<br>დეტალურად იხ.<br>http://www.tsu.edu.ge/data/file_db/faculty_humanities/MA%20progrma%20medievistika_95333.pdf | | |
| **არქეოლოგია** | **სამაგისტრო პროგრამის მიზანია,** სტუდენტს კომპლექსურად შეასწავლოს არქეოლოგიის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები; გაუღრმავოს ცოდნა დარგის ისტორიასა და მიღწევებში; გააცნოს მსოფლიოში უძველესი საზოგადოების კულტურული მემკვიდრეობა; შეასწავლოს საველე, საფიქსაციო და ლაბორატორიული სამუშაოების შესრულების თანამედროვე სტანდარტები და მეთოდები; | **ცოდნა და გაცნობიერება:** კურსდამთავრებულს აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა არქეოლოგიური კვლევების აპრობირებულ მეთოდებსა და მათი გამოყენების ტექნიკაში; ფლობს ცოდნას, რომლის მიხედვითაც არტეფაქტებზე და სხვა მატერიალურ ძეგლებზე დაყრდნობით შეუძლია ეპოქისა და კულტურული მოდელის რეკონსტრუქცია. ფლობს გეოფიზიკური აგეგმვითი სამუშაოების ჩატარებისათვის საჭირო ღრმა ცოდნას. აქვს სრული წარმოდგენა კლასიკური ხანის ნივთიერი | 120 | 2012 წლის 18 ივლისის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #216 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | შეასწავლოს მატერიალური ნაშთის ზოგადი ქრონოლოგიური და კულტურული კუთვნილების განსაზღვრის, სამეცნიერო და ეროვნული მნიშვნელობის დადგენის მეთოდოლოგია. მოამზადოს თანამედროვე არქეოლოგიური მეთოდების, თეორიებისა და პრაქტიკული ცოდნის მქონე სპეციალისტები, რომელთაც შეეძლებათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ თანამედროვე ქართული სახელმწიფოს შენებაში პრაქტიკული კვლევების განხორციელების, ისტორიული ფაქტების რეკონსტრუციის, მოვლენების პროგნოზირება-მართვის უნარისა და რეკომენდაციების შემუშავების გზით. პროგრამის მიზანია მოამზადოს არქეოლოგიური რეალობისა და თავისებურებების მცოდნე კვალიფიციური სპეციალისტი, რომლისთვისაც კარგად იქნება ცნობილი არქეოლოგიური პრობლემები, მათ შორის ცივილიზაციათა კულტურულ–ისტორიული ევოლუციის ჭრილში კავკასიის რეგიონის, განსაკუთრებით კი საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელობა.<br>დეტალურად იხ. http://www.tsu.edu.ge/data/file_db/faculty_humanities/2012arqeologia_MA.pdf | კულტურის უმთავრესი არქეოლოგიური ძეგლების, ანტიკური არქეოლოგიის დარგში და თანამედროვე პერიოდში ჩატარებული კვლევა–ძიების ძირითადი მიღწევების შესახებ; კურსდამთავრებული სიღრმისეულად ფლობს მონაცემთა სტატისტიკური დამუშავების მეთოდებს, რაც აუცილე¬ბ¬ელია მეცნიერებებში სტატისტიკური კვლევების ჩასატარებლად და ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავებისათვის. ფლობს მონაცემთა შეგროვების, ანა¬ლიზის და სათანადო დას¬კვნების გაკეთების სხვადასხვა მეთოდებსა და საშუალებებს. მაგისტრს აქვს ერთ-ერთი ევროპული ენის (ინგლისურის/ გერმანულის /ფრანგულის) ცოდნა B2 დონეზე მისი სასწავლო და კვლევითი მიზნებისთვის გამოსაყენებლად.<br><br>**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:**<br>კურსდამთვრებულს შეუძლია მასალის გადარჩევისა და განზოგადების პრინციპებითა და საშუალებებით ოპერირება და დამოუკიდებელი კვლევების წარმართვა. შეუძლია დამოუკიდებლად მოიძიოს ინფორმაცია ნებისმიერი მასალის შესახებ როგორც ინტერნეტის, ასევე საველე პირობებში. აგროვებს, განაზოგადებს, ამუშავებს, აანალიზებს და აფასებს მასალას, რაც საშუალებას აძლევს კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტისათვის მოიძოს ახალი, ორიგინალური გზები. აქვს საკუთარი და ჯგუფის სხვა წევრების შესა¬ძ¬ლებლობების გათვალის¬წი¬ნებით | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | სამუშა¬ო¬ების დამოუკიდებლად დაგეგმვისა და გან¬ხო¬რციელების უნარი.<br>კურსდამთავრებულს შეუძლია არტეფაქტებზე და სხვა მატერიალურ ძეგლებზე დაყრდნობით ეპოქისა და კულტურული მოდელის რეკონსტრუქცია. ერთ-ერთ ევროპული ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) სასპეციალიზაციო დარგში სამეცნიერო ლიტერატურის გაგება და დამუშავება, ასევე სამეცნიერო ხასიათის ტექსტის შედგენა (საკონფერენციო მოხსენება, სამეცნიერო სტატია და სხვ.) და დარგობრივი პრეზენტაციის მომზადება შესწავლილი ენის შესაბამის უცხოენოვან  აუდიტორიაში.<br><br>დასკვნის უნარი:<br>კურსდამთავრებულს აქვს კრიტიკული ანალიზისა და სინთეზის უნარი, რაშიც იგულისხმება ერთის მხრივ, ისტორიული ხასიათის წერილობითი ინფორმაციის სხვადასხვა წყაროდან მოძიებისა და მეორეს მხრივ, მისი არქეოლოგიურ, მატერიალურ კულტურასთან შეჯერების და შემდგომ, განზოგადების და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი;<br><br>**კომუნიკაციის უნარი:**<br>კურსდამთავრებულს აქვს სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ინფორმაციის, იდეებისა და არსებული პრობლემების გადაჭრის შესახებ სხვათა და საკუთარი ხედვის წერილობით და ზეპირსიტყვიერად წარმოდგენის უნარი, როგორც ქართულ ასევე | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | ერთ–ერთ ევროპულ ენაზე; შეუძლია დისკუსიაში პროფესიული ტერმინოლო¬გი¬ით სარგებლობა. აქვს საჯარო გამოსვლის ტექსტის, სამეცნიერო ნაშრომის ქართულ და უცხო ენაზე შექმნის უნარი აკადემიური ნორმებისა და სტანდარტების დაცვით; აქვს ქართულ და უცხო ენაზე პრეზენტაციის წარმართვის უნარი;<br><br>**სწავლის უნარი:**<br>კურსდამთავრებულს აქვს სასწავლო პროცესის დამოუკიდებლად  და თანმიმდევრულად წარმართვის უნარი და სტრატეგიულად დაგეგმვის უნარი.<br><br>**ღირებულებები:**<br>კურსდამთავრებულს აქვს საკუთარი პროფესიისადმი, დაკისრებული მოვალეობებისადმი პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობა; ინტელექტუალური საკუთრებისადმი პატივისცემის გრძნობა და აკადემიური პატიოსნების პრინციპების დაცვის უნარი. აცნობიერებს და აღიარებს ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა ტოლერანტობა, თავისუფლება, ეროვნული ღირსების შეფასება და პატივისცემა, ერთა შორის ურთიერთობების განმტკიცება და სხვ. დეტალურად იხ. http://www.tsu.edu.ge/data/file_db/faculty_humanities/2012arqeologia_MA.pdf | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **ეთნოლოგია** | **სამაგისტრო პროგრამის მიზანია,** მოამზადოს თანამედროვე ეთნოლოგიური მეთოდების, თეორიებისა და პრაქტიკული ცოდნის მქონე სპეციალისტები, რომელთაც შეეძლებათ პრაქტიკული კვლევების განხორიელება, ისტორიული ფაქტების რეკონსტრუცია, ექნებათ მოვლენების პროგნოზირება-მართვის და რეკომენდაციების შემუშავების უნარი. ეთნოლოგიური დისციპლინების მიზანი საველე მონაცემების საფუძველზე, ერთი მხრივ, ხალხების ეთნოგენეზისა და კულტურულ-ისტორიული კავშირების, მეორე მხრივ, მსოფლიოს ხალხთა სოციო-კულტურული განსხვავებულობის რელატივისტური შესწავლაა. თანამედროვეობის მოთხოვნებმა დამატებითი კორექტივები შეიტანა როგორც დისციპლინების მეთოდიკასა და მეთოდოლოგიაში, ასევე განსახილველი პრობლემებისა და საკითხების ნუსხაში. ეთნოლოგიურ კვლევებს, ეთნოგრაფიული რეალიებისა და მოვლენების ახსნას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რეგიონში ისტორიული და მიმდინარე ეთნო-კულტურული პროცესების ანალიზისას. პროგრამით გათვალისწინებული სტუდენტზე ორიენტირებული, კომპლექსური სწავლება | **ცოდნა-გაცნობიერება:** ეთნოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული მიიღებს აკადემიურ ცოდნას ეთნოლოგიის ყველა პრობლემის შესახებ. კურსდამთავრებულს ექნება ცოდნა კავკასიის ხალხთა ეთნოგენეზის, ეთნიკური ისტორიისა და ეთნიკური კულტურის შესახებ; ეთნოგრაფიული მუზეუმთმცოდნეობის და სამუზეუმო საქმის ცოდნა; ის იცნობს ქართველი ხალხის, კავკასიის ხალხებისა და მსოფლიოს ხალხების ფიზიკური ანთროპოლოგიის პრობლემებს, კავკასიის ხალხების ფორმირებისა და ეთნიკური ისტორიის პრობლემებს. მან იცის ტრადიციული სულიერი კულტურის რელიგიური სიტუაცია, რელიგიური და ზნეობრივი ნორმები, ისტორიული მახსოვრობის, დღესასწაულების, მენტალობის, ხალხური შემოქმედების, საერთოდ, ტრადიციული ცხოვრების წესის სხვა მრავალი ელემენტი. იცის ქართული ხალხური დღესასწაულები, მათი ტრანსფორმაციის პროცესები, ისტორიული განვითარების დინამიკა და არეალი, ქართველთა მატერიალური კულტურის განვითარების ისტორია, მისი ელემენტების მნიშვნელობა ეთნიკური იდენტურობის განსაზღვრაში, საერთო ქართული კულტურული ერთობის ვარიანტულობა და მისი მიზეზები. იცის ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი სამეურნეო ყოფა, რომელიც მრავალფეროვნებით ხასიათდება და განპირობებულია განსახლების არეალის | 120 | 2012 წლის 18 ივლისის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #227 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | მიზანმიმართულია სტუდენტის მრავალმხრივი ინტერესებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებისაკენ, მისთვის პიროვნული და აკადემიური თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, ეთიკური იდეალების, კრიტიკული, შემოქმედებითი და პროგრესული აზროვნების გამომუშავებისკენ; კონკურენტუნარიანი პროფესიული კადრის მომზადების, სრულფასოვანი მოქალაქის ჩამოყალიბებისა და ახალგაზრდებში ეროვნულ–ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებისაკენ.<br>დეტალურად იხ. http://www.tsu.edu.ge/data/file_db/faculty_humanities/MA%20etnologia.program_90915.pdf | ბუნებრივ-გეოგრაფიული მრავალფეროვნებით. აქვს პროფესიული ინფორმაცია საქართველოში ისტორიულად და დღეს არსებული რწმენა-წარმოდგენების სისტემების ჩასახვა-განვითარების შესახებ, ასევე მათი კავშირისა და გავლენის შესახებ იდენტობის ფორმირების პროცესში და შესაბამისად, იცის საზოგადოების კონსტრუქცია. ფლობს ცოდნას კავკასიელი ხალხების ღირებულებათა სისტემების, იდენტურობის განმსაზღვრელი ფაქტორების და მათ შორის არსებული კულტურულ-ისტორიული კავშირების შესახებ, იცის საქართველოს ისტორიულ–ეთნოგრაფიული მხარეების განსხვავებები და ამის მიზეზები. ეთნოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული დაუფლებულია ერთ-ერთ ევროპულ ენას (ინგლისური/ გერმანული /ფრანგული) B2 დონეზე საერთო ევროპული სარეკომენდაციო საბჭოს მიერ შემუშავებული ენის ცოდნის დონეთა განმსაზღვრელი ჩარჩოს მიხედვით და შეუძლია ამ ცოდნის გამოყენება აკადემიური და კვლევითი მიზნებისთვის.<br><br>**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება:**<br>ეთნოლოგიის მაგისტრს ეთნოლოგიის სამაგისტრო პროგრამის გავლის შემდეგ ექნება სრულფასოვნი ცოდნა ეთნოლოგიის პრაქტიკულ საკითხებზე. კურსდამთავრებულს ექნება უნარი განავითაროს ორიგინალური საკვლევი ჰიპოთეზა, იმუშაოს ინტერდისციპლინარული მიდგომებით და მოახდინოს ცოდნის ინტეგრირება. პროგრამის | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | კურსდამთავრებულები შეძლებენ დამოუკიდებელი კვლევები აწარმოონ საზოგადოების ეთნო-კულტურული პრობლემის შესასწავლად. სწავლის დასრულებისათვის მაგისტრს ექნება პრაქტიკული უნარი დაგეგმოს და აწარმოოს ეთნოლოგიური კვლევები, მოახდინოს შეკრებილი მასალის ანალიზი და სინთეზი. ექნება წერილობითი თუ ზეპირი პრეზენტაციის და აკადემიური დისკუსიის უნარი; შესძლებს იმოქმედოს ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტისას გამოძებნის ახალ, ორიგინალურ გზებს, მათ შორის, დამოუკიდებლად განახორციელებს კვლევებს უახლოესი დარგობრივი მეთოდებისა და თანამედროვე სტრატეგიების გამოყენებით. მას სპეციალობით შეუძლია კომპლექსური პრობლემების ამოცნობა/იდენტიფიცირება და მათი გადაჭრა დარგში მიღებული კვლევის მეთოდების გამოყენებით; კურსდამთავრებულებს აქვთ საკვლევი საკითხის ფორმალიზების, გამოსაყენებელ მეთოდთა შერჩევის, კვლევით მოპოვებული მასალის დამუშავების ჩვევები; მაგისტრები დაუფლებულნი არიან ეთნოგრაფიული კვლევის ემპირიულ მეთოდებს. მათ შეუძლიათ საველე სამუშაობის წარმოება, იყენებენ დაკვირვების, ინტერვიურება-ანკეტირების, ტიპოლოგიის მეთოდებს. შეუძლიათ მასალის ფიქსაცია დღიურების, თემატური ბარათების, | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | ანგარიშების სახით, ასევე ვიზუალური ფიქსაცია ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. მაგისტრებს შეუძლიათ პრაქტიკული კვლევების საფუძველზე მოახდინონ ეთნოგრაფიული ფაქტების რეკონსტრუცია, მოვლენების პროგნოზირების უნარის საფუძველზე შეიმუშაონ რეკომენდაციები მნიშვნელოვან ეთნოკულტურულ საკითხებთან მიმართებაში. ისინი დაუფლებულნი არიან ფორმალურ, პროფესიულ წერილობით ენას. ეთნოლოგიის მაგისტრს შეუძლია პროფესიულ საქმიანობაში ან შემდგომი სწავლის პროცესში უცხო ენის ფართო აკადემიური მიზნებისთვის ეფექტურად გამოყენება.<br><br>**დასკვნის უნარი:**<br>ეთნოლოგიის მაგისტრს შეუძლია ეთნოლოგიის სფეროში რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლოესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი; შეუძლია უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით მოახდინოს ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი; მას აქვს ცოდნის ინტეგრირების უნარი; შეუძლია განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი დარგობრივი სფეროსათვის შესაბამისი როგორც სტანდარტული, ისე ინოვაციური მეთოდების გამოყენებით დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება და მკაფიო არგუმენტებით დასაბუთება, ზუსტი ფორმულირებით | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | გადმოცემა; აქვს პრობლემის სინქრონიაში და დიაქრონიაში ხედვის უნარი; სისტემის (სტრუქტურის) შემადგენელი ცალკეული ელემენტების ურთიერთზეგავლენის გააზრების, სიტუაციაში ადაპტირების და მინიმალური დახმარების პირობებში მუშაობის და გადაწყვეტილების მიღების უნარი. ჯგუფური თუ დამოუკიდებელი მუშაობის პირობებში მას შეუძლია აბსტრაქტული მონაცემებისა და კონცეფციების საჭიროებისამებრ ტრანსფორმაცია და პრობლემის გადაჭრის გზების მონახვა. შეუძლია  სასპეციალიზაციო სფეროში კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრა სათანადო ცოდნისა და მეთოდების გამოყენებით.<br><br>**კომუნიკაციის უნარი:**<br>ეთნოლოგიის მაგისტრს შეუძლია დისკუსიაში პროფესიულ დონეზე მონაწილეობა, თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების გაზიარება აკადემიური, სამეცნიერო და  პროფესიული წრეებისთვის ქართულ და უცხოურ ენებზე, მას შეუძლია ასევე თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების აქტიურად გამოყენება დარგობრივ სფეროში. შეუძლია სამეცნიერო ანგარიშის დაწერა, არგუმენტების მოყვანა სხვადასხვა შეხედულებების საწინააღმდეგოდ ან მხარდასაჭერად. აქვს სამეცნიერო კომუნიკაციის უნარი პრეზენტაციებსა და დისკუსიებში მონაწილეობისას. დაუფლებულია | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევებს.<br><br>**სწავლის უნარი:**<br>ეთნოლოგიის მაგისტრს აქვს სამუშაო დროის სტრატეგიულად დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი: თავისი კომპეტენციის სფეროში შეუძლია სამუშაოს დაწყებამდე სამუშაოს შესრულების გეგმის დამოუკიდებლად შედგენა, პრიორიტეტების გამოყოფა, მუშაობის პროცესში საჭირო რესურსების უზრუნველყოფა და გამოყენება, დაუფლებულია იმ სისტემურ უნარებს, რაც საშუალებას მისცემს მას, იოლად შეძლოს ადაპტირება ახალ სიტუაციაში, იკვლიოს (იმუშაოს) ინდივიდუალურად და საჭიროების შემთხვევაში, ჯგუფთან ერთად; გააცნობიერებს და სტრატეგიულად დაგეგმავს სწავლების პროცესს. მას კარგად აქვს გაცნობიერებული ცოდნის გაღრმავების აუცილებლობა; შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის დამოუკიდებლად წარმართვა რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით, მისი თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა. მას აქვს საკუთარ თავზე მუშაობის და მიღებული ცოდნისა და უნარების დარგობრივ საქმიანობაში დამოუკიდებლად სრულყოფის უნარი; მას აქვს განათლების შემდგომ (სადოქტორო) საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.<br><br>**ღირებულებები:** | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | ეთნოლოგიის მაგისტრს კარგად აქვს გაცნობიერებული პროფესიული, სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობები და სათანადო აკადემიური და ეთიკური ნორმები. იცავს აკადემიური პატიოსნებისა და ეთიკის სტანდარტებს; ინტერპერსონალური ურთიერთობების ეთიკას. მაგისტრატურადამთავრებულები შეძლებენ, დამოუკიდებლად იკვლიონ ღირებულებათა ფორმირებისა და მათი მნიშვნელობის საკითხები, ასევე შეეძლებათ ღირებულებათა დამკვიდრების მეთოდების შემუშავება და წვლილის შეტანა ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში. ეთნოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ხელს შეუწყობს ტოლერანტი, შემწყნარებელი, სხვათა კულტურის დამფასებელი ადამიანის ჩამოყალიბებას.<br><br>**დეტალურად იხ.**<br>http://www.tsu.edu.ge/data/file_db/faculty_humanities/MA%20etnologia.program_90915.pdf | | |
| **ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერება** | **სამაგისტრო პროგრამის მიზანია**, სტუდენტს მისცეს არსებითი ცოდნა და კვლევა-ძიების გამოცდილება ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების სფეროში; გამოუმუშაოს ლინგვისტური პრობლემების დასმის, საჭირო რესურსების მოძიების, საკითხების კომპლექსურად შესწავლისა და გადაჭრის, ინფორმაციის ანალიზისა და სინთეზის საფუძველზე შესაბამისი დასკვნების ჩამოყალიბების უნარი. სამაგისტრო პროგრამა გულისხმობს | **ცოდნა და გაცნობიერება:**<br>სტუდენტს აქვს ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, ფლობს სხვადასხვა ენობრივ დონეზე ენობრივი სტრუქტურების ანალიზის ძირითად თეორიულ საფუძვლებს და მეთოდოლოგიებს, ასევე, ტიპოლოგიურ და ისტორიულ-შედარებითი მეთოდით ენათა სისტემური შედარების თეორიებს და საფუძვლიანად იცნობს თანამედროვე ენათმეცნიერების გამოყენებით დარგებს - სოციოლინგვიტიკას, ფსიქოლინგვიტიკას, | 120 | 2012 წლის 18 ივლისის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #236 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | მაგისტრანტის საფუძვლიან მომზადებას და ენათმეცნიერების სფეროში მის პროფესიულ სპეციალიზაციას, რაც დაემყარება, ერთი მხრივ, ლინგვისტიკის გამოყენებითი ასპექტების - კომპიუტერული ლინგვისტიკის, ექსპერიმენტული ფონეტიკის, სოციოლინგვისტიკის, ფსიქოლინგვისტიკის - ცოდნა–გაცნობიერებას; მეორე მხრივ კი, თეორიული და შედარებითი ლინგვისტიკის დარგების - ფონეტიკა-ფონოლოგიის, მორფოსინტაქსის, სემანტიკა-პრაგმატიკის, ენათა ტიპოლოგიისა და უნივერსალიების, ისტორიულ-შედარებითი მეთოდოლოგიის - ცოდნასა და ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის განვითარებას. თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების ინსტიტუტთან არსებული ექსპერიმენტული კვლევის ლაბორატორიის არსებობა პროგრამას საშუალებას აძლევს ცალკე არჩევით სასწავლო საგანთა ბლოკად გამოყოს ზოგადი ფონეტიკა–ფონოლოგია, რომელიც ორიენტირებულია თანამედროვე ფონოლოგიის უახლესი მიღწევების საფუძველზე აღზარდოს ენათმეცნიერი ექსპერიმენტული ფონეტიკისა და ექსპერტიზის სფეროში ცოდნის კონცენტრაციით. | კოგნიტიურ ლინგვისტიკას, კომპიუტერულ ლინგვიტიკას და სხვა. აქვს უნარი შეიმუშაოს ახალი, ორიგინალური იდეები, გააცნობიეროს ცალკეული ენათმეცნიერული პრობლემების გადაჭრის ნოვატორული მიდგომები და გზები. ფლობს სინქრონული და დიაქრონული ფონეტიკის, ფონეტიკის ისტორიის, შედარებითი ფონეტიკის, ექსპერიმენტული ფონეტიკისა და ფონეტიკური ექსპერტიზის ყველა მეთოდს.<br>მაგისტრს  აქვს ერთ-ერთი ევროპული ენის (ინგლისურის/ გერმანულის /ფრანგულის) ცოდნა B2 დონეზე მისი სასწავლო და კვლევითი მიზნებისთვის გამოსაყენებლად.<br><br>**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:**<br>შეუძლია მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება და კვლევის დამოუკიდებლად წარმართვა: კვლევის კონკრეტული ამოცანის შემოსაზღვრა, შესაბამისი ენობრივი მასალის მოპოვება და მონაცემთა ბაზის შექმნა; მასალის დამოუკიდებლად ანალიზი ფონეტიკა-ფონოლოგიის, მორფოსინტაქსისა და სემანტიკა-პრაგმატიკის დონეზე; ენათა შედარებითი ანალიზი ტიპოლოგიისა და უნივერსალიების, ისტორიულ-შედარებითი მეთოდოლოგიის გამოყენებით; ახალ, გაუთვალიწინებელ და მულტიდისციპლინარულ სფეროში ინოვაციური კომპლექსური პროპლემების გადაწყვეტა, ორიგინალური გზების მოძიება; კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | დეტალურად იხ. http://www.tsu.edu.ge/data/file_db/faculty_humanities/MA2012_zogadi%20da%20gamoyenebiti%20enatmecniereba.pdf | უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით. შეუძლია, გაშალოს კვლევა ერთი რომელიმე ენის, ისე ენათა მონათესავე ან ერთ არეალში გავრცელებული ენების ბგერითი სისტემების კომპარატივისტული და ტიპოლოგიური თვალსაზრისით.<br>მაგისტრს შეუძლია ერთ-ერთ ევროპულ ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) სასპეციალიზაციო დარგში სამეცნიერო ლიტერატურის გაგება და დამუშავება, ასევე სამეცნიერო ხასიათის ტექსტის შედგენა (საკონფერენციო მოხსენება, სამეცნიერო სტატია და სხვ.) და დარგობრივი პრეზენტაციის მომზადება შესწავლილი ენის შესაბამის უცხოენოვან აუდიტორიაში.<br><br>**დასკვნის უნარი:**<br>კურსდამთავრებულს შეუძლია კვლევის უახლესი მეთოდებით მოპოვებული ახალი, რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზი და ამ ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება. ენათმეცნიერების უახლესი თეორიული მიდგომებისა და მიმართულებების საფუძვლიანი ცოდნა მას დაეხმარება კონკრეტულ ენობრივ მასალაზე დაყრდნობით პრობლემის გადასაჭრელად სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებაში და ინფორმაციის ინოვაციურ სინთეზში. აკეთებს სანდო დასკვნებს როგორც ჩაწერილი, ისე სამეტყველო ბგერების ურთიერთმიმართებათა შესახებ ერთი ან რამდენიმე ენის ფარგლებში. | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **კომუნიკაციის უნარი:**<br>კურსდამთავრებულს აქვს ენათმეცნიერების სფეროში ახალი და არსებული ცოდნის ურთიერთკავშირის დასაბუთებულად წარმოჩენის უნარი აკადემიურ თუ პროფესიულ, მათ შორის საერთაშორისო დონეზე, საზოგადოებასთან დარგობრივი პრობლემატიკის საკითხებზე დისკუსიაში ჩართვის უნარი; აცნობიერებს აკადემიური ეთიკის სტანდარტებს. ფლობს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს და უცხო ენას, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მის საკომუნიკაციო უნარს. მაგისტრს აქვს საჯარო გამოსვლის ტექსტის, სამეცნიერო ნაშრომის ქართულ და უცხო ენაზე შექმნის უნარი აკადემიური ნორმებისა და სტანდარტების დაცვით და ქართულ და უცხო ენაზე პრეზენტაციის წარმართვის უნარი;<br><br>სწავლის უნარი:<br>ენათმეცნიერების უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, კურსდამთავრებული მზადაა ახალი იდეების მისაღებად და გასავითარებლად სწავლის, ნებისმიერი საქმიანობისა თუ კვლევის პროცესში. მას შეუძლია სწავლის პროცესის დამოუკიდებლად წარმართვა. ამ პროცესის თავისებურებების გაცნობიერების ფონზე აქვს სწავლის სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე.<br><br>**ღირებულებები:** | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | შეუძლია უახლეს ენათმეცნიერულ თეორიებსა და მიდგომებში ახალი ღირებულებების გამოკვეთა, ამ ღირებულებებისადმი თავისი თუ სხვების დამოკიდებულებების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა. პატივს სცემს საკუთარ პროფესიას, იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს, ინტელექტუალურ საკუთრებას, მორალურ, ეთიკურ, კულტურულ და სამართლებრივ ნორმებს, ზოგადსაკაცობრიო, ევროპულ და ეროვნულ ღირებულებებს.<br><br>**დეტალურად იხ.** http://www.tsu.edu.ge/data/file_db/faculty_humanities/MA2012_zogadi%20da%20gamoyenebiti%20enatmecniereba.pdf | | |
| ქართველური ენათმეცნიერება | **ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს** მოამზადოს ქართველური ენების კვალიფიციური სპეციალისტები, კერძოდ, მაგისტრანტებს საფუძვლიანად შეასწავლოს ძველი და ახალი ქართული სალიტერატურო ენისა და ქართველური ენების და დიალექტების ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური სტრუქტურები, ქართული ენის პრაგმატიკა და ქართულის როგორც მეორე ენის სწავლების საკითხები. გააცნოს ლინგვისტური კვლევის თანამედროვე მეცნიერული თეორიები, ისტორიულ-შედარებითი და დესკრიპციული ანალიზის პრინციპები, | **ცოდნა და გაცნობიერება** აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის დასრულების შედეგად კურსდამთავრებულს ეცოდინება ქართველური ენები და გაცნობიერებული ექნება ქართველური ენათმეცნიერების კარდინალური საკითხები. მიღებული კვალიფიკაცია, კომპეტენცია და მეცნიერული კვლევის უნარი კურსდამთავრებულს შესაძლებლობას მისცემს გააცნობიეროს ქართველური ენათმეცნიერების ცალკეული პრობლემები, მონახოს ამ პრობლემათა გადაჭრის გზები და შეიმუშაოს ორიგინალური იდეები აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. კერძოდ,<br>• კურსდამთავრებულს ეცოდინება ძველი და ახალი ქართული სალიტერატურო ენის სტრუქტურა; გაცნობიერებული ექნება ძველ | 120 | 2012 წლის 18 ივლისის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #223 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ენის დამუშავების კომპიუტერული მეთოდები; ასწავლოს დიალექტების აღწერის პრინციპები; განუვითაროს დიალექტურ ტექსტებზე მუშაობის უნარი; ანალიტიკური აზროვნება, საკითხისადმი კრიტიკული მიდგომა და მეცნიერული კვლევის უნარი.<br>სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს ქართველური ენების სპეციალობის ფილოლოგთა მომზადებას და ამ სფეროს სპეციალისტთა ინტეგრაციას საერთაშორისო ლინგვისტურ სივრცეში.<br>სამაგისტრო პროგრამა „ქართველური ენათმეცნიერება“ ითვალისწინებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებას. კერძოდ, ორიენტირებულია ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრებაზე, საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული განვითარების ხელშეწყობაზე; ტრადიციისა და ინოვაციის ლოგიკურ შერწყმაზე, სტუდენტის პიროვნულ და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვაზე; სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებასა და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებაზე. უნივერსიტეტს აქვს ამ დარგის განვითარების კარგი | და ახალ ქართულ სალიტერატურო ენაზე შესრულებული ტექსტების ლინგვისტურად გამართვისა და შესაბამისი სალექსიკონო მასალის ანალიზის პრობლემატიკა.<br>კურსდამთავრებულს შესწავლილი და გაცნობიერებული ექნება თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები.<br>• კურსდამთავრებულს ეცოდინება ქართველური ენებისა და ქართული დიალექტების სტრუქტურა; გაცნობიერებული ექნება კოლხურ და სვანურ ენებზე შესრულებული ტექსტებისა და ქართული დიალექტური ტექსტების ლინგვისტურად გამართვისა და შესაბამისი სალექსიკონო მასალის ანალიზის პრობლემატიკა.<br>• კურსდამთავრებულისათვის თვალსაჩინო გახდება ენის, კონკრეტულად, ქართული ენის, როლი და ადგილი, აგრეთვე, ლინგვისტიკის, კონკრეტულად ქართული და ქართველური ენათმეცნიერების წვლილი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში.<br>• კურსდამთავრებულს გააცნობიერებული ექნება ქართულის როგორც მეორე ენის სწავლებისა და შესწავლის პრობლემატიკა. კურსდამთავრებულს ეცოდინება მეორე ენის სწავლებისა და შესწავლის თეორიები და მათი პრაქტიკულად გამოყენების მნიშვნელობა ქართულის როგორც მოერე ენის სწავლების პროცესში.<br>• მაგისტრს აქვს ერთ-ერთი ევროპული ენის (ინგლისურის/ გერმანულის /ფრანგულის) ცოდნა B2 დონეზე მისი სასწავლო და კვლევითი მიზნებისთვის გამოსაყენებლად. | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ტრადიციები და აკადემიური პოტენციალი.<br>დეტალურად იხ.<br>http://www.tsu.edu.ge/data/file_db/faculty_humanities/qartveluri%20enatmecniereba%20_MA_2011_88345.pdf | **ცოდნის პრაქტიკული გამოყენება/პრაქტიკული უნარები:**<br>კურსდამთავრებული შეიძენს არა მარტო ქართველური ენების სტრუქტურისა და მასთან დაკავშირებული პრაქტიკული საკითხების ცოდნას, არამედ ფართო ჰუმანიტარულ განათლებას, რომელიც აუცილებელია თანამედროვე  ინტერდისციპლინური კვლევებისათვის. ყოველივე ეს კურსდამთავრებულს მისცემს შესაძლებლობას, ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში თავისუფლად იმოქმედოს, მოიძიოს კომპლექსური პრობლემის გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზები და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში დამოუკიდებლად წარმართოს კვლევა უახლესი მეთოდების გამოყენებით.  კერძოდ,<br>• კურსდამთავრებულს ექნება უნარი ენათმეცნიერული თვალსაზრისით განიხილოს ძველი და ახალი ქართული სალიტერატურო ენის ტექსტები, გამოსაცემად მოამზადოს ისინი. შეეძლება ბიბლოგრაფიის მომზადება თანამედროვე  ტექნოლოგიების გამოყენებით, ექნება უნარი აწარმოოს ტექსტოლოგიური კვლევა და ძველი და ახალი ქართული სალიტერატურო ენის შესახებ დაწეროს ლინგვისტური გამოკვლევა.<br>• კურსდამთავრებულს ექნება უნარი ლინგვისტურად განიხილოს კოლხური, სვანური და ქართული დიალექტური ტექსტები, გამოსაცემად მოამზადოს ისინი. | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | შეეძლება ბიბლოგრაფიის მომზადება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, ექნება უნარი აწარმოოს ტექსტოლოგიური კვლევა, კოლხური და სვანური ენებისა და ქართული დიალექტების შესახებ დაწეროს საენათმეცნიერო გამოკვლევა.<br>• კურსდამთავრებულს ექნება უნარი ლინგვოკულტუროლოგიური კვლევის თანამედროვე მეთოდების საშუალებით აწარმოოს რედაქციული სამუშაო ნებისმიერი ტიპის ქართულ ტექსტზე.<br>• ექნება უნარი მიაწოდოს და გასაგები გახადოს ქართული ენის თავისებურებანი როგორც საქართველოში მცხოვრებ არაქართველ მოსახლეობას, ასევე საქართველოში ჩამოსულ უცხოელებს, რომლებიც დაინტერესებულები არიან ქართულის როგორც მეორე ენის შესწავლის საკითხებით.<br>მაგისტრს შეუძლია ერთ-ერთ ევროპული ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) სასპეციალიზაციო დარგში სამეცნიერო ლიტერატურის გაგება და დამუშავება, ასევე სამეცნიერო ხასიათის ტექსტის შედგენა (საკონფერენციო მოხსენება, სამეცნიერო სტატია და სხვ.) და დარგობრივი პრეზენტაციის მომზადება შესწავლილი ენის შესაბამის უცხოენოვან აუდიტორიაში.<br><br>**დასკვნის უნარი:**<br>ქართული და სხვა ქართველური ენების მონაცემებსა და მათი კვლევის შესაბამის მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, კურსდამთავრებული მოახერხებს | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | ინფორმაციის ინოვაციურ სინთეზს და რთული (ზოგჯერ არასრული) ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბებას პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით.<br><br>**კომუნიკაციის უნარი:**<br>კურსდამთავრებულს ექნება უნარი, აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმების დაცვით და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გამოყენებით, დაამყაროს კომუნიკაცია აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან ქართველური ენათმეცნიერების პროგრამის ცალკეული მოდულების მიხედვით ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით საკუთარი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების შესახებ ქართულ და უცხოურ ენაზე.<br><br>**სწავლის უნარი :**<br>ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული ქართული და სხვა ქართველური ენების თავისებურებების ცოდნა, ერთი მხრივ, და თანამედროვე საენათმეცნიერო მეთოდების ცოდნა, მეორე მხრივ, მაგისტრის გამოუმუშავებს სწავლის თავისებურებების გაცნობიერების და სტრატეგიულად დაგეგმვის უნარს, რაც მას დაეხმარება დამოუკიდებლად წარმართოს სწავლა.<br><br>**ღირებულებები :** | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | ქართული და სხვა ქართველური ენების ნიმუშების გაცნობა, ქართველური ენების შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლა მაგისტრს შესაძლებლობას მისცემს შეაფასოს თავისი და სხვისი დამოკიდებულება ღირებულებებისადმი, რაც, თავის მხრივ, აღუძრავს სურვილს, შეიტანოს წვლილი ახალი ღირებულების დამკვიდრებაში.<br>**დეტალურად იხ.**<br>http://www.tsu.edu.ge/data/file_db/faculty_humanities/qartveluri%20enatmecniereba%20_MA_2011_88345.pdf | | |
| **ქართული ლიტერატურა** | სამაგისტრო პროგრამა განკუთვნილია სტუდენტებისათვის, რომლებსაც მიღებული აქვთ საწყისი საბაკალავრო განათლება ჰუმანიტარულ მეცნიერებებში და სურთ თავიანთი ცოდნის გაღრმავება ქართულ ლიტერატურასა და ზეპირსიტყვიერებაში. ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს:<br>მოამზადოს მაგისტრები ქართული ლიტერატურის ისტორიის, ლიტერატურული კრიტიკისა და ზეპირსიტყვიერების სფეროებში სამეცნიერო-კვლევითი, პედაგოგიური და პრაქტიკული საქმიანობისათვის;<br>• გამოუმუშაოს მაგისტრანტებს მხატვრული ლიტერატურული ტექსტის პროფესიული კითხვისა და თეორიული კვლევის კულტურა;<br>• გააღრმაოს მაგისტრანტების ცოდნა | **ცოდნა და გაცნობიერება:**<br>პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრი ფლობს ღრმა ცოდნას შემდეგ სფეროებში: ძველი, მე-19 საუკუნისა და თანამედროვე ქართული ლიტერატურის ისტორია, ქართული ზეპირსიტყვიერება. სიღრმისეული ცოდნის საფუძველზე მაგისტრანტს შეუძლია ლიტერატურის ისტორიისა და ლიტერატურათმცოდნეობის, როგორც მეცნიერულ დისციპლინათა სპეციფიკისა და გამოყენებითი მნიშვნელობის შეფასება, ქართული ლიტერატურის გააზრება მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში. მაგისტრანტს აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა, რაც შესაძლებლობას უქმნის ცალკეული პრობლემის განხილვისა და გადაჭრის გზების მოძიებისათვის, ასევე ახალი იდეების განხორციელებისათვის.<br>• მაგისტრანტს მიღებული აქვს ძველი ქართული ლიტერატურის უმთავრესი სფეროების ღრმა და სის-ტემური ცოდნა; | 120 | 2012 წლის 18 ივლისის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #222 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ტექსტის სტრუქტურულ, სტილისტურ, ტიპოლოგიურ და კომპოზიციურ სტრუქტურებთან მიმართებაში;<br>• საფუძვლიანად გაარკვიოს მაგისტრანტები კვლევის განსხვავებული მეთოდოლოგიური სისტემების სტრუქტურაში და გამოუმუშაოს ანალიზის განსხვავებული ხერხებით ოპერირების პროფესიული უნარი;<br>• განუვითაროს მაგისტრანტებს ანალიტიკური აზროვნებისა და პროფესიული წერის (კრიტიკული სტატია, პუბლიცისტური გამოკვლევა, ესსე) შესაძლებლობები, დაუხვეწოს ანალიზის, ინტერპრეტაციისა და დამუკიდებელი კვლევის წარმოების უნარ-ჩვევები;<br>• მიმართოს მაგისტრანტების ინტერესი ინტერდისციპლინური და ინტერკულტურული კვლევებისადმი;<br>• სამაგისტრო პროგრამაში შემავალი ცალკეული მოდულების შესაბამისად, გაუღრმავოს ქართული ლიტერატურის ისტორიის, ლიტერატურული კრიტიკისა და ქართული ზეპირსიტყვიერების კონკრეტული საკითხების კვალიფიციური ცოდნა. სამაგისტრო პროგრამის მიზნები და ორიენტირები სრულად თანხვდება თსუ მისიას  და თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრატეგიულ ხედვას - უზრუნველყოს | ჰაგიოგრაფიული და ჰიმნოგრაფიული თხზულებების საფუძვლიანი ცოდნა; მეცნიერებაში  დამუშავებული ქართული ლიტერატურის საკითხების კრიტიკულად შეფასების უნარი; უახლესი სამეცნიერო ლიტერატურის ისტორიის პრობლემატიკის გაშუქების უნარი; ძველი ქართული ლიტერატურის მსოფლიო ლიტერატურის საერთო კონტექსტში, უპირატესად მედიევალური ლიტერატურის სივრცეში, გააზრების უნარი.<br>• მაგისტრანტს აქვს ღრმა ცოდნა იმ პრობლემატიკის შესახებ, რომლებიც მე-19 ს. ქართული მწერლობისა და ამ ეპოქის ქართველ კლასიკოსთა შემოქმედების შესწავლისას იჩენს თავს. მაგისტრანტს აქვს სისტემური ცოდნა ქართული ლიტერატურის საზღვრებისა და პერიოდიზაციის შესახებ – რა აკავშირებს და რა თვისობრივი თავისებურებები გამოარჩევს ახალ ქართულ მწერლობას ძველი ქართული ლიტერატურიდან, მე-19 ს. მწერლობის რომელ ტრადიციებს ეყრდნობა უახლესი ქართული მწერლობა. მაგისტრანტს შეუძლია ანალიზი იმ ლიტერატურულ მიმართულებათა თავისებურებებისა, რომლებმაც თავი იჩინეს მე-19 ს. ქართულ მწერლობაში (რომანტიზმი, რეალიზმი, კლასიციზმი, სენტიმენტალიზმი, ნატურალიზმის, სიმბოლიზმის არსებობის საკითხი მე-19 ს. ქართულ მწერლობაში).<br>• მაგისტრანტი მნიშვნელოვან ცოდნას ფლობს მე-20 საუკუნის ქართული მწერლობის ისტორიის,  მხატვრული ნაწარმოების ანალიზისა და შეფასების თვალსაზრისით. მას | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ჰუმანიტარულ მეცნიერებათა თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი, მომავალზე ორიენტირებული განათლების მიღების შესაძლებლობა, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება. ქართველოლოგია, როგორც კომპლექსური დარგი და ქართული ლიტერატურა, როგორც მისი შემადგენელი ნაწილი, იმ პრიორიტეტულ მიმართულებებს განეკუთვნება, რომლებშიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს უკავია წამყვანი პოზიცია რეგიონული და საერთაშორისო მასშტაბით.<br>დეტალურად იხ. http://www.tsu.edu.ge/data/file_db/QA_humanities/MA.qartuli.literatura.pdf | გამოწვლივით აქვს შესწავლილი ქართული ლიტერატურის ისტორიის ეს მონაკვეთი, გაანალიზებული აქვს თანამედროვე ლიტერატურული პროცესი და მხატვრული ნააზრევი. მაგისტრანტს აქვს სიღრმისეული ცოდნა ლიტერატურის ისტორიის კონკრეტული პრობლემატიკისა და იცნობს აქამდე ნაკლებად შესწავლილ საკითხებს; შეუძლია ლიტერატურული ნაწარმოების შეფასება შესაბამისი პრინციპებითა და კრიტერიუმებით.<br>• მაგისტრანტს შესწავლილი აქვს ფოლკლორის თეორიის ძირითადი საკითხები (ტრადიცია, ჟანრების წარმოშობა, იმპროვიზაცია, სინკრეტიზმი, კონტამინაცია, ვარიანტულობა, დრო და სივრცე); შეუძლია ფოლკლორული ტექსტის მეცნიერული ანალიზი შედარებით-ისტორიულ, ტიპოლოგიურ, სტრუქტურალისტურ და ფუნქციონალისტურ თეორიებზე დაყრდნობით; იცნობს ხალხური ეპოსის წარმოშობისა და ჩამოყალიბების ძირითად ასპექტებს. არჩევითი კურსები შესწავლისა და სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობის შედეგად სტუდენტს შეუძლია იმუშაოს ისეთ კომპლექსურ პრობლემებზე, როგორიცაა ლიტერატურული ეპოსის წარმოშობა, ფოლკლორულ და ლიტერატურულ ეპიკურ ძეგლთა ურთიერთმიმართება, ფოლკლორულ და ლიტერატურულ ჟანრთა კლასიფიკაცია და ურთიერთმიმართება და სხვ.<br><br>**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება:** | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის დასრულების შედეგად მიღებული ცოდნით, კვალიფიკაციით, კომპეტენციებითა და მეცნიერული კვლევის უნარით კურსდამთავრებულს აქვს შესაძლებლობა, შექმნას მაღალი მეცნიერული ღირებულების მქონე თეორიული ნაშრომი ქართული ლიტერატურის ისტორიის, ლიტერატურული კრიტიკისა და ფოლკლორის სფეროებში მისთვის საინტერესო და აქტუალურ პრობლემაზე. ფილოლოგიის მაგისტრს თავისი სპეციალობით შეუძლია ზოგადად ფილოლოგიისა და, კერძოდ, ქართული ლიტერატურის დარგობრივ სფეროში კომპლექსური პრობლემების ამოცნობა და მათი გადაჭრა შესაბამისი კვლევის მეთოდების გამოყენებით; შეუძლია კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება ლიტერატურათმცოდნეობის და ფოლკლორისტიკის უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; ლიტერატურული და ზეპირსიტყვიერი ტექსტების დამუშავება; კვლევითი ან ანალიტიკური ხასიათის პროექტის განხორციელება. პროგრამით მიღებული ღრმა და სისტემური ჰუმანიტარული ცოდნისა და უნარების საფუძველზე აქვს ლინგვისტური, ლიტერატურული, ფოლკლორული პროცესების შეფასებისა და ანალიზის უნარი; ლიტერატურული ნაწარმოების განზოგადებისა და ისტორიულ კონტექსტში | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | განხილვის უნარი.<br>ფილოლოგიის მაგისტრს შეუძლია რომელიმე ევროპული ენის პრაქტიკული გამოყენება სამეცნიერო წერილობითი კორესპონდენციისა და ზეპირმეტყველების მიზნებისათვის, აქვს სხვადასხვა ტიპის ტექსტების (მათ შორის, სამეცნიერო ლიტერატურის) წაკითხვის, მოსმენის, გაგების, თარგმნის, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და რეპროდუქციის უნარი. შეუძლია პროფესიულ საქმიანობაში ან შემდგომი სწავლის პროცესში ამ ენების ფართო აკადემიური მიზნებისთვის ეფექტურად გამოყენება.<br><br>**დასკვნის უნარი:**<br>ფილოლოგიის მაგისტრს შეუძლია ლიტერატურული და ფოლკლორული ტექსტების კომპარატივისტული კვლევა, კვლევის ამოცანების ფორმულირება, ახალი მეთოდების თეორიულად ათვისება და პრაქტიკულად გამოყენება დამოუკიდებელი კვლევისას. მაგისტრი სრულყოფილად ფლობს თანამედროვე ლიტერატურული და თეორიული კვლევისათვის აუცილებელ ტერმინოლოგიურ აპარატს და შეუძლია ამ აპარატით ოპერირება დამოუკიდებელი კვლევის პროცესში.<br>ფილოლოგიის მაგისტრს გამომუშავებული აქვს ქართველ და უცხოელ მეცნიერთა შეხედულებების კრიტიკული და შემოქმედებითი ინტერპრეტაციის ჩვევა; შეუძლია უახლესი კვლევების საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | შეუძლია ქართული ლიტერატურის ისტორიის პრობლემური საკითხების ინოვაციური ხედვა.<br><br>**კომუნიკაციის უნარი:**<br>პრაქტიკული მუშაობის, მოცემულ საკითხებზე ესეს შექმნისა და პრეზენტაციების მეშვეობით მაგისტრს გამომუშავებული აქვს სპეციალისტებთან, აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე თავისი დასკვნების, დასაბუთებების ჩამოყალიბების უნარი; შეუძლია საინფორმაციო_საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გამოყენებით წარმოადგინოს თავისი დებულებები სპეციალისტთა თუ დაინტერესებულ პირთა წრეში როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენაზე.<br><br>**სწავლის უნარი:**<br>მაგისტრს შეუძლია დამოუკიდებლად წარმართოს და  სტრატეგიულად დაგეგმოს სწავლის პროცესი უფრო მაღალი დონის მისაღწევად. მაგისტრს შეუძლია კონკრეტულ საკითხზე ლიტერატურის მოძიება და საკუთარი სამეცნიერო ინტერსების სფეროში საჭირო ადგილის განსაზღვრა.<br><br>**ღირებულებები:**<br>ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია ქართული ლიტერატურისა და ზეპირსიტყვიერების როლის განსაზღვრა როგორც ეროვნულ კულტურულ მემკვიდრეობაში, ისე მსოფლიოს | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | თანამედროვე ლიტერატურულ პროცესსა და კულტურაში; კონკრეტული ლიტერატურული და ფოლკლორული ნაწარმოების მხატვრული და მეცნიერული ღირებულებების შეფასება, კვლევის გაგრძელების შემთხვევაში კი ახალი ღირებულებების დამკვიდრების პროცესში მონაწილეობა.<br>გაცნობიერებული აქვს ერისთვის ქართული ენისა და ლიტერატურის მნიშვნელობა, გარდა ამისა, ის ზრუნავს ენის სიწმინდის დაცვისათვის.<br>ეთიკური თუ ზნეობრივი ღირებულებების გაცნობიერებით მაგისტრს აქვს უნარი კულტურული მრავალფეროვნების, პიროვნულ განსხვავებათა პატივისცემისა და დაფასებისა, ინტერპერსონალური და აკადემიური ეთიკის ნორმების დაცვისა, გათავისებული აქვს აკადემიური პატიოსნების სტანდარტები.<br><br>**დეტალურად იხ.**<br>http://www.tsu.edu.ge/data/file_db/QA_humanities/MA.qartuli.literatura.pdf | | |
| **ანგლისტიკა** | თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაზაზე მოქმედი ანგლისტიკის სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს მაგისტრი, რომელსაც ექნება ფილოლოგიური, ლექსიკოგრაფიული და ქვეყანათმცოდნეობითი კომპეტენციები, მის მიერ არჩეული მოდულის მიხედვით და მის | **ცოდნა-გაცნობიერება:**<br>**პროგრამისთვის საერთო ზოგადი კომპეტენციები:**<br>ანგლისტიკის სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული პროგრამის სავალდებულო, მოდულის სავალდებულო და მოდულის არჩევითი დისციპლინების მასალის ათვისების საფუძველზე მაგისტრს აქვს მის მიერ მაგისტრატურაში არჩეული სფეროს ღრმა და | 120 | 2012 წლის 18 ივლისის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #238 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ფარგლებში. პროგრამა ინარჩუნებს და აძლიერებს, ერთი მხრივ, საქართველოში ტრადიციულად არსებულ სამეცნიერო–კვლევითი სკოლის ტრადიციებს დასავლეთ ევროპულ ფილოლოგიაში და ამზადებს მაგისტრს როგორც ფილოლოგიური (ზოგად-ფილოლოგიური და შედარებით-შეპირისპირებითი მიმართულებით), ისე ლექსიკოგრაფიული და ქვეყანათმცოდნებითი კომპეტენციებით. პროგრამა ეყრდნობა დარგისთვის წაყენებული თანამედროვე მოთხოვნებს როგორც ფილოლოგიური და ლექსიკოგრაფიული, ისე ქვეყანათმცოდნეობის (ბრიტანეთისმცოდნეობის) თვალსაზრისით.<br>ზემოთქმულის გათვალისწინებით, პროგრამის მიზანია, მისცეს მაგისტრს ღრმა და სისტემური ცოდნა ანგლისტიკის დარგში, მოამზადოს ის როგორც ანგლისტი, აღჭურვილი იმ დარგობრივი კომპეტენციებითა და კვლევითი უნარებით, რომლებიც უზრუნველყოფს მის შრომით დასაქმებას როგორც სამეცნიერო არეალზე, ასევე პრაქტიკულ–გამოყენებით სფეროებში.<br>პროგრამა კარგად იცნობს და ითვალისწინებს ზოგადად ბრიტანული | სისტემური ცოდნა: კერძოდ, პროგრამის სავალდებულო საგნები უზრუნველყოფს: ინგლისური ენის თეორიული სისტემისა და პრაქტიკული სტრუქტურების ფლობის მაღალი (C1) დონეს, ყველა იმ კომპონენტის გათვალისწინებით, რასაც ეს დონე გულისხმობს ენის შესწავლისა და მოქმედების ოთხივე ასპექტში (საუბარი, წერა, მოსმენა და კითხვა); ინტერკულტურული კომუნიკაციის საკვანძო ლინგვისტური საფუძვლების სისტემურ, ღრმა ცოდნას, რომელზე დაყრდობითაც მაგისტრანტი ახერხებს ახალი, ორიგინალური გზების ძიებას ინტერკულტურულ კომუნიკაციასთან დაკავშირებული კონკრეტული პრობლემის გადასაჭრელად; აქვს სიღრმისეული ცოდნა ინგლისური ენის ევოლუციისა საერთო გერმანიკული პერიოდიდან თანამედროვე ეპოქამდე, ღრმა და ყოვლისმომცველი ცოდნა იმ საერთო ნიშნებისა, რაც ინგლისურ ენას აერთიანებს, ერთის მხრივ, გერმანიკულ ენებთან, მეორეს მხრივ კი სხვა ევროპულ ენებთან; ფლობს სათანადო ტერმინოლოგიას და თავის მიერ არჩეულ დარგობრივ სფეროში მუშაობის მეთოდებს; არჩევის შემთხვევაში, ფლობს ერთ-ერთ სხვა უცხო ენას სულ მცირე B1 დონეზე საერთო ევროპული სარეკომენდაციო საბჭოს მიერ შემუშავებული ენის ცოდნის დონეთა განმსაზღვრელი ჩარჩოს მიხედვით და შეუძლია ამ ცოდნის გამოყენება აკადემიური, კვლევითი და საკომუნიკაციო მიზნებისთვის.<br>გარდა ამისა, არჩეული მოდულის ფარგლებში, | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | და ინგლისურად მოლაპარაკე ქვეყნების ფილოლოგიის კვლევის თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებს, მსოფლიო ლექსიკოგრაფიისა და ანგლისტიკის (ბრიტანისტიკის) სასწავლო და კვლევითი ცენტრების გამოცდილებას. სამაგისტრო პროგრამა მასში ჩართული აკადემიური რესურსით, სასწავლო და კვლევითი კომპონენტით მიზნად ისახავს, მოიცვას დარგის ღრმა და სისტემური ცოდნა და მაგისტრის მომზადებისას გაითვალისწინოს ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნები, აგრეთვე უზრუნველყოს საკუთარი კურსდამთავრებულისთვის შესაბამისი და მომიჯნავე სპეციალობებით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.<br>დეტალურად იხ. http://www.tsu.edu.ge/data/file_db/faculty_humanities/MA_2012%20program%20anglistika.pdf | მაგისტრი ფლობს მოდულისათვის სპეციფიკურ დარგობრივ კომპეტენციებს, კერძოდ:<br><br>**ინგლისური ენის თეორიის მოდული:**<br>დასავლეთ ევროპის ლინგვისტური აზროვნების ევოლუციის გადამწყვეტი ეტაპების, ლინგვისტურ ცვლილებათა მექანიზმების შესახებ ამომწურავი, ღრმა ცოდნა; ენათმეცნიერების თანამედროვე თეორიების (ლექსიკური სემანტიკის, პრაგმატიკის, ტექსტის ლინგვისტიკის, სოციოლინგვისტიკის, კოგნიტიური და ფუნქციონალური ლინგვისტიკის, მეტაფორის თორიის, კომუნიკაციური ლინგვისტიკის) შესახებ ღრმა და ამომწურავი ცოდნა; ლინგვისტური აზროვნების ევოლუციისა და ინგლისური ენის განვითარების თანამედროვე ტენდენციების ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა; ინგლისური ლიტერატურისა და ბრიტანული კულტურის ძირითადი და საკვანძო მოვლენების ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა; ენის სოციალური ბუნებისა და მისი განვითარების ტენდენციების ცოდნა კულტურული და ეროვნული იდენტურობის საფუძველზე; დისკურსის შესახებ კრიტიკული თეორიების ამომწურავი, სიღრმისეული ცოდნა, პრაგმატიკისა და დისკურსის კვლევის მეთოდების ღრმა ცოდნა; თანამედროვე მეტაფორის თეორიის უახლესი პარამეტრებისა და კომუნიკაციური ლინგვისიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ ცოდნა. | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისური ლიტერატურის მოდული:**<br>ინგლისური ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების ღრმა, სისტემური და საფუძვლიანი ცოდნა მათი ლინგვისტურ და სოციოკულტურულ კონტექსტში გააზრებით; ღრმა და ამომწურავი ცოდნა როგორც ინგლისური ლიტერატურის კლასიკოსების ( ჩოსერის, შექსპირის, მილტონის ), ასევე ინგლისური მოდერნისტული ლიტერატურისა და, ასევე, უახლესი ლიტერატურული პროცესის შესახებ. შეუძლია მიღებულ ღრმა ცოდნაზე დაყრდნობით შეიმუშავოს ახალი, ორიგინალური იდეები, გააცნობიეროს ცალკეული, ინგლისურ ლიტერატურასთან დაკავშირებული კონკრეტული პრობლემის გადაჭრის ორიგინალური გზები;<br><br>ენისა და ლექსიკოგრაფიის მოდული:<br>მაგისტრი ფლობს სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის თემატიკასთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი საკითხების ღრმა ცოდნას; კომპონენტური ანალიზის მეთოდის, დეფინიციათა ანალიზის მეთოდის, კონტექსტუალური ანალიზისა და სხვა მეთოდების გამოყენების შესახებ ღრმა, სისტემური ცოდნას სიტყვის მნიშვნელობის, მისი პოლისემიის, ეტიმოლოგიის, სტილისტური თუ სხვა მახასიათებლების გასახსნელად და სიღრმისეულად გასაანალიზებლად; მსოფლიო პრაქტიკაში აღიარებული ლექსიკოგრაფიული პრინციპების ღრმა და სისტემურ ცოდნას განმარტებითი, თარგმნითი, დარგობრივი, | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | ფრაზეოლოგიური, სლენგური და სხვა ტიპის ლექსიკონების შესადგენად; სიტყვა-სტატიის სტრუქტურის, მისი ძირითადი კომპონენტების სისტემური ცოდნას, როგორც ზოგადი, ისე ტერმინოლოგიური ლექსიკისათვის;<br><br>**ბრიტანეთისმცოდნეობის მოდული:** ბრიტანეთისმცოდნეობის მოდულის არჩევის შემთხვევაში მაგისტრს აქვს ღრმა, ამომწურავი და სისტემური ცოდნა ბრიტანეთის თანამედროვე საზოგადოების, მისი საზოგადოებრივი მოწყობის, პოლიტიკის, ეკონომიკის, კულტურის, ლიტერატურისა და ისტორიის მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ; ბრიტანეთის თანამედროვე ეკონომიკურ-პოლიტიკური ურთიერთობებისა და მისი გლობალური სტატუსისა და როლის შესახებ ევროპასა და მსოფლიოში; ბრიტანულ-ქართული ლიტერატურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების შესახებ.<br><br>**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:** ანგლისტიკის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია მის მიერ არჩეულ დარგობრივ სფეროში კომპლექსური პრობლემების ამოცნობა/იდენტიფიცირება და მათი გადაჭრა დარგში მიღებული კვლევის მეთოდების გამოყენებით; ცოდნის გამოყენება ახალ, გაუთვალისწინებელ გარემოში ან (მომიჯნავე) მულტიდისციპლინურ კონტექსტში; შეუძლია კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის, | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; ჰუმანიტარული სფეროსთვის დამახასიათებელი კვლევითი მეთოდების გამოყენებით წყაროების დამუშავება და კვლევითი ან ანალიტიკური ხასიათის პროექტის განხორციელება. პროგრამით მიღებული შესაბამისი ღრმა და სისტემური ჰუმანიტარული ცოდნის, უნარების საფუძველზე აქვს ლინგვისტური, ლიტერატურული, ისტორიული და სოციალური პროცესების შეფასებისა და ანალიზის უნარი; ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების განზოგადებისა და ისტორიულ კონტექსტში განხილვის უნარი.<br>მაგისტრს შეუძლია ინგლისური ენის, არჩევის შემთხვევაში სხვა უცხო ენის, პრაქტიკული გამოყენება მთელი რიგი წერილობითი კორესპონდენციისა და ზეპირმეტყველების მიზნებისათვის, სხვადასხვა ტიპის ტექსტების (მათ შორის, სამეცნიერო ლიტერატურის) წაკითხვის, მოსმენის, გაგების, თარგმნის, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და რეპროდუქციის უნარი, ინგლისურ ენაზე C1 დონეზე. შეუძლია პროფესიულ საქმიანობაში ან შემდგომი სწავლის პროცესში ამ ენების ფართო აკადემიური მიზნებისთვის ეფექტურად გამოყენება.<br><br>**დასკვნის უნარი:**<br>მაგისტრს შეუძლია სფეროსათვის დამახასიათებელი რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი; მას აქვს ცოდნის ინტეგრირების უნარი; შეუძლია განყენებული მონაცემებისა და /ან სიტუაციების ანალიზი დარგობრივი სფეროსათვის შესაბამისი როგორც სტანდარტული ისე  ინოვაციური მეთოდების გამოყენებით, დასაბუთებული  დასკვნის ჩამოყალიბება და მკაფიო არგუმენტებით დასაბუთება; ზუსტი ფორმულირებით გადმოცემა; აქვს პრობლემის სინქრონიაში და დიაქრონიაში ხედვის უნარი; სისტემის (სტრუქტურის) შემადგენელი ცალკეული ელემენტების ურთიერთზეგავლენის გააზრების, სიტუაციაში ადაპტირების და მინიმალური დახმარების პირობებში მუშაობის და გადაწყვეტილების მიღების უნარი. ჯგუფური თუ დამოუკიდებელი მუშაობის პირობებში მას შეუძლია აბსტრაქტული მონაცემებისა და კონცეფციების საჭიროებისამებრ ტრანსფორმაცია და პრობლემის გადაჭრის გზების მონახვა. შეუძლია  სასპეციალიზაციო სფეროში კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრა სათანადო ცოდნისა და მეთოდების გამოყენებით.<br><br>**კომუნიკაციის უნარი:**<br>მაგისტრს შეუძლია დისკუსიაში პროფესიულ დონეზე მონაწილეობა, თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | გაზიარება აკადემიური, სამეცნიერო და პროფესიული წრეებისთვის ქართულ და უცხოურ ენებზე, მას შეუძლია ასევე თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების აქტიურად გამოყენება დარგობრივ სფეროში.<br>მაგისტრს შეუძლია მაპროფილებელ - ინგლისურ და, არჩევის შემთხვევაში, სხვა ევროპულ ენებზე გაიგოს კონკრეტული და აბსტრაქტული თემების მქონე რთული ტექსტების შინაარსი, შეუძლია დარგობრივი დისკუსიის წარმართვა; სპონტანური და შეუფერხებელი საუბარი, ნორმალური დიალოგის წარმართვა ენის მატარებელთან; შეუძლია ინფორმაციის სხვადასხვა უცხოენოვანი წყაროს გამოყენება; სხვადასხვა თემებზე თავის აზრებისა და შეხედულებების წერილობით მკაფიოდ ჩამოყალიბება; შეუძლია სამეცნიერო ანგარიშის და ესეს დაწერა, არგუმენტების მოყვანა სხვადასხვა შეხედულებების საწინააღმდეგოდ ან მხარდასაჭერად.<br><br>სწავლის უნარი:<br>მაგისტრს აქვს სამუშაო დროის სტრატეგიულად დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი: თავისი კომპეტენციის სფეროში შეუძლია სამუშაოს დაწყებამდე სამუშაოს შესრულების გეგმის დამოუკიდებლად შედგენა, პრიორიტეტების გამოყოფა, მუშაობის პროცესში საჭირო რესურსების უზრუნველყოფა და გამოყენება. მას კარგად აქვს გაცნობიერებული ცოდნის გაღრმავების | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | აუცილებლობა; შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის დამოუკიდებლად წარმართვა რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით; საკუთარი სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერებით მისი თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა. შეუძლია საკუთარ თავზე მუშაობა და მაგისტრატურაში მიღებული ცოდნისა და უნარების დარგობრივ საქმიანობაში დამოუკიდებლად სრულყოფა; შეუძლია სამეცნიერო დარგობრივ ლიტერატურაზე დამოუკიდებელი მუშაობით ცოდნის განახლება; მას აქვს განათლების შემდგომ (სადოქტორო) საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.<br><br>**ღირებულებები:**<br>მაგისტრს კარგად აქვს გაცნობიერებული პროფესიული, სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობები და სათანადო აკადემიური და ეთიკური ნორმები. იცავს აკადემიური პატიოსნებისა და ეთიკის სტანდარტებს; ინტერპერსონალური ურთიერთობების ეთიკას. მას აქვს კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის, ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარი; ახასიათებს ტოლერანტობა, განსხვავებული კონფესიების, კულტურებისა და აზრის პატივისცემა; დემოკრატიული ფასეულობების პატივისცემა; შეუძლია ღირებულებებისადმი თავისი და სხვების | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.<br>**დეტალურად იხ.**<br>http://www.tsu.edu.ge/data/file_db/faculty_humanities/MA_2012%20program%20anglistika.pdf | | |
| | ორიენტირებულია ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრებაზე, საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული განვითარების ხელშეწყობაზე; ტრადიციისა და ინოვაციის ლოგიკურ შერწყმაზე, სტუდენტის პიროვნულ და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვაზე; სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებასა და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებაზე. უნივერსიტეტს აქვს ამ დარგის განვითარების კარგი ტრადიციები და აკადემიური პოტენციალი.<br><br>**დეტალურად იხ.** http://www.tsu.edu.ge/data/file_db/faculty_humanities/ma%20program%20targm.%20teoria%20da%20mtargmn.%20praqtika%202012_90904.pdf | კულტურათაშორისი კომუნიკაციის რთული პრობლემები იმ შემთხვევაშიც კი გადაჭრას, როცა მწირი და წინააღმდეგობრივი ინფორმაცია აქვს.<br><br>**კომუნიკაციის უნარი -** მაგისტრს აქვს ზეპირი და წერითი პრეზენტაციის დახვეწილი კულტურა; შეუძლია აკადემიური თუ პროფესიული საზოგადოების წინაშე ქართულ და უცხოურ ენებზე ლოგიკურად დაასაბუთოს და დაიცვას თავისი პოზიცია და თარგმანმცოდნეობის კვლევების თანამედროვე მეთოდებზე დაფუძნებული თვალსაზრისი. მას შეუძლია იყოს საერთაშორისო აკადემიური სივრცის სრულფასოვანი წევრი.<br><br>**სწავლის უნარი -** მაგისტრი აცნობიერებს სწავლის პროცესის თავისებურებებს. მას შეუძლია სტრატეგიულად სწორად და მაღალ დონეზე დაგეგმოს სწავლა და ცოდნის გაღრმავება, მომავალში სწავლა განაგრძოს დოქტორანტურაში ან დამოუკიდებლად გააგრძელოს თავისი პროფესიული ცოდნის სრულყოფა.<br><br>**ღირებულებები** - მაგისტრს თეორიული კვლევისა და პრაქტიკული მოღვაწეობის დროს სიღრმისეულად აქვს გაცნობიერებული მთარგმნელის როგორც პროფესიული, ასევე ეთიკური და მორალური პასუხისმგებლობა. მას შეუძლია ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების სწორი შეფასება; თარგმანის, როგორც კულტურათაშორისი | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | კომუნიკაციის უმნიშვნელოვანესი ფენომენის, პრაქტიკული და თეორიული ასპექტების სიღრმისეული გააზრების საფუძველზე სტუდენტს განვითარებული აქვს განსხვავებული კულტურებისა და აზრის პატივისცემა; იგი არა მარტო მატარებელია ამ ღირებულებებისა, არამედ თავისი პროფესიული საქმიანობის დროს ხელს უწყობს საზოგადოებაში მათ დამკვიდრებას. მაგისტრი აცნობიერებს და იცავს აკადემიური პატიოსნების საყოველთაოდ აღიარებულ სტანდარტებს.<br><br>**დეტალურად იხ.**<br>http://www.tsu.edu.ge/data/file_db/faculty_humanities/ma%20program%20targm.%20teoria%20da%20mtargmn.%20praqtika%202012_90904.pdf | | |
| **თარგმანი და კულტურათა შორისი ურთიერთობები (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე)** | **პროგრამის მიზანია** მოამზადოს ფართო პროფილის მთარგმნელი ინგლისურიდან ქართულ ენაზე და ქართულიდან ინგლისურ ენაზე, აგრეთვე თარგმანის თეორეტიკოსი და თარგმანის კრიტიკოსი. პროგრამა მიზნად ისახავს ისეთი მთარგმნელის მომზადებას, რომელიც განსწავლული იქნება ინგლისის კულტურასა და ქართულ-ინგლისურ კულტურულ ურთიერთობებში. მთარგმნელი მომზადდება თანამედროვე მეცნიერული მეთოდოლოგიის ათვისების საფუძველზე, რაც ნიშნავს თარგმანის თანამედროვე თეორიის უახლესი მიღწევების გათვალისწინებას | **ცოდნა და გაცნობიერება**<br>სამაგისტრო პროგრამის წარმატებით დასრულების შედეგად მაგისტრი ფლობს საფუძვლიან ცოდნას თარგმანის თეორიაში, ინგლისის კულტურასა და ქართულ-ინგლისურ კულტურულ ურთიერთობებში. ამასთანავე კურსდამთავრებულს გამომუშავებული აქვს თარგმნის პრაქტიკული ჩვევები ინგლისურიდან ენიდან ქართულად და ქართული ენიდან ინგლისურად. როგორც დარგობრივი (ისტორია, ლიტერატურის ისტორია და კრიტიკა, სოციოლოგია, ეკონომიკა და ბიზნესი, მასმედია და პოლიტიკა, იურისპრუდენცია და სხვა), ასევე მხატვრული ტექსტის ფარგლებში. სამაგისტრო კურსი ითვალისწინებს როგორც წერითი | 120 | 2012 წლის 18 ივლისის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #221 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | პრაქტიკულ საქმიანობაში.<br>ამგვარად, სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს, მოიცვას დარგის ღრმა და სისტემური ცოდნა და მაგისტრის მომზადებისას გაითვალისწინოს ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნები. გამომდინარე იქიდან, რომ გაზრდილ საერთაშორისო ურთიერთობების პირობებში მოთხოვნა წარმატებულ მთარგმნელზე დიდია, პროგრამის უპირველესი მიზანია, მოამზადოს კონკურენტუნარიანი მთარგმნელი, რომელიც დააკმაყოფილებს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებს. პროგრამა აგრეთვე უზრუნველყოს საკუთარი კურსდამთავრებულისთვის შესაბამისი და მომიჯნავე სპეციალობებით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა. პროგრამით გათვალისწინებული სტუდენტზე ორიენტირებული, კომპლექსური სწავლება მიზანმიმართულია სტუდენტის მრავალმხრივი ინტერესებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებისაკენ, მისთვის პიროვნული და აკადემიური თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, ეთიკური იდეალების, კრიტიკული, შემოქმედებითი და პროგრესული აზროვნების გამომუშავებისკენ; კონკურენტუნარიანი პროფესიული კადრის განვითარების, სრულფასოვანი | (კომპოზიციისა და სტილისტიკის უნარ-ჩვევების გათვალისწინებით), აგრეთვე ზეპირი თანმიმდევრული თარგმანის დაუფლებასაც.<br><br>**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი**<br>მიღებული ცოდნის საფუძველზე მაგისტრს შეუძლია თავისუფლად იმოქმედოს შესაბამის პროფესიულ გარემოში და წარმატებით გაართვას თავი ინგლისურ–ქართულ და ქართულ–ინგლისურ თარგმანს. ამავე დროს მაგისტრს შეუძლია კომპლექსური პრობლემების ახალი, ორიგინალური გზების მოძიება, თარგმანის თეორეტიკული საკითხების კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, რაც დაეხმარება მას გააგრძელოს მუშაობა ამ სფეროში და გამოაქვეყნოს პუბლიკაციები ახალი მიგნებებისა და ჩატარებული კვლევის ირგვლივ. განსაკუთრებით ეხება ეს თარგმანის კრიტიკოსის ჩამოყალიბებას, რაც რეალურად საჭირო საქმეა საქართველოში.<br><br>**დასკვნის გაკეთების უნარი**<br>მაგისტრატურის წარმატებით დასრულების შემდეგ მაგისტრი შეძლებს რთული და წინააღმდეგობრივი მონაცემების სწორ შეფასებას, მათ სინთეზსა და ანალიზს, რათა დამოუკიდებლად მიიღოს სწორი გადაწყვეტილება.<br>კურსდამთავრებულს შეუძლია დამოუკიდებლად განსაზღვროს პროფესიული | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | მოქალაქის ჩამოყალიბებისა და ახალგაზრდებში ეროვნულ–ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებისაკენ.<br><br>დეტალურად იხ. http://www.tsu.ge/data/file_db/faculty_humanities/MA2012_programa%20targman.%20da%20kultura.pdf | პრობლემები დარგობრივი თუ მხატვრული ტექსტის თარგმნისას, მით უმეტეს, რომ თანამედროვე ლიტერატურა მიმდინარე სიახლეებს შეიცავს ხედვისა და ტერმინოლოგიის თვალსაზრისით, ამდენად მაგისტრს აქვს უნარი, შესაბამისად შეიმუშაოს ახალი იდეები და მეთოდები, რათა გამონახოს დამატებითი რესურსები ამ პრობლემების გადასაჭრელად.<br><br>**კომუნიკაციის უნარები**<br>მაგისტრს შეუძლია რთული და სადაო ინფორმაციის ეფექტური გადაცემა დარგის სპეციალისტებისა და ფართო საზოგადოებისათვის;<br>შეუძლია წარმატებულად შეასრულოს ზეპირი თანმიმდევრული თარგმანი ინგლისურიდან ქართულად და ქართულიდან ინგლისურად;<br>შეუძლია თავისი პროფილის მიხედვით უცხო ენაზე სათანადო ინფორმაციის მიწოდება და მოხსენების გაკეთება ინგლისურენოვან აუდიტორიაში;<br>მაგისტრს შეუძლია პროფესიულ წრეებთან ურთიერთობა, როგორც საკუთარი საქმიანობის, ასევე დარგის განვითარების საკეთილდღეოდ. მას აქვს სათანადო ცოდნა და ჩვევები, რომ მონაწილეობა მიიღოს როგორც საკუთარი ქვეყნის, ისე საერთაშორისო კონფერენციების მუშაობაში თარგმანმცოდნეობისა და ქართულ-ბრიტანული კულტურათაშორისი ურთიერთობების პროფილით. | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **სწავლის უნარი**<br>მაგისტრატურის წარმატებით დამთავრების შემდეგ შეძლებს სწავლის პროცესის დამოუკიდებლად დაგეგმვასა და მართვას.<br><br>**ღირებულებები**<br>მაგისტრი აკმაყოფილებს ეთიკურ ნორმებს, იცნობს ინტელექტუალური საკუთრების პრინციპებს, მისდევს მათ და იცავს თავის პროფესიულ საქმიანობაში. მას აქვს ენობრივ–კულტურული მრავალფეროვნების ადეკვატური აღქმის უნარი და პატივს სცემს ამას. მაგისტრი გამოირჩევა ტოლერანტობის, შემწყნარებლობისა და პასუხისმგებლობის გრძნობით.<br><br>**დეტალურად იხ.**<br>http://www.tsu.ge/data/file_db/faculty_humanities/MA2012_programa%20targman.%20da%20kultura.pdf | | |
| **შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგია** | სამაგისტრო პროგრამა "შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგია" გარკვეულწილად აგრძელებს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის, ბიზანტიური ფილოლოგიის, ახალი ბერძნული ფილოლოგიის, არმენოლოგიის საბაკალავრო პროგრამებს. იგი მოამზადებს ფილოლოგიის მაგისტრს, რომელსაც ეძლევა ფილოლოგიური, თეოლოგიური, ფილოსოფიური | **სწავლის შედეგები:**<br>სამაგისტრო პროგრამით მომზადებული მაგისტრი იქნება ერუდირებული სპეციალისტი, მიღებული ექნება დარგის შესაბამისი ღრმა და სისტემური განათლება, ფუნდამენტური სამეცნიერო ცოდნის საფუძვლები, შეეძლება დარგობრივ მონაცემთა დამოუკიდებელი ინტერპრეტირება და საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში დარგის მომიჯნავე სფეროებში გარკვევა.<br><br>**ცოდნა-გაცნობიერება:**<br>სამაგისტრო კურსის მიზნებიდან | 120 | 2012 წლის 18 ივლისის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #207 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | კომპეტენციები. პროგრამა შეინარჩუნებს და გააძლიერებს ქართული სამეცნიერო–კვლევითი სკოლის ტრადიციებს და მოამზადებს მაგისტრს შუა საუკუნეების სამწერლობო კულტურის კვლევებისთვის ორი მიმართულებით: შუა საუკუნეების ქართული ფილოლოგია და შუა საუკუნეების სომხური ფილოლოგია. საკმაოდ ფართო თემატიკა, კვლევის დიდი პერსპექტივა მისცემს მაგისტრს კონკრეტულ ცოდნას, კვლევის მეთოდიკას, მუშაობის ტექნიკას, კრიტიკული აზროვნების, ანალიზისა და აბსტრაჰირების უნარს. კონკრეტული საკვლევი თემების ფართო სპექტრში განხილვა კიდევ ერთხელ გამოყოფს და გახაზავს კულტურულ ტიპოლოგიებს, მსგავსებებსა და განსხვავებებს, გავლენებს, ინტეგრაციასა და სეპარაციას შუა საუკუნეების ქრისტიანულ ცივილიზაციაში. იმ პირობებში, როდესაც აღმოსავლეთ ქრისტიანული სამყარო დღესაც სირიულისა და სომხურის პრიმატით შეისწავლება, ამ სივრცეში ქართული კულტურის თავისთავადობისა თუ ინტეგრირებულობის კვლევა ქართველოლოგიის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა. მოცემული სამაგისტრო პროგრამის მიზანია ამ | გამომდინარე, მაგისტრს აქვს ღრმა ცოდნა შუა საუკუნეების სხვადასხვა სამწერლობო ენისა (განსაკუთრებით ძვ. ქართული და ძვ. სომხური). დაუფლებულია ფილოლოგიური კვლევების მეთოდებს, იცის შუა საუკუნეების სააზროვნო პროცესები და შეუძლია სხვადასხვა ფილოლოგიური, ფილოსოფიური და თეოლოგიური პრობლემების ანალიზი და მათი კონცეპტუალური შეფასება. პირველწყაროებზე დაყრდნობით, დედანში შეისწავლის შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ქვეყნების მწერლობას, იცის სასულიერო მწერ¬ლობის დარგები და მათთან დაკავ¬ში¬რე¬ბუ¬ლი საკითხები. გარკვეულია ტექსტის ჰერმენევტიკის, კოდიკოლოგიის, ტექსტოლოგიური კრიტიკისა და თარგმანმცოდნეობის ზოგად და სპეციფიკურ სფეროებში, პრაქტიკულად შეუძლია ავტორისა თუ ჟანრის სტილისტიკაში გარკვევა. იცის ქართული და სომხური ეპიგრაფიკისა და პალეოგრაფიის მთავარი პრობლემატიკა, ეპიგრაფიკული ძეგლების ფიქსაციისა და კვლევის თანამედროვე მეთოდები და ტერმინოლოგია, სომხურ და ქართულ ხელნაწერთა თუ ეპიგრაფიკულ ძეგლთა დათარიღების, გაშიფრვისა და თარგმნის ხერხები.<br>აქვს ეკლესიის ისტორიის, მისი ჩამოყალიბებისა და განვითარების ეტაპების ცოდნა, იცის ქრისტიანული კავკასიის ქვეყნების (სა¬ქარ¬თველო, სომხეთი, ალბანეთი) საერთო, სა¬მიჯნო პრობლემატიკა. შეუძლია კავკასიის რე¬გიონში სომხეთისა და | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ამოცანის განხორციელება კონკრეტული თემის – ფილოლოგიური საქმიანობის, როგორც ინტეგრაციისა და კულტურული ურთიერთობების ერთ-ერთი უმთავრესი საშუალების – შესწავლის გზით.<br>ამავე დროს, სამაგისტრო პროგრამის მიზანია თსუ-ში საფუძველი ჩაუყაროს შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის კომპარატივისტული კვლევის ერთ მსხვილ სფეროს, რომელიც გააერთიანებს შუა საუკუნეების ფილოლოგიური და მთარგმნელობითი ტრადიციების კვლევას და განზოგადდება მედიევისტიკის კულტუროლოგიური პარალელების კვლევებამდე.<br>პროგრამა მასში ჩართული აკადემიური რესურსით, სასწავლო და კვლევითი კომპონენტით მიზნად ისახავს, მოიცვას დარგის ღრმა და სისტემური ცოდნა და მაგისტრის მომზადებისას გაითვალისწინოს ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნები, აგრეთვე უზრუნველყოს საკუთარი კურსდამთავრებულისთვის შესაბამისი და მომიჯნავე სპეციალობებით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.<br>**დეტალურად იხ.**<br>http://www.tsu.edu.ge/data/file_db/faculty_humanities/ma2012program%20shua%20sa | საქართველოს ის¬ტო¬რიის, მწერლობისა და კულტურის ად¬გი¬ლის მეცნიერულად სწორად გააზრება.<br>მაგისტრი ფლობს ტექსტის დამუშავების სხვადასხვა კომპიუტერულ პროგრამებს (Microsoft Word, Bible Work for Windows, Musaios, Work Place, Word Cruncher, ლეჟავას საძიებო პროგრამა, “ქორის თვალი”, მონაცემთა ბაზები - TLG, Titus DatenBank).<br>მაგისტრს აქვს ერთ-ერთი ევროპული ენის (ინგლისურის/ გერმანულის /ფრანგულის) ცოდნა B2 დონეზე მისი სასწავლო და კვლევითი მიზნებისთვის გამოსაყენებლად.<br><br>**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება:**<br>მაგისტრს შეუძლია სხვადასხვა ეპოქის სააზროვნო, რელიგიური და კულტურული ორიენტირების განსაზღვრა და ცალკეული სკოლისა თუ მთარგმნელის ინდივიდუალური და ზოგადი ნიშნების ამოცნობა. მიღებული კვალიფიკაცია საშუალებას აძლევს კურსდამთავრებულს, იმუშაოს მომიჯნავე დარგებშიც.<br>შეუძლია გამოსაცემად მოამზადოს შუა საუკუნეების ქართული // ბერძნული // სომხური ტექსტები და სხვადასხვა კუთხით (სამეცნიერო თემატიკა იხ. ზემოთ) იკვლოს იგი. გამოიყენოს საძიებო და ტექსტის დამუშავების ელექტრონული პროგრამები ტექსტების გამოცემის, მონაცემთა ბაზების, ინდექსებისა და საძიებლების შექმნისათვის. მიღებული ცოდნა და ათვისებული უნარები მაგისტრს შესაძლებლობას აძლევს, | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ukuneebis%20qrist.pdf | დამოუკიდებლად განაგრძოს კვლევითი სამუშაო, გაერკვეს იმ ლიტერატურულ, ისტორიულ, კულტურულ პროცესებში, რომლებიც შუა საუკუნეებიდან იღებენ სათავეს და იხელმძღვანელოს მათით. მაგისტრს შეუძლია ერთ-ერთ ევროპული ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) სასპეციალიზაციო დარგში სამეცნიერო ლიტერატურის გაგება და დამუშავება, ასევე სამეცნიერო ხასიათის ტექსტის შედგენა (საკონფერენციო მოხსენება, სამეცნიერო სტატია და სხვ.) და დარგობრივი პრეზენტაციის მომზადება შესწავლილი ენის შესაბამის უცხოენოვან აუდიტორიაში.<br><br>**დასკვნის უნარი:**<br>მაგისტრს შეუძლია სფეროსათვის დამახასიათებელი რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი; მას აქვს ცოდნის ინტეგრირების უნარი; შეუძლია განყენებული მონაცემებისა და /ან სიტუაციების ანალიზი დარგობრივი სფეროსათვის შესაბამისი მეთოდების გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება და მკაფიო არგუმენტებით დასაბუთება; ზუსტი ფორმულირებით გადმოცემა; აქვს პრობლემის სინქრონიაში და დიაქრონიაში ხედვის უნარი; სისტემის (სტრუქტურის) შემადგენელი ცალკეული ელემენტების ურთიერთზეგავლენის | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | გააზრების, სიტუაციაში ადაპტირების და მინიმალური დახმარების პირობებში მუშაობის და გადაწყვეტილების მიღების უნარი. ჯგუფური თუ დამოუკიდებელი მუშაობის პირობებში მას შეუძლია აბსტრაქტული მონაცემებისა და კონცეფციების საჭიროებისამებრ ტრანსფორმაცია და პრობლემის გადაჭრის გზების მონახვა.<br><br>**კომუნიკაციის უნარი:**<br>მაგისტრს შეუძლია დისკუსიაში პროფესიულ დონეზე მონაწილეობა, თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების გაზიარება აკადემიური, სამეცნიერო და პროფესიული წრეებისთვის ქართულ და უცხოურ ენებზე, მას შეუძლია ასევე თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების აქტიურად გამოყენება დარგობრივ სფეროში.<br><br>**სწავლის უნარი:**<br>მაგისტრს აქვს სამუშაო დროის სტრატეგიულად დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი: თავისი კომპეტენციის სფეროში შეუძლია სამუშაოს დაწყებამდე სამუშაოს შესრულების გეგმის დამოუკიდებლად შედგენა, პრიორიტეტების გამოყოფა, მუშაობის პროცესში საჭირო რესურსების უზრუნველყოფა და გამოყენება. მას კარგად აქვს გაცნობიერებული ცოდნის გაღრმავების აუცილებლობა; შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის დამოუკიდებლად წარმართვა რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით, | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | მისი თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა. შეუძლია საკუთარ თავზე მუშაობა და მაგისტრატურაში მიღებული ცოდნისა და უნარების დარგობრივ საქმიანობაში დამოუკიდებლად სრულყოფა; შეუძლია სამეცნიერო დარგობრივ ლიტერატურაზე დამოუკიდებელი მუშაობით ცოდნის განახლება და საკუთარი კვალიფიკაციის ამაღლება.<br><br>**ღირებულებები:**<br>მაგისტრს კარგად აქვს გაცნობიერებული პროფესიული, სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობები და სათანადო აკადემიური და ეთიკური ნორმები. იცავს აკადემიური პატიოსნებისა და ეთიკის სტანდარტებს; ინტერპერსონალური ურთიერთობების ეთიკას.<br><br>**დეტალურად იხ.**<br>http://www.tsu.edu.ge/data/file_db/faculty_humanities/ma2012program%20shua%20saukuneebis%20qrist.pdf | | |
| **კავკასიოლოგია** | **პროგრამის მიზანია,** ჩამოაყალიბოს მკვლევარი კავკასიოლოგი ლინგვისტური და/ან ისტორიული მიმართულებებით, რომელსაც შეეძლება ამ დარგში არსებული პრობლემების გააზრება - გაანალიზება და შესაბამისი დასკვნების გაკეთება. კავკასიოლოგიის სამაგისტრო პროგრამა შედგება 2 მოდულისაგან: 1) იბერიულ– | **ცოდნა და გაცნობიერება:**<br>კავკასიოლოგიის მაგისტრს გააჩნია ზოგადად, რეგიონმცოდნის და კერძოდ, ლინგვისტური კავკასიოლოგიის ან ისტორიული მიმართულების კავკასიოლოგის დარგობრივი სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც განათლების პირველ საფეხურზე მიღებული ცოდნის გაღრმავების და კვლევის კონტექსტში მისი გამოყენების, ახალი, ორიგინალური | 120 | 2012 წლის 18 ივლისის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #226 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | კავკასიური ენათმეცნიერება და არეალური ლინგვისტიკა; 2) კავკასიის ხალხთა ისტორია. სტუდენტი სიღრმისეულად შეისწავლის ერთ-ერთი კავკასიური ენას, კავკასიის ხალხთა ისტორიას და კულტურას, იბერიულ-კავკასიურ, პალეოკავკასიურ და არეალურ კავკასიურ ლინგვოკულტურულ ურთიერთობათა პრობლემატიკას; პროგრამაში ასახულია დარგისთვის წაყენებული თანამედროვე მოთხოვნებიც – კავკასიის გეოპოლიტიკისა და რეგიონალიზაციის, პოლიტოლოგიური და ქართული სახელმწიფოს სტრატეგიული განვითარების ხედვათა ა.შ. სპეციფიკის გათვალისწინებით. პროგრამა აძლევს მაგისტრს ღრმა და სისტემური ცოდნას კავკასიოლოგიის დარგში, იმ დარგობრივ კომპეტენციებსა და კვლევით უნარებს, რაც უზრუნველყოფს მის შრომით დასაქმებას როგორც სამეცნიერო არეალზე, ასევე პრაქტიკულ–გამოყენებით სფეროებში.<br>**დეტალურად იხ.**<br>http://www.tsu.edu.ge/data/file_db/faculty_humanities/MA_2012_Programa.kavkasiologia.pdf | იდეების შემუშავების საშუალებას აძლევს. მაგისტრს აქვს სიღრმისეული ცოდნა კავკასიის რეგიონის ისტორიისა და ლინგვოკულტუროლოგიური თავისებურებების შესახებ, იგი განსაზღვრავს კავკასიური ცივილიზაციის ეტაპებს, სხვა ცივილიზაციებთან შეხვედრის მომენტებს, თანამედროვე ტრანსფორმაციებს, მსგავსებებსა და განსხვავებებს მათ შორის, გამოკვეთს რეგიონის ფუნქციასა და პერსპექტივებს მსოფლიოში მიმდინარე თანამედროვე პროცესების ფონზე. კავკასიოლოგიის მაგისტრი ფლობს სათანადო ტერმინოლოგიას და დარგობრივ სფეროში მუშაობის მეთოდებს; გაცნობიერებული აქვს კავკასიოლოგიის დარგის ინტერდისციპლინურობა, იცნობს სასპეციალიზაციო დარგობრივი სფეროს მთავარ პრინციპებს, თეორიებსა და კონცეფციებს; დაუფლებულია სასპეციალიზაციო ენას (ერთ–ერთ იბერიულ–კავკასიურ ან არაიბერიულ–კავკასიურ ენას) რაც მას საშუალებას მისცემს ამ ენაზე შესრულებული ტექსტი გამოიყენოს კვლევებისათვის – როგორც ლინგვისტური ანალიზისათვის, ასევე ისტორიული წყაროების შესწავლის თვალსაზრისით. ასევე, ფლობს ერთ–ერთ ევროპულ ენას (ინგლისური/ფრანგული/გერმანული) B2 დონეზე საერთო ევროპული სარეკომენდაციო საბჭოს მიერ შემუშავებული ენის ცოდნის დონეთა განმსაზღვრელი ჩარჩოს მიხედვით და შეუძლია ამ ცოდნის გამოყენება აკადემიური და კვლევითი მიზნებისთვის. | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:** კავკასიოლოგიის მაგისტრს შეუძლია კავკასიოლოგიის დარგობრივ სფეროში როგორც ლინგვისტური, ასევე ისტორიული მიმართულებით კომპლექსური პრობლემების ამოცნობა/იდენტიფიცირება და მათი გადაჭრა დარგში მიღებული კვლევის მეთოდების გამოყენებით; ცოდნის გამოყენება ახალ, გაუთვალისწინებელ გარემოში ან (მომიჯნავე) მულტიდისციპლინურ კონტექსტში; შეუძლია კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; ჰუმანიტარული სფეროსთვის დამახასიათებელი კვლევითი მეთოდების გამოყენებით წყაროების დამუშავება და კვლევითი ან ანალიტიკური ხასიათის პროექტის განხორციელება. პროგრამით მიღებული შესაბამისი ღრმა და სისტემური ცოდნის, უნარების საფუძველზე აქვს ლინგვისტური, ისტორიული და სოციალური პროცესების შეფასებისა და ანალიზის უნარი; ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების განზოგადებისა და ისტორიულ კონტექსტში განხილვის უნარი.<br>კავკასიოლოგიის მაგისტრს შეუძლია ერთ-ერთი ევროპული ენის (ინგლისური/ფრანგული/გერმანული) მთელი რიგი წერილობითი კორესპონდენციისა და ზეპირმეტყველების, ფართო აკადემიური მიზნებისთვის ეფექტურად გამოყენება. | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **დასკვნის უნარი:** კავკასიოლოგიის მაგისტრს შეუძლია დარგისთვის დამახასიათებელი რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი; მას აქვს ცოდნის ინტეგრირების უნარი; შეუძლია განყენებული მონაცემებისა და /ან სიტუაციების ანალიზი დარგობრივი სფეროსათვის შესაბამისი როგორც სტანდარტული, ისე ინოვაციური მეთოდების გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება და მკაფიო არგუმენტებით დასაბუთება; ზუსტი ფორმულირებით გადმოცემა; აქვს პრობლემის სინქრონიაში და დიაქრონიაში ხედვის უნარი; სისტემის (სტრუქტურის) შემადგენელი ცალკეული ელემენტების ურთიერთზეგავლენის გააზრების, სიტუაციაში ადაპტირების და მინიმალური დახმარების პირობებში მუშაობის და გადაწყვეტილების მიღების უნარი. ჯგუფური თუ დამოუკიდებელი მუშაობის პირობებში მას შეუძლია აბსტრაქტული მონაცემებისა და კონცეფციების საჭიროებისამებრ ტრანსფორმაცია და პრობლემის გადაჭრის გზების მონახვა.<br><br>**კომუნიკაციის უნარი:** კავკასიოლოგიის მაგისტრს შეუძლია დისკუსიაში პროფესიულ დონეზე მონაწილეობა, თავისი დასკვნების, | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების გაზიარება აკადემიური, სამეცნიერო და პროფესიული წრეებისთვის ქართულ და უცხოურ ენებზე, მას შეუძლია ასევე თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების აქტიურად გამოყენება დარგობრივ სფეროში.<br><br>**სწავლის უნარი:** კავკასიოლოგიის მაგისტრს აქვს სამუშაო დროის სტრატეგიულად დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი: თავისი კომპეტენციის სფეროში შეუძლია სამუშაოს დაწყებამდე სამუშაოს შესრულების გეგმის დამოუკიდებლად შედგენა, პრიორიტეტების გამოყოფა, მუშაობის პროცესში საჭირო რესურსების უზრუნველყოფა და გამოყენება. მას კარგად აქვს გაცნობიერებული ცოდნის გაღრმავების აუცილებლობა; შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის დამოუკიდებლად წარმართვა რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით; საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა. შეუძლია საკუთარ თავზე მუშაობა და მაგისტრატურაში მიღებული ცოდნისა და უნარების დარგობრივ საქმიანობაში დამოუკიდებლად სრულყოფა; შეუძლია სამეცნიერო დარგობრივ ლიტერატურაზე დამოუკიდებელი მუშაობით ცოდნის განახლება; მას აქვს განათლების შემდგომ (სადოქტორო) საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა. | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **ღირებულებები:** კავკასიოლოგიის მაგისტრს კარგად აქვს გაცნობიერებული პროფესიული, სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობები და სათანადო აკადემიური და ეთიკური ნორმები. იცავს აკადემიური პატიოსნებისა და ეთიკის სტანდარტებს; ინტერპერსონალური ურთიერთობების ეთიკას.<br>მას აქვს კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის, ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარი; ახასიათებს ტოლერანტობა, განსხვავებული კონფესიების, კულტურებისა და აზრის პატივისცემა; დემოკრატიული ფასეულობების პატივისცემა; შეუძლია ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა. მაგისტრი იცავს ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს.<br>**დეტალურად იხ.**<br>http://www.tsu.edu.ge/data/file_db/faculty_humanities/MA_2012_Programa.kavkasiologia.pdf | | |
| **Кавказоведение** | **Целью программы Кавказоведение** - является дать студентам глубокое знание одного из кавказких языков, культуры и истории кавказких народов, изучения проблематики иберио-кавказских, палео-кавказских и ареало-кавказских отношений. Программа ориентирована на воспитание исследователя кавказоведа (лингвиста/историка), который сможет проанализировать существуюшую | **Знание и осмысление**<br>После окончания программы магистратуры, магистр получит знания в области истории народов Кавказа и лингвокультурологических особенностей. Он сможет пределить этапы какавзской цивилизации, моменты столкновения с другими цивилизациями, современной трансформации, сходства и различия между ними, выделит функции региона в современном мировом развитии. Магистр будет владеть одним из кавказских | 120 | 2012 წლის 18 ივლისის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #208 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | проблематику данного отрасля и сделать соответствующие выводы. Главная цель програмы предоставить студенту возможность приобрести компетенцию и исследовательские навыки, которые обеспечат трудоустроиство магистра. Подробнее см. http://www.tsu.edu.ge/data/file_db/faculty_humanities/rusulenovani%20kavkasiologia.MA..._75397.pdf | языков свободно, что даст ему возможность для следующих исследований текстов на данном языке, как для лингвистического анализа, также с точки зрения исторического документа. Сможет сделать научное исследование с использованием определенной методологии, детально сформировать собственные идеи по отношению к проблемам и сможет аргументировать их, демонстрировать свои выводы.<br><br>**Навыки употребления выводов на практике:**<br>Магистр кавказоведения сможет использовать полученные знания на практике и в научных исследованиях. Оценит надобность лингокультурологических исследований и использования их результатов. Самостоятельно выберет тему дальнейшего исследования и подготовит основу для данного исследования, изучит научную литературу и соберет материал, подтвердит практические ценности подобных исследований, решит вопросы, связанные на стыке проблем.<br><br>**Навыки выводов:**<br>В результате прохождения программы магистратуры, магистр сможет исследовать лингокультурологические и исторические проблематики, проанализирует, выделить конкретную тематику. Выберет методику исследования, упорядочит существующие материалы, сопоставит их, отнесется к ним с корректностью, исследует, представит | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | обоснованную оргументацию. При изучении и иследовании вопросов магистр учтет специфику отраслей, существующую в методологии исследования, утвердит необходимость тематики исследования. Магистр сможет комбинировать подходы, существующие вокруг этой тематики  в научной литературе, сравнить, сделать обобщение и выводы. Сможет определять тематику исследований, подготовить доклад.<br><br>**Коммуникативные навыки:**<br>Магистр сможет исследовать лингокультурологические и исторические проблемы и использовать результаты исследования для коммуникации с учетом достижения кибертехнологии. Сможет провести дискуссию по проблемным вопросам, будет инициатором постановки новых вопросов, при дискуссии сможет научно аргументировать собственную позицию. Проведет презентацию результатов исследования. Обобщать результаты междисциплинарных исследований.<br><br>**Навыки учебы:**<br>Магистр кавказоведения сможет оценивать результаты учебы, полученные в магистратуре, определят перспективы их применения, необходимость дальнейшего своего обучения на следующей ступени, выделять новые вопросы и обосновывать  надобность их исследования.<br><br>**Ценности:** | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | У магистра каказоведения выработается особое отношение к кавказской цивилизации; он сможет теоретико-методологическую верификацию этого материала. Осознанные магистром интеллектуальные и духовные ценности вносить свой посыльный вклад в утверждении научного и культурного сотрудничества в регионе.<br><br>**Подробнее см.** http://www.tsu.edu.ge/data/file_db/faculty_humanities/rusulenovani%20kavkasiologia.MA..._75397.pdf | | |
| **ამერიკისმცოდნეობა** | სამაგისტრო პროგრამა ინტერდისციპლინურია და მიზნად ისახავს როგორც თეორეტიკოსი, ასევე, პრაქტიკოსი ამერიკისმცოდნეების მომზადებას, რომლებსაც ეცოდინებათ ამერიკის ცხოვრების პრაქტიკულად ყველა სფერო: ისტორია, პოლიტიკა, ეკონომიკა, საზოგადოება, ფილოსოფია, სულიერი და მატერიალური კულტურა. სამაგისტრო პროგრამის აქტუალობას განაპირობებს, ერთის მხრივ, საქართველოს თანამედროვე რეალიები, მეორე მხრივ, ამერიკული სამყაროს როლისა და მნიშვნელობის ზრდა როგორც ევროპის, ისე თანამედროვე ქართულ კულტურულ, სოციალურ-პოლიტიკურ და სამხედრო სივრცეში; ამერიკაში ქართული დიასპორის საკითხების ცოდნის აუცილებლობა; ასევე, აშშ–საქართველოს მრავალმხრივი | **ცოდნა და გაცნობიერება:** ამერიკის ცხოვრების პრაქტიკულად ყველა სფეროს: ისტორიის, პოლიტიკის, ეკონომიკის, საზოგადოების, ფილოსოფიის, სულიერი და მატერიალური კულტურის; აშშ-ისა და ლათინური ამერიკის ძირითადი ქვეყნების პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების, ასევე, ამერიკელი ერის თვითმყოფადობის, მულტიკულტურული, პოლიეთნიკური, პოლიკონფესიური საზოგადოების თავისებურებების, პოლიტიკური და სოციალური ინსტიტუტების, კულტურისა და პრესის, ლიტერატურის ღრმა, ინტეგრირებული და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას და ეხმარება ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზების გაცნობიერებაში; ამერიკისმცოდნეობის მაგისტრი ფლობს | 120 | 2012 წლის 18 ივლისის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #220 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ურთიერთობის გაღრმავება.<br>პროგრამა ითვალისწინებს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებს და მიზნად ისახავს მოამზადოს: ინგლისური და, სურვილისამებრ, ესპანური ენის მცოდნე პედაგოგები საქართველოს სკოლებისათვის, სადაც 2012 წლიდან არჩევით საგნად შემოდის „ამერიკისმცოდნეობა“; სამთავრობო დაწესებულებების თანამშრომლები, რომლებიც ჩართულები იქნებიან სხვადასხვა სფეროში აშშ–სა და ლათინური ამერიკის ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობის პოლიტიკის განსაზღვრასა და წარმოებაში (ლათინური ამერიკის ქვეყნების სპეციალისტები საქართველოს ჯერ–ჯერობით არ ჰყოლია); არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლები, რომელთა მიზანია სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიული პრინციპების დანერგვა; საერთაშორისო ორგანიზაციების, მასმედიის სხვადასხვა ორგანოს მუშაკები, რომელთათვის უცხო ენების სრულყოფილად ცოდნის გარდა, აუცილებელია უფრო ფართო, მრავალმხრივი განათლება.<br>პროგრამა უზრუნველყოფს არა მარტო ემპირიულ და თეორიულ ცოდნას, არამედ შემდგომი ინდივიდუალური, | სათანადო ტერმინოლოგიას და დარგობრივ სფეროში მუშაობის მეთოდებს; გაცნობიერებული აქვს ამერიკისმცოდნეობის დარგის ინტერდისციპლინურობა, იცნობს სასპეციალიზაციო დარგობრივი სფეროს მთავარ პრინციპებს, თეორიებსა და კონცეფციებს; დაუფლებულია სასპეციალიზაციო ენას (ინგლისურს) და ესპანურს, არჩევის შემთხვევაში, და შეუძლია ამ ცოდნის გამოყენება აკადემიური და კვლევითი მიზნებისთვის.<br><br>**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:**<br>ამერიკისმცოდნეობის მაგისტრს სპეციალობით შეუძლია მოცემულ დარგობრივ სფეროში (პოლიტიკა, ისტორია, ლიტერატურა, ეკონომიკა, ფილოსოფია, კულტურა და ა.შ.) კომპლექსური პრობლემების ამოცნობა/იდენტიფიცირება და მათი გადაჭრა დარგში მიღებული კვლევის მეთოდების გამოყენებით; ცოდნის გამოყენება ახალ, გაუთვალისწინებელ გარემოში ან (მომიჯნავე) მულტიდისციპლინურ კონტექსტში; შეუძლია კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; ინტერდისციპლინარული სფეროსთვის დამახასიათებელი კვლევითი მეთოდების გამოყენებით წყაროების დამუშავება და კვლევითი ან ანალიტიკური ხასიათის პროექტის განხორციელება. პროგრამით | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | თუ კოლექტიური სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავებას. დეტალურად იხ. http://www.tsu.edu.ge/data/file_db/faculty_humanities/MA_2012%20program%20amerikismcodneoba.pdf | მიღებული შესაბამისი ღრმა და სისტემური ინტერდისციპლინარული ცოდნის, უნარების საფუძველზე აქვს პოლიტიკური, ისტორიული, სოციალური, ლიტერატურული, კულტურული, ლინგვისტური პროცესების შეფასებისა და ანალიზის უნარი; ისტორიული, პოლიტიკური და კულტურული ფაქტებისა და მოვლენების განზოგადების უნარი.<br><br>ამერიკისმცოდნეობის მაგისტრს შეუძლია ინგლისური (არჩევის შემთხვევაში, ესპანური A2-ის დონეზე) ენის პრაქტიკული გამოყენება წერილობითი კორესპონდენციისა და ზეპირმეტყველების მიზნებისათვის, აქვს საუბრის თავისუფლად წარმართვის უნარ-ჩვევები, ინგლისურ და ესპანურ ენებზე სხვადასხვა ტიპის ტექსტების (მათ შორის, სამეცნიერო ლიტერატურის) წაკითხვის, მოსმენის, გაგების, თარგმნის, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და რეპროდუქციის უნარი. შეუძლია პროფესიულ საქმიანობაში ან შემდგომი სწავლის პროცესში ამ ენების ფართო აკადემიური მიზნებისთვის ეფექტურად გამოყენება.დასკვნის უნარი: ამერიკისმცოდნეობის მაგისტრს შეუძლია სფეროსათვის დამახასიათებელი რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი; მას აქვს ცოდნის ინტეგრირების უნარი; შეუძლია განყენებული მონაცემებისა | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | და /ან ვითარების ანალიზი დარგობრივი სფეროსათვის შესაბამისი როგორც სტანდარტული, ისე ინოვაციური მეთოდების გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება და მკაფიო არგუმენტებით დასაბუთება; ზუსტი ფორმულირებით გადმოცემა; აქვს პრობლემის სინქრონიაში და დიაქრონიაში ხედვის უნარი; სისტემის (სტრუქტურის) შემადგენელი ცალკეული ელემენტების ურთიერთზეგავლენის გააზრების, სიტუაციაში ადაპტირების და მინიმალური დახმარების პირობებში მუშაობის და გადაწყვეტილების მიღების უნარი. ჯგუფური თუ დამოუკიდებელი მუშაობის პირობებში მას შეუძლია აბსტრაქტული მონაცემებისა და კონცეფციების საჭიროებისამებრ ტრანსფორმაცია და პრობლემის გადაჭრის გზების მონახვა. შეუძლია სასპეციალიზაციო სფეროში კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრა სათანადო ცოდნისა და მეთოდების გამოყენებით.<br><br>კომუნიკაციის უნარი:<br>ამერიკისმცოდნეობის მაგისტრს შეუძლია დისკუსიაში პროფესიულ დონეზემონაწილეობა, თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების გაზიარება აკადემიური, სამეცნიერო და პროფესიული წრეებისთვის ქართულ და უცხოურ ენებზე, მას შეუძლია ასევე თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების აქტიურად | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | გამოყენება დარგობრივ სფეროში.<br><br>სწავლის უნარი:<br>ამერიკისმცოდნეობის მაგისტრს აქვს სამუშაო დროის სტრატეგიულად დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი: თავისი კომპეტენციის სფეროში შეუძლია მუშაობის დაწყებამდე სამუშაოს შესრულების გეგმის დამოუკიდებლად შედგენა, პრიორიტეტების გამოყოფა, მუშაობის პროცესში საჭირო რესურსების უზრუნველყოფა და გამოყენება. მას კარგად აქვს გაცნობიერებული ცოდნის გაღრმავების აუცილებლობა; შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის დამოუკიდებლად წარმართვა რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით; საკუთარი სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერებით მისი თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა. შეუძლია საკუთარ თავზე მუშაობა და მაგისტრატურაში მიღებული ცოდნისა და უნარების დარგობრივ საქმიანობაში დამოუკიდებლად სრულყოფა; შეუძლია სამეცნიერო დარგობრივ ლიტერატურაზე დამოუკიდებელი მუშაობით ცოდნის განახლება; მას აქვს განათლების შემდგომ (სადოქტორო) საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.<br><br>**ღირებულებები:**<br>ამერიკისმცოდნეობის მაგისტრს კარგად აქვს გაცნობიერებული პროფესიული, სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობები და | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | სათანადო აკადემიური და ეთიკური ნორმები. იცავს აკადემიური პატიოსნებისა და ეთიკის სტანდარტებს; ინტერპერსონალური ურთიერთობების ეთიკას. მას აქვს კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის, ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარი; ახასიათებს ტოლერანტობა, განსხვავებული კონფესიების, კულტურებისა და აზრის პატივისცემა; დემოკრატიული ფასეულობების პატივისცემა; შეუძლია ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.<br><br>**დეტალურად იხ.** http://www.tsu.edu.ge/data/file_db/faculty_humanities/MA_2012%20program%20amerikismcodneoba.pdf | | |
| **რუსეთისმცოდნეობა** | **პროგრამის მიზანია**, მისცეს მაგისტრს ღრმა და სისტემური ცოდნა რუსეთისმცოდნეობის დარგში, მოამზადოს ის როგორც მკვლევარი, აღჭურვილი იმ დარგობრივი კომპეტენციებითა და კვლევითი უნარებით, რომლებიც უზრუნველყოფს მის შრომით დასაქმებას როგორც სამეცნიერო, ასევე პრაქტიკულ–გამოყენებით სფეროებში; პროგრამის მიზანია, საზოგადოებისათვის კონკურენტუნარიანი, სათანადო ცოდნითა და დამოუკიდებელი | **ცოდნა-გაცნობიერება:** სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული თეორიული და პრაქტიკული სასწავლო დისციპლინების მასალის ათვისების საფუძველზე მაგისტრს რუსეთისმცოდნეობის სფეროში ექნება უახლესი თეორიული და კვლევაზე დაფუძნებული ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც განათლების პირველ საფეხურზე მიღებული ცოდნის გაღრმავების და კვლევის კონტექსტში მისი გამოყენების, ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას მისცემს; შეძლებს მუშაობას საკითხებზე, რომლების ეხება რუსეთის | 120 | 2012 წლის 18 ივლისის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #217 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | კვლევის უნარ–ჩვევებით აღჭურვილი კადრის შეთავაზება, რომელიც შეძლებს რუსეთის ისტორიის, პოლიტიკის, ეკონომიკის, სამართლის, კულტურისა და საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებზე მუშაობას. იგი უნდა ჩამოყალიბდეს ანალიტიკოსად რუსეთისმცოდნეობის სფეროში.<br>თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაზაზე მოქმედი რუსეთისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა საინტერესო და სასარგებლო უნდა იყოს მაგისტრანტებისათვის მათი სამომავლო კარიერისა და ინტელექტუალური ზრდის თვალსაზრისით; განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ისინი განაგრძობენ მოღვაწეობას საერთაშორისო სამართლისა და სოციალური მეცნიერებების სფეროში ან დიპლომატიურ სარბიელზე.<br>პროგრამის სავალდებულო და არჩევითი კურსები საერთოა სხვადასხვა სამაგისტრო პროგრამასთან. ეს უზრუნველყოფს რუსეთისმცოდნეობის სფეროსათვის აუცილებელი მრავალმხრივი და ინტერდისციპლინური ცოდნის მიღებას.<br>რუსეთთან მეზობლობა და მჭიდრო ისტორიული ურთიერთობა | ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამართლებრივ სტრუქტურებსა და ინსტიტუტებს; გააცნობიერებს რუსეთისმცოდნეობის მიმართულებისათვის სპეციფიკურ ეთიკურ პრობლემებს და შეძლებს ეთიკური დილემების გადაჭრას; დაეუფლება ამ სფეროში მუშაობის სპეციფიკურ მეთოდებს.<br>მაგისტრს გაცნობიერებული აქვს დარგის ინტერდისციპლინურობა, იცნობს სასპეციალიზაციო დარგობრივი სფეროს მთავარ პრინციპებს, თეორიებსა და კონცეფციებს; დაუფლებულია რუსულ ენას და ერთ-ერთ სხვა ევროპულ ენასაც B2 დონეზე საერთო ევროპული სარეკომენდაციო საბჭოს მიერ შემუშავებული ენის ცოდნის დონეთა განმსაზღვრელი ჩარჩოს მიხედვით და შეუძლია ამ ცოდნის გამოყენება აკადემიური და კვლევითი მიზნებისთვის.<br><br>**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება:** მაგისტრი რუსეთისმცოდნეობის სფეროში კომპეტენციის ფარგლებში განახორციელებს კვლევას სამეცნიერო ხელმძღვანელის დახმარებით, იმუშავებს აგრეთვე დამოუკიდებლად; შეძლებს კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირებასა და გადაჭრას დამოუკიდებლად დარგში მიღებული კვლევის მეთოდების გამოყენებით; შეძლებს ამოცანების დაგეგმვას და განხორციელებას დამოუკიდებლად პროფესიულ დონეზე.<br>მაგისტრს შეუძლია ცოდნის გამოყენება ახალ, გაუთვალისწინებელ გარემოში ან (მომიჯნავე) მულტიდისციპლინურ კონტექსტში; შეუძლია | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | განაპირობებს რუსეთისმცოდნეობის და ქართველოლოგიური სკოლის საერთო კვლევით პრობლემატიკას. პროგრამა ითვალისწინებს რუსეთისმცოდნეობის დარგში კვლევის თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებს და მსოფლიო სლავისტიკის სასწავლო და კვლევითი ცენტრების გამოცდილებას, სადაც დღითიდღე მატულობს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ინტერესი რუსეთის მიმართ, რასაც განაპირობებს ამ ქვეყნის როლი გლობალური პრობლემების გადაწყვეტაში.<br>თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რუსეთისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა მასში ჩართული აკადემიური რესურსით, სასწავლო და კვლევითი კომპონენტით მიზნად ისახავს, მოიცვას დარგის ღრმა და სისტემური ცოდნა და მაგისტრის მომზადებისას გაითვალისწინოს ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნები, აგრეთვე უზრუნველყოს საკუთარი კურსდამთავრებულისთვის შესაბამისი და მომიჯნავე სპეციალობებით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.<br>დეტალურად იხ. http://www.tsu.edu.ge/data/file_db/faculty_humanities/MA%20program%20rusetismcodneoba_26330.pdf | კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება. წყაროების დამუშავება და კვლევითი ან ანალიტიკური ხასიათის პროექტის განხორციელება. პროგრამით მიღებული შესაბამისი ღრმა და სისტემური ცოდნის, უნარების საფუძველზე აქვს ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების განზოგადებისა და ისტორიულ კონტექსტში განხილვის უნარი. დაუფლებულია დარგის სპეციფიკურ მეთოდებს ექსპერტის დონეზე. აქვს ემპირიული მასალის ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარი; შეუძლია საკვლევი საკითხის მკაფიო იდენტიფიცირება.<br><br>**დასკვნის უნარი:** მაგისტრს შეუძლია რუსეთთან დაკავშირებული ზოგადი საკითხების ინტერპრეტირება ეროვნულ, რეგიონალურ და მსოფლიო კონტექსტში; რუსეთის პოლიტიკის კრიტიკული ანალიზი, პრობლემების განხილვა მრავალი სხვადასხვა პერსპექტივით და მკვეთრად არგუმენტირებული დასკვნების გამოტანა. უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი; მაგისტრს აქვს სიტუაციაში ადაპტირების და მინიმალური დახმარების პირობებში მუშაობის და გადაწყვეტილების მიღების უნარი. ჯგუფური თუ დამოუკიდებელი მუშაობის პირობებში მას შეუძლია აბსტრაქტული მონაცემებისა და კონცეფციების საჭიროებისამებრ ტრანსფორმაცია და პრობლემის გადაჭრის გზების მონახვა. | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | შეუძლია სასპეციალიზაციო სფეროში კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრა სათანადო ცოდნისა და მეთოდების გამოყენებით.<br><br>**კომუნიკაციის უნარი:** მაგისტრს შეუძლია დისკუსიაში პროფესიულ დონეზე მონაწილეობა, კომუნიკაცია ქართულ, რუსულ და უცხოურ ენებზე შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებაში; შეუძლია შეუფერხებელი საუბარი და დიალოგის წარმართვა ენის მატარებელთან; შეუძლია ინფორმაციის სხვადასხვა უცხოენოვანი წყაროს გამოყენება; სხვადასხვა თემებზე თავის აზრებისა და შეხედულებების წერილობით მკაფიოდ ჩამოაყალიბება; შეუძლია სამეცნიერო ანგარიშის და ესეს დაწერა, არგუმენტების მოყვანა სხვადასხვა შეხედულებების საწინააღმდეგოდ ან მხარდასაჭერად. მაგისტრს აქვს საინფორმაციო კომუნიკაციების გამოყენების უნარი. შეუძლია კომპიუტერული და ინტერნტ–რესურსების ფლობა მონაცემების დამუშავებისას. აქვს საინფორმაციო ტექნოლოგიების, როგორც საკომუნიკაციო და სასწავლო ინსტრუმენტის გამოყენების უნარი.<br><br>**სწავლის უნარი:** მაგისტრს აქვს სხვადასხვა დისციპლინების (რუსეთის ისტორია, რუსული ფილოსოფია, რუსეთის ეკონომიკა, რუსული სამართალი და ა.შ. მეთოდოლოგიის ინტეგრირებულად გამოყენების უნარი. | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | შეუძლია ინტერდისციპლინურ საკითხებზე მუშაობა; დარგის მულტიდისციპლინურობისა და დისციპლინებს შორის კავშირების აღქმა. აქვს სამუშაო დროის სტრატეგიულად დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი: თავისი კომპეტენციის სფეროში შეუძლია სამუშაოს დაწყებამდე სამუშაოს შესრულების გეგმის დამოუკიდებლად შედგენა, პრიორიტეტების გამოყოფა, მუშაობის პროცესში საჭირო რესურსების უზრუნველყოფა და გამოყენება. მას კარგად აქვს გაცნობიერებული ცოდნის გაღრმავების აუცილებლობა; შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის დამოუკიდებლად წარმართვა რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით; შეუძლია საკუთარ თავზე მუშაობა და სამეცნიერო დარგობრივ ლიტერატურაზე დამოუკიდებელი მუშაობით ცოდნის განახლება.<br><br>**ღირებულებები:** რუსეთისმცოდნეობის სფეროში დაგროვილი ცოდნა მაგისტრს უყალიბებს წარმოდგენას ღირებულებათა რაობისა და მნიშვნელობის, აგრეთვე მათი მრავალფეროვნების, დამკვიდრების გზებისა და მეთოდების შესახებ. მაგისტრი ორიენტირებულია საერთაშორისო სამეცნიერო სტანდარტებზე, იზიარებს და ეცნობა დასავლეთის აკადემიურ გამოცდილებას, ნერგავს ამ ღირებულებებს მშობლიურ გარემოში. მაგისტრს კარგად აქვს გაცნობიერებული პროფესიული, სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობები და | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | სათანადო აკადემიური და ეთიკური ნორმები. იცავს აკადემიური პატიოსნებისა და ეთიკის სტანდარტებს; ინტერპერსონალური ურთიერთობების ეთიკას.<br>მას აქვს კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის, ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარი; ახასიათებს ტოლერანტობა, განსხვავებული კონფესიების, კულტურებისა და აზრის პატივისცემა; დემოკრატიული ფასეულობების პატივისცემა.<br>**დეტალურად იხ.** http://www.tsu.edu.ge/data/file_db/faculty_humanities/MA%20program%20rusetismcodneoba_26330.pdf | | |
| **არაბისტიკა** | არაბისტიკის სამაგისტრო პროგრამა ამზადებს არაბისტიკის მაგისტრს, რომელსაც ეძლევა ფილოლოგიური, ისტორიოგრაფიული, ქვეყანათმცოდნეობითი კომპეტენციები. პროგრამა შეინარჩუნებს და გააძლიერებს ქართული ორიენტალისტიკური სამეცნიერო–კვლევითი სკოლის ტრადიციებს და ამზადებს მაგისტრს როგორც საკუთრივ არაბისტიკული, ისე ქართველოლოგიური კვლევებისთვის. ამასთან პროგრამაში ასახულია დარგისთვის წაყენებული თანამედროვე მოთხოვნებიც _ სათარჯიმნო, პოლიტოლოგიური, დიპლომატიური და ა.შ. სპეციფიკის გათვალისწინებით. | **სწავლის შედეგი:**<br>არაბისტიკის სამაგისტრო პროგრამით მომზადებული მაგისტრი ერუდირებული სპეციალისტია, მიღებული აქვს დარგის შესაბამისი ღრმა და სისტემური განათლება სპეციალობაში, ფუნდამენტური სამეცნიერო ცოდნის საფუძვლები არაბისტიკულ დისციპლინებში; იგი დარგს ფლობს კონცეპტუალურ დონეზე. ასევე მას შეუძლია დარგობრივ მონაცემთა დამოუკიდებელი ინტერპრეტირება და საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში დარგის მომიჯნავე სფეროებში გარკვევა; შესწევს დამოუკიდებლად როგორც სამეცნიერო_თეორიული, ისე პრაქტიკული მუშაობის უნარი. მაგისტრს შეძენილი აქვს ისეთი უნარ-ჩვევები, რომელიც აუცილებელია განათლების შემდგომ საფეხურზე | 120 | 2012 წლის 18 ივლისის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #230 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | პროგრამის მიზანია, მისცეს მაგისტრს ღრმა და სისტემური ცოდნა არაბისტიკის დარგში, მოამზადოს ის როგორც არაბისტი, აღჭურვილი იმ დარგობრივი კომპეტენციებითა და კვლევითი უნარებით, რომლებიც უზრუნველყოფს მის შრომით დასაქმებას როგორც სამეცნიერო არეალზე, ასევე პრაქტიკულ–გამოყენებით სფეროებში, ასევე შესაბამისი და მომიჯნავე სპეციალობებით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.<br>პროგრამა ითვალისწინებს ზოგადად აღმოსავლეთმცოდნეობის და კერძოდ, არაბისტიკის დარგში კვლევის თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებს და მსოფლიო ორიენტალისტიკური სასწავლო და კვლევითი ცენტრების გამოცდილებას. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არაბისტიკის სამაგისტრო პროგრამა შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და ითვალისწინებს სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას.<br>დეტალურად იხ.<br>http://www.tsu.edu.ge/data/file_db/faculty_ | (დოქტურანტურაში) სწავლის გაგრძელებისთვის.<br>არაბისტიკის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის შედეგებია:<br>**ცოდნა და გაცნობიერება:**<br>არაბისტიკის მაგისტრს მიღებული აქვს არაბული ენის ზოგად-თეორიული ასპექტების ცოდნა; სემიტურ ენათა შედარებითი გრამატიკის საფუძვლების და მეორე სემიტური ენის (ებრაულის, არამეულის ან აქადურის) ენის სტრუქტურის დონეზე ცოდნა; აქვს თანამედროვე არაბული პრესის სხვადასხვა თემატიკის მყარი ლექსიკური შესიტყვებების და კონსტრუქციების, თანამედროვე პოლიტიკური ტერმინოლოგიისა და ფრაზეოლოგიის ცოდნა და შესაბამისი ტექსტების ანალიზის უნარი ენობრივი თვალსაზრისით.<br>აქვს არაბულ დიალექტთა გავრცელების არეალისა და არაბულ დიალექტთა კლასიფიკაციის პრინციპების ცოდნა; ერკვევა ეგვიპტური არაბული დიალექტის დამახასიათებელ ნიშნებში. ერკვევა შუა საუკუნეების არაბულ პოეტურ ძეგლთა მხატვრულ-გამომსახველობით ხერხებში, შეუძლია ამ ძეგლთა სახისმეტყველების საერთო ტენდენციების ანალიზი, შესწავლილი აქვს შუა საუკუნეების არაბული პროზის სტრუქტურული მოდელები. აქვს შუა საუკუნეების არაბულ-ქართული და ქართულ-არაბული ლიტერატურული ურთიერთობების ცოდნა, კერძოდ, მთარგმნელობითი სკოლების ტრადიციების, ქრისტიანული არაბული | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | humanities/MA2012_Arabistikis_programis %20agcera.pdf | ლიტერატურის, მისი ქართულ საეკლესიო მწერლობასთან ურთიერთობების ცოდნა. შესწავლილი აქვს ყურანი, როგორც ლიტერატურული ძეგლი და როგორც საღვთო წიგნი და ისლამური იდეოლოგიის საფუძველი. იცნობს ისლამისა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთმიმართების ძირითადი საკითხებს. აქვს ისლამური სამართლის ძირითადი დარგების საბაზისო ცოდნა; შეუძლია რელიგიური ფაქტორის როლის გაცნობიერება თანამედროვე არაბული ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებაში; აქვს არაბული ისტორიოგრაფიის განვითარების კანონზომიერების, თავისებურებებისა და შედეგების საბაზისო ცოდნა; არაბული წყაროთმცოდნეობის თეორიული პრობლემატიკის, ასევე კონკრეტული ძეგლების სისტემური ცოდნა; არაბთა ბატონობის ხანის საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საბაზისო ცოდნა. შეუძლია არაბული წყაროების ურთიერთშეჯერება, კრიტიკული შეფასება და საკუთარი თვალსაზრისის ჩამოყალიბება; აქვს არაბული წყაროების დედანში კითხვის და მათი ენობრივი თავისებურებების ანალიზის უნარი.<br>**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება:**<br>მაგისტრს ექნება სამეცნიერო ინტერესთა სფეროს შერჩევისა და სამეცნიერო კვლევის წარმართვის უნარი აღმოსავლური და, კერძოდ, არაბისტიკული კვლევების ასპექტებიდან, კერძოდ, ლინგვისტური, შუა საუკუნეების და თანამედროვე არაბული პოეზიისა და პროზის, ლიტერატურის | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | ისტორიის და თეორიის, პოეტიკის, ვერსიფიკაციის, ყურანისა და ისლამოლოგიის პრობლემატიკიდან.<br>ენობრივი, ლიტერატურული, ისტორიული მოვლენებისა და პროცესების არსის და გენეზისის წვდომა და კრიტიკული შეფასება, მათი ანალიზი თანამედროვე სამეცნიერო კვლევის მეთოდების გამოყენებით.<br>სხვადასხვა ლიტერატურული, ლინგვისტური და ისტორიოგრაფიული გამოკვლევებისა თუ კონცეფციების კრიტიკული შეფასება.<br>არაბული ენის  პრაქტიკული გამოყენება მთელი რიგი წერილობითი და ზეპირმეტყველების  მიზნებისათვის, პროფესიულ საქმიანობაში ან შემდგომი სწავლის პროცესში ენის ეფექტურად გამოყენების უნარი.<br>საბიბლიოთეკო, საარქივო და სამუზეუმო ფონდებსა და წყაროებზე მუშაობა, სამეცნიერო შინაარსის ტექსტების რედაქტირება, რეფერირება და რეცენზირება, პუბლიკაციისათვის ხელნაწერებისა და სამეცნიერო დოკუმენტების მომზადება, კომენტირება, ანოტირება.<br>არაბულ ქვეყნებში მიმდინარე რელიგიური პროცესების, ისლამური ფუნდამენტალისტური მოძრაობის, ისლამის პოლიტიზაციის პროცესების ანალიზი; თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებსა და პოლიტიკაში რელიგიური ფაქტორის როლის განსაზღვრა აკადემიურ  და ექსპერტის დონეზე.<br>მაგისტრს შეუძლია ერთ-ერთ ევროპული | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) სასპეციალიზაციო დარგში სამეცნიერო ლიტერატურის გაგება და დამუშავება, ასევე სამეცნიერო ხასიათის ტექსტის შედგენა (საკონფერენციო მოხსენება, სამეცნიერო სტატია და სხვ.) და დარგობრივი პრეზენტაციის მომზადება შესწავლილი ენის შესაბამის უცხოენოვან  აუდიტორიაში.<br><br>**დასკვნის უნარი:**<br>არაბისტიკის  მაგისტრს შეუძლია სფეროსათვის დამახასიათებელი რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების), ფაქტობრივი  და ემპირიული მასალის  კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული განზოგადებული დასკვნების ჩამოყალიბება; კონკრეტული, ვიწროდარგობლივი მონაცემების გააზრება როგორც ლინგვისტური, ისე ლიტერატურის თეორიისა და ისტორიულ-კულტუროლოგიური მონაცემების კონტექსტში, ასევე სხვადასხვა წყაროს კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი; მას აქვს ცოდნის ინტეგრირების უნარი; შეუძლია განყენებული მონაცემებისა და /ან სიტუაციების ანალიზი დარგობრივი სფეროსათვის შესაბამისი როგორც სტანდარტული ისე  ინოვაციური მეთოდების გამოყენებით, დასაბუთებული  დასკვნის ჩამოყალიბება და მკაფიო არგუმენტებით დასაბუთება; ზუსტი ფორმულირებით გადმოცემა; აქვს პრობლემის სინქრონიაში და | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | დიაქრონიაში ხედვის უნარი; სისტემის (სტრუქტურის) შემადგენელი ცალკეული ელემენტების ურთიერთზეგავლენის გააზრების, სიტუაციაში ადაპტირების და მინიმალური დახმარების პირობებში მუშაობის და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი. ჯგუფური თუ დამოუკიდებელი მუშაობის პირობებში მას შეუძლია აბსტრაქტული მონაცემებისა და კონცეფციების საჭიროებისამებრ ტრანსფორმაცია და პრობლემის გადაჭრის გზების მონახვა. შეუძლია სასპეციალიზაციო სფეროში კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრა სათანადო ცოდნისა და მეთოდების გამოყენებით.<br><br>**კომუნიკაციის უნარი:**<br>არაბისტიკის მაგისტრს შეუძლია პროფესიულ წრეებში თავისუფალი კომუნიკაცია; სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს დაგეგმვა, ორგანიზება და ხელმძღვანელობა; დისკუსიაში პროფესიულ დონეზე მონაწილეობა, თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების გაზიარება აკადემიური, სამეცნიერო და პროფესიული წრეებისთვის ქართულ და უცხოურ ენებზე, მას შეუძლია ასევე თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების აქტიურად გამოყენება დარგობრივ სფეროში.<br>არაბისტიკის მაგისტრს აქვს მაპროფილებელ (არაბულ) და ინგლისურ (არჩევის შემთხვევაში, სხვა ევროპულ) ენებზე | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | პროფესიულ წრეებში ვერბალური და წერითი კომუნიკაციის მაღალი კულტურა; შეუძლია დარგობრივი დისკუსიის წარმართვა; შეუძლია ინფორმაციის სხვადასხვა უცხოენოვანი წყაროს გამოყენება; სხვადასხვა თემებზე თავის აზრებისა და შეხედულებების წერილობით მკაფიოდ ჩამოაყალიბება; შეუძლია სამეცნიერო ანგარიშის და ესეს დაწერა, დარგობრივი პრეზენტაციის წარმართვა შესწავლილი ენის შესაბამის უცხოენოვან აუდიტორიაში.<br><br>**სწავლის უნარი:**<br>არაბისტიკის მაგისტრს აქვს სამუშაო დროის რაციონალურად და სტრატეგიულად დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი: თავისი კომპეტენციის სფეროში შეუძლია სამუშაოს დაწყებამდე სამუშაოს შესრულების გეგმის დამოუკიდებლად შედგენა, პრიორიტეტების გამოყოფა, მუშაობის პროცესში საჭირო რესურსების უზრუნველყოფა და გამოყენება. მას კარგად აქვს გაცნობიერებული ცოდნის გაღრმავების აუცილებლობა; შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის დამოუკიდებლად წარმართვა რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით; საკუთარი სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერებით მისი თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა. შეუძლია საკუთარ თავზე მუშაობა და მაგისტრატურაში მიღებული ცოდნისა და უნარების დარგობრივ სამეცნიერო-კვლევით და პრაქტიკულ | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | საქმიანობაში დამოუკიდებლად სრულყოფა; შეუძლია სამეცნიერო დარგობრივ ლიტერატურაზე დამოუკიდებელი მუშაობით ცოდნის განახლება; მას აქვს განათლების შემდგომ (სადოქტორო) საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.<br><br>**ღირებულებები:**<br>არაბისტიკის მაგისტრს აქვს კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის, ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარი; ახასიათებს ტოლერანტობა, განსხვავებული კონფესიების, კულტურებისა და აზრის პატივისცემა; დემოკრატიული ფასეულობების პატივისცემა; შეუძლია ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა; კარგად აქვს გაცნობიერებული პროფესიული, სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობები და სათანადო აკადემიური და ეთიკური ნორმები. იცავს ინტერპერსონალური ურთიერთობების ეთიკას.<br>**დეტალურად იხ**.<br>http://www.tsu.edu.ge/data/file_db/faculty_humanities/MA2012_Arabistikis_programis%20agcera.pdf | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **ასირიოლოგია** | ასირიოლოგიის სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტის მომზადებას ასირიოლოგიის (შუმეროლოგია-აქადოლოგიის და ხეთოლოგიის) მიმართულებით. მისი მიზანია პროფესიონალი ასირიოლოგის აღზრდა და მომზადება, რასაც საფუძველი დაედო ასირიოლოგიის ბაკალავრიატის ოთხწლიანი კურსით: მაგისტრატურის პროგრამა წარმოადგენს ასირიოლოგიის ბაკალავრიატის კურსის ლოგიკურ გაგრძელებას ახალ, გაღრმავებულ დონეზე. პროგრამა მიმართულია ბაკალავრიატში შეძენილი ძველი წინა აზიურ ცივილიზაციათა ენების, მათი დამწერლობის, ლიტერატურის, ხელოვნების, ისტორიის საბაზისო ცოდნის გაღრმავებისაკენ და რეალურ საფუძველს შეადგენს ასირიოლოგიის დოქტორანტურის კურსისათვის. მაგისტრის მომზადებისას პროგრამა ხელმძღვანელობს სწავლებისა და კვლევის საერთაშორისო სტანდარტებით და გამოცდილებით, ასევე ორიენტირებულია პროგრამით მინიჭებული დარგობრივი კომპეტენციებითა და ტრანსფერული უნარებით აღჭურვილი მაგისტრის თანამედროვე ქართულ სამეცნიერო და აკადემიურ სივრცეში წარმატებით დასასაქმებლად. პროგრამა ასევე | **ცოდნა და გაცნობიერება:**<br>ასირიოლოგიის მაგისტრატურის სრული კურსის გავლის შედეგად მაგისტრს აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა ასირიოლოგიის სამეცნიერო დისციპლინის ყველა მიმართულების შესახებ: ძველი წინა აზიის ენები (აქადური, შუმერული, ხეთური), მათი დამწერლობა, ენობრივი სისტემები, რეგიონის ისტორია, ლიტერატურა, ხელოვნება, რელიგია.<br>კერძოდ, სტუდენტი დაუფლებულია ძველი წინა აზიური ენების, ლიტერატურის, ხელოვნების, ისტორის, რელიგიისა და პალეოგრაფიის პრობლემატიკას. შეუძლია ძველი წინა აზიის ლიტერატურული მემკვიდრეობის სხვადასხვა ჟანრებისა და ორიგინალების პროფესიულ დონეზე ანალიზი; ორიგინალ წყაროებზე დამოუკიდებლად მუშაობა; ძველი წინა აზიურ ენებზე შესრულებული ტექსტების ორიგინალში კითხვა, ტრანსკრიპცია, ტრანსლიტერირება, თარგმნა; შინაარსობრივად მათი აგებულების შესწავლა და გაანალიზება; სამხრეთ შუამდინარეთში ხელოვნების, როგორც კაცობრიობის უდიდესი მონაპოვრის გაჩენის შესწავლა და შუმერების მიერ ამ ფაქტის სრული გაანალიზება, რაც მაგისტრანტს დაეხმარება თავად გააცნობიეროს შუამდინარული ხელოვნების ღირებულება; შუამდინარული ისტორიული და ლიტერატურული ძეგლების, შუამდინარული ცივილიზაციის ძველაღმოსავლურ კონტექსტში გააზრება; | 120 | 2012 წლის 18 ივლისის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #214 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ამლევს მაგისტრს შანსს, სწავლა განაგრძოს უმაღლესი განათლების უფრო მაღალ საფეხურზე – დოქტურანტურაში ძირითადი ან მომიჯნავე სპეციალობით.<br>ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასირიოლოგიის სამაგისტრო პროგრამა შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და ითვალისწინებს მისიით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებას - საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას, ინოვაციურ კვლევებსა და სწავლებას, სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას. დეტალურად იხ. http://www.tsu.edu.ge/data/file_db/QA_humanities/MA%20program%20asiriolologia.pdf | ლურსმული დამწერლობის ნიმუშების, თიხის ფირფიტების ფორმატისა და პალეოგრაფიის დაუფლება, ლურსმული დამწერლობის განვითარების სხვადასხვა ეტაპებს შორის მსგავსება–განსხვავებათა გააზრება. აგრეთვე, მაგისტრს აქვს ერთ-ერთი ევროპული ენის (ინგლისურის/ გერმანულის /ფრანგულის) ცოდნა B2 დონეზე მისი სასწავლო და კვლევითი მიზნებისთვის გამოსაყენებლად.<br><br>**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:**<br>ასირიოლოგიის მაგისტრატურაში მიღებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენება მაგისტრს შეუძლია შემდეგი მიმართულებებით:<br>ა) დამოუკიდებლად დაამუშაოს ძველი წინა აზიის ენებზე (აქადური, შუმერული, ხეთური) შესრულებული სხვადასხვა შინაარსის სწავლების სამაგისტრო დონისთვის დასაძლევი სირთულის ტექსტები – შეადგინოს მათი ტრანსლიტერაცია, თარგმანი და ისტორიულ–ფილოლოგიური ანალიზი.<br>ბ) არქეოლოგიური გათხრებით აღმოჩენილი ლურსმული დამწერლობით შესრულებული თიხის ფირფიტების დამუშავება.<br>გ) დამუშავებული მასალის ელექტრონული ვერსიების შექმნა და საერთაშორისო მიმოქცევისათვის მომზადება.<br><br>**დასკვნის უნარი:**<br>პროგრამაში დამუშავებული მასალის კრიტიკული ანალიზის და სინთეზის საფუძველზე განზოგადებული დასკვნების | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | დამოუკიდებლად ჩამოყალიბების უნარი.<br>ცოდნის ინტეგრირების უნარი; განყენებული მონაცემებისა და /ან სიტუაციების ანალიზი დარგობრივი სფეროსათვის შესაბამისი მეთოდების გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება და მკაფიო არგუმენტებით დასაბუთება; სასპეციალიზაციო სფეროში კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრა სათანადო ცოდნისა და კვლევითი მეთოდების გამოყენებით.<br><br>**კომუნიკაციის უნარი:**<br>ა) საჯარო გამოსვლების, სამეცნიერო მოხსენებების, პრეზენტაციების ჩატარების უნარი.<br>ბ) სწავლის შედეგად შეძენილი კომპეტენციების საფუძველზე კურსდამთავრებულს შეეძლება დარგის ყველა მნიშვნელოვან პრობლემაზე მაღალპროფესიული და კომპეტენტური ურთიერთობა როგორც ქართველ ისე უცხოელ კოლეგებთან, აკადემიურ წრეებში; თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების გაზიარება აკადემიური, სამეცნიერო და პროფესიული წრეებისთვის ქართულ და უცხოურ ენებზე.<br><br>**სწავლის უნარი :**<br>დარგის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნის საფუძველზე სტუდენტს განუვითარდება სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარი, შეეძლება სწავლის | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | შემდგომი პროცესის თავისებურებების გაცნობიერება; საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, დაგეგმვა,  შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა;<br><br>**ღირებულებები:**<br>პროგრამაში შემავალი კურსების მეშვეობით მაგისტრანტები ითავისებენ აკადემიური ეთიკის ნორმებს, სასწავლო პროგრამის ყოველი ცალკეული მონაკვეთის დამუშავებისას არსებული სამეცნიერო თვალსაზრისების გაცნობა–შეჯერება და მათ საფუძველზე საკუთარი თვალსაზრისის ჩამოყალიბების უნარი მათ უვითარებს სხვისი აზრის პატივისცემის, შემწყნარებლობის უნარს. ისინი არიან ზოგადჰუმანისტური ფასეულობების მატარებელნი.<br>ასირიოლოგიის  მაგისტრს კარგად აქვს გაცნობიერებული პროფესიული, სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობები და სათანადო აკადემიური და ეთიკური ნორმები. იცავს აკადემიური პატიოსნებისა და ეთიკის სტანდარტებს; ინტერპერსონალური ურთიერთობების ეთიკას.<br>**დეტალურად იხ.**<br>http://www.tsu.edu.ge/data/file_db/QA_humanities/MA%20program%20asiriolologia.pdf | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **ირანისტიკა** | ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ირანისტიკის დარგის მდიდარი ტრადიციისა და თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით, ირანისტიკის პროგრამის მიზანია, მოამზადოს ფართო პროფილის სპეციალისტი, რომელსაც ექნება საფუძვლიანი ცოდნა სპარსულ ენაში, ლიტერატურაში და ირანის ისტორიაში, ირანის ძველ რელიგიებსა და კულტურაში, ისლამურ სამართალსა და მის ინსტიტუტებში. გარდა ამისა, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ის გამოიმუშავებს რელიგიური თუ ეთნიკური განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაფასებისა და პატივისცემის, უცხო კულტურათა მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულების უნარს, რაც დაეხმარება, ჩამოყალიბდეს სწორ ფასეულობებსა და დემოკრატიულ ღირებულებებზე ორიენტირებულ მოქალაქედ.<br>დეტალურად იხ.<br>http://www.tsu.edu.ge/data/file_db/faculty_humanities/Iranistika_MA_program%202012.pdf | **ცოდნა და გაცნობიერება:**<br>ირანისტიკის მაგისტრს მიღებული აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა სპეციალობის განმსაზღვრელ ძირითად ზოგადთეორიულ და პრაქტიკულ დისციპლინებში. იგი ასევე ერკვევა დარგის მომიჯნავე სფეროებშიც.<br>იცის ირანულ ენათა ისტორიულ-დიალექტოლოგიური მიმართებები და თანამედროვე სპარსული ენის დიალექტები და კილოკავები; გააზრებული აქვს სპარსული ენის ადგილი და როლი, ზოგადად, ინდოევროპულ და, კერძოდ, ირანულ ენობრივ არეალში; აქვს სპარსულ ენაზე ზეპირი მეტყველებისა და წერის კულტურის ცოდნა ამ ენაში მიღებული სამეტყველო ეტიკეტისა და ქცევის ნორმების გათვალისწინებით; იცნობს მხატვრული თარგმანის ძირითად თეორიებს, სპარსული ლიტერატურის გამორჩეულ ნაწარმოებებს; იცის ირანის ძველი რელიგიების საფუძვლები, იცნობს ისლამური მისტიციზმის _ სუფიზმის პრობლემატიკას, ერკვევა ისლამური სამართლის თეორიასა და პრაქტიკაში, მის მიმართებაში თანამედროვე საერთაშორისო სამართლთან; აქვს ერთ-ერთი ევროპული ენის (ინგლისურის/ გერმანულის /ფრანგულის) ცოდნა B2 დონეზე მისი სასწავლო და კვლევითი მიზნებისთვის გამოსაყენებლად.<br><br>**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება:**<br>მომზადება სპარსული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სპეციალობით მაგისტრს საშუალებას აძლევს, გააცნობიეროს ცალკეული | 120 | 2012 წლის 18 ივლისის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #205 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | პრობლემების გადაჭრის გზები, ჩაწვდეს ენობრივი, ლიტერატურული და ისტორიული მოვლენებისა და პროცესების არსსა და გენეზისს და გაანალიზოს და კრიტიკულად შეაფასოს ისინი თანამედროვე სამეცნიერო მეთოდების გამოყენებით.<br>ირანისტიკის მაგისტრს შეუძლია:<br>ირანულ ენათა ისტორიულ-შედარებითი ანალიზი და მათი ტიპოლოგიური შეპირისპირება; ახალ სპარსულ ენაზე შექმნილი ტექსტების კითხვა და ენობრივი ანალიზი; სპარსულენოვანი მასმედიის ანალიზი; სპარსული ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი ძეგლების წაკითხვა და კომენტირება; სპარსული ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი ძეგლების წაკითხვა და კომენტირება, ენობრივი, სტილისტური და პოეტიკური ანალიზი, მათ შორის, სუფიური ლიტერატურის ნიმუშების ანალიზი, სუფიური  სიმბოლოების ამოცნობა და დეკოდირება; ირანის ისტორიის ამსახველი წყაროებიდან ინფორმაციის მოძიება, მონაცემების შეჯერება, დამუშავება და ანალიზი; მუსლიმური ქვეყნების პოლიტიკურ სისტემებში შარიათის როლის გაანალიზება და თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში ისლამური სამართლის როლის განსაზღვრა ექსპერტის დონეზე; შეუძლია ერთ-ერთ ევროპული ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) სასპეციალიზაციო დარგში სამეცნიერო ლიტერატურის გაგება და დამუშავება, ასევე სამეცნიერო ხასიათის ტექსტის შედგენა | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | (საკონფერენციო მოხსენება, სამეცნიერო სტატია და სხვ.) და დარგობრივი პრეზენტაციის მომზადება შესწავლილი ენის შესაბამის უცხოენოვან აუდიტორიაში.<br><br>**დასკვნის უნარი:**<br>მაგისტრანტს შეუძლია სწავლის პროცესში მიღებული ინფორმაციის დიფერენცირება, კრიტიკული გაანალიზება და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; თანმიმდევრული და ლოგიკურად არგუმენტირებული კამათი.<br><br>**კომუნიკაციის უნარი:**<br>სპარსულ ენობრივ გარემოში ადაპტირება და სხვადასხვა სახის სპეციალური წერილობითი დოკუმენტაციის შედგენა სპარსული აკადემიური წერის ნორმების შესაბამისად, აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან საკუთარი მოსაზრებებისა და კვლევის შედეგების ქართულ და ევროპულ ენაზე პრეზენტაცია; საჯარო გამოსვლის ტექსტის, სამეცნიერო ნაშრომის ქართულ და ევროპულ ენაზე შექმნის უნარი აკადემიური ნორმებისა და სტანდარტების დაცვით.<br><br>სწავლის უნარი:<br>სამაგისტრო პროგრამა სტუდენტს აძლევს უნარს, გაიაზროს თავისი პროფესიული ცოდნის გაღრმავების აუცილებლობა, სტრატეგიულად დაგეგმოს მომავალი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და გააგრძელოს სწავლა უფრო მაღალ საფეხურზე – დოქტორანტურაში ან ინდივიდუალურად | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | საკუთარ თავზე მუშაობით.<br><br>**ღირებულებები:**<br>რელიგიური და ეთნიკური განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაფასებისა და პატივისცემის უნარი; ტოლერანტული დამოკიდებულება უცხო კულტურათა მიმართ. აკადემიური სინდისიერებისა და სამეცნიერო ეთიკის დაცვის უნარი.<br><br>**დეტალურად იხ.**<br>http://www.tsu.edu.ge/data/file_db/faculty_humanities/Iranistika_MA_program%202012.pdf | | |
| **თურქული ფილოლოგია** | **პროგრამის მიზანია** მიეცეს მაგისტრს თანამიმდევრული, სისტემური ცოდნა სპეციალობის განმსაზღვრელ ზოგადთეორიულსა და პრაქტიკულ დისციპლინებში იმ მოცულობით, რაც აუცილებელია კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიით აღჭურვილი, ფართო თვალსაწიერის მქონე სპეციალისტის მოსამზადებლად ღრმა და სისტემური ცოდნით სამი პროფილით.<br>ერთია საენათმეცნიერო, რაც განხორციელებადია ლინგვისტური კონგლომერატის _ თურქული ენების _ შედარებითი გრამატიკის საკითხთა და თურქულ ენათა დიალექტებად კლასიფიკაციის კრიტერიუმთა შესწავლის, ოფიციალურსა და საქმიან მიმოწერაში დამკვიდრებული ნორმების ათვისების საფუძველზე, აგრეთვე პრესის ენის დაუფლების | **სწავლის შედეგი:**<br>წინამდებარე პროგრამით მომზადებული მაგისტრი შეძლებს თურქული ენის (ენების), ლიტერატურისა და ოსმალური პალეოგრაფია-დიპლომატიკის სფეროში შეძენილი ცოდნის გამოყენებას კონკრეტული სამეცნიერო-პრაქტიკული, საინფორმაციო-ძიებითი, მეთოდიკური და სხვა ამოცანების გადაწყვეტისას; სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს დაგეგმვას, ორგანიზებასა და წარმართვას. მაგისტრს შეუძლია სწავლა განაგრძოს დოქტორანტურაში.<br><br>**ცოდნა და გაცნობიერება:**<br>მაგისტრი იძენს სისტემურ ცოდნას სპეციალობის განმსაზღვრელ ძირითად ზოგადთეორიულსა (როგორიცაა: თურქულ ენათა შედარებითი გრამატიკა, თურქოლოგიური ენათმეცნიერება, ლექსმცოდნეობის ანალიზის პრინციპები და | 120 | 2012 წლის 18 ივლისის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #206 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | კვალობაზე, თანამედროვე ლიტერატურული და სამაუწყებლო ენის რიტუალური, საეტიკეტო მოდელების გაცნობით, ფრაზეოლოგიზმთა სიტუაციურ-კონტექსტური ანალიზით და სხვ;<br>მეორეა ფილოლოგიური რაკურსი, რაც მოიცავს სუფიზმის კარდინალური პრობლემების გათავისებას, შუა საუკუნეების თურქული პოეზიის ტიპურ სტრუქტურათა სისტემისა და ზოგადი მხატვრული მოდელის შესწავლას ტიპოლოგიურ ჭრილში;<br>ძველი, ახალი და უახლესი თურქული ლიტერატურის ძირითადი ტენდენციებისა და მიმართულებების სისტემური ცოდნას;<br>მესამეა ოსმანისტიკის სფერო, რომელსაც მაგისტრანტი ეცნობა არაბული გრაფიკის ოსმალეთში გამოყენებული სახეობებით, საქართველოს ისტორიის შესახებ ოსმალური წყაროების კვლევით და სხვ.<br>ზემოთ ჩამოთვლილი სფეროების ათვისებით და თურქოლოგიური სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობით მაგისტრანტს უვითარდება სამეცნიერო მუშაობის ჩვევა.<br>დეტალურად იხ. http://www.tsu.edu.ge/data/file_db/faculty_humanities/turqul%20filologia_MA_2012.pdf | თურქული პოეტიკა, აღმოსავლური პოეზია და მისი ფილოსოფიურ - რელიგიური წყაროები, ოსმალური დიპლომატიკა და პალეოგრაფია) და პრაქტიკულ დისციპლინათა (როგორიცაა: თურქული სამეტყველო ეტიკეტი და ოფიციალურ-საქმიანი სტილი, სპეცკურსები თურქულ ენასა და ლიტერატურაში, საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები და სხვ.) იმ მოცულობით, რაც აუცილებელია კვალიფიკაციის მისაღებად, და რაც აძლევს ახალი იდეების შემუშავების საშუალებას. სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული იძენს საენათმეცნიერო, ფილოლოგიურსა და ოსმანისტის კომპეტენციას თურქოლოგიის სფეროში.<br><br>**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება:**<br>სწავლის შედეგად მ¬ზა¬დდე¬ბა სპეციალისტი, რომელსაც შეეძლება სხვადასხვა ლიტერატურული, ლინგვისტური და საისტორიო გამოკვლევისა თუ კონცეფციის შეფასება, ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზების გაცნობიერება.<br>მაგისტრი იძენს მულტიდისციპლინურ გარემოში შესაბამისი ცოდნის გამოყენებით პრობლემური საკითხების დამოუკიდებლად გადაწყვეტისა და სხვადასხვა საკითხებზე ათვისებული ინფორმაციის გამოყენების უნარს; მაგისტრი ერკვევა თურქოლოგიის წიაღში აღმოცენებულ პრობლემურ საკითხებში; შეუძლია არგუმენტაციების გათავისება და მათი შემაგრება უახლესი მეთოდების გამოყენებით. მაგისტრს აქვს | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | შეძენილი კომპეტენციების სამეცნიერო ან უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებსა თუ პრაქტიკულ, კონკრეტულ გარემოში გამოყენების უნარი.<br><br>**დასკვნის უნარი:**<br>სამაგისტრო პროგრამა ორიენტირებულია იმაზე, რომ მაგისტრს გამოუმუშაოს პრობლემის გამოკვეთის, მისი კომპლექსურად შესწავლისა და არგუმენტირებული დასკვნის გამოტანის უნარი. მაგისტრანტს ვაჩვევთ ამა თუ იმ საკითხზე დამახასიათებელი მონაცემების შეგროვებას, ხოლო განყენებული მონაცემებისა და სიტუაციების ანალიზით მას უვითარდება დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი. ახალი მოვლენების ანალიზის საფუძველზე მაგისტრანტს ეძლევა საშუალება, დაინახოს, გამოიმუშავოს მათში გარკვევისა და დასკვნების ჩამოყალიბების უნარი.<br><br>**კომუნიკაციის უნარი:**<br>სწავლის პერიოდში მაგისტრანტი ეუფლება სათანადო სამეცნიერო აპარატს, რასაც იგი გამოიყენებს სამეცნიერო შეხვედრებზე საკუთარი აზრის ქართულად და თურქულად გადმოცემაში. ამ დროს მან არგუმენტირებულად უნდა წარმოაჩინოს საკომუნიკაციო თემა, კვლევის მიმდინარეობა. მაგისტრანტს დარგობრივ საკითხებზე დისკუსიის წარმართვისა და კრიტიკული შეხედულებების გამოხატვის უნარი უვითარდება. | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **სწავლის უნარი:**<br>სამაგისტრო პროგრამის დასრულების შედეგად შეძენილი ცოდნა და კვლევის უნარი მაგისტრს აძლევს დამოუკიდებელი ორიენტაციის, სამეცნიერო კვლევისა და პრობლემების გამოკვეთის შესაძლებლობას. ის განსაზღვრავს სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის აუცილებლობას, რაც ქმნის საფუძველს იმისათვის, რომ გაიღრმავოს განათლება, განსაზღვროს კონკრეტული სფერო შემდგომი მუშაობისათვის და სტრატეგიულად დაგეგმოს შემდგომი სწავლის პროცესი.<br><br>**ღირებულებები:**<br>ღირებულებებისადმი საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა, კრიტიკული განსჯა, დამკვიდრების გზების ძიება და ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა სასწავლო პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარეა. უცხო და საკუთარი კულტურული ღირებულებების გაანალიზება - შეფასება მაგისტრანტს ჩამოუყალიბებს ტოლერანტობას. მაგისტრმა უნდა შეძლოს ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.<br>**დეტალურად იხ.**<br>http://www.tsu.edu.ge/data/file_db/faculty_humanities/turqul%20filologia_MA_2012.pdf | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **ებრაულ-არამეული ფილოლოგია** | ებრაისტიკა-არამეისტიკა აღმოსავლეთმცოდნეობის, კერძოდ სემიტოლოგიის ტრადიციული დარგია, როგორც მსოფლიოს წამყვან ორიენტალისტურ ცენტრებში, ასევე საქართველოში. პროგრამაში როგორც ებრაულის, ისე არამეული ენების შესწავლა ქართველოლოგიის პრინციპებიდან გამომდინარეობს. ამ ენების შესწავლისადმი ინტერესი არის არა მხოლოდ საკუთრივ ებრაული თუ არამეული ენების სტრუქტურისა და ისტორიის კვლევა, არამედ ეს სჭირდება ჩვენი კულტურის ისტორიას, იქნება ეს ქართული ენის, ქართული დამწერლობის ისტორია თუ ქართული კულტურის ისტორიის საკითხები.<br>სამაგისტრო პროგრამა ებრაულ-არამეულ ფილოლოგიაში მიზნად ისახავს სემიტოლოგიის დარგში მომუშავე მაგისტრანტს ჩამოუყალიბოს ფართო სამეცნიერო და პრაქტიკული ინტერესები სპეციალიზაციის შესაძლებლობებთან ერთად. პროგრამაში წარმოჩენილია არცთუ ვიწრო სფერო, რომელიც შეთავაზებულია მაგისტრანტებისათვის. ესენია: ზოგადი ბიბლეისტიკა ქართულ პრობლემატიკასთან ერთად (ბიბლიის ქართული თარგმანის ძველი პლასტები), ებრაულ-არამეული ენების სტრუქტურა, სემიტურ-ქართული | **ცოდნა და გაცნობიერება**<br>სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული იძენს ფილოლოგიურ, კერძოდ ლინგვისტურ და ლიტერატურათმცოდნეობით კომპეტენციებს, დარგობრივ ცოდნას, სამეცნიერო – საკვლევი პრობლემური საკითხების შერჩევისა და გადაჭრის უნარს, ინტერდისციპლინური კვლევის მეთოდებს როგორც ლიტერატურათმცოდნეობის, ისე სემიტური ენათმეცნიერების დარგში.<br>მაგისტრს მიეცემა ებრაული და არამეული ენების სტრუქტურული თავისებურებების ცოდნა ფონოლოგიურ, მორფოლოგიურ და სინტაქსურ დონეზე; ებრაული და არამეული ენების სხვადასხვა ენობრივი სისტემებისა და ქვესისტემების ცოდნა სხვა სემიტურ ენებთან მიმართებაში.<br>მაგისტრს აქვს ბიბლიის ხუთი გრაგნილის (ქებათა-ქება, იერემიას გოდება, რუთი, ეკლესიასტე, ესთერი) საფუძვლიანი ცოდნა მხატვრულ-ლიტერატურული, ისტორიოგრაფიული, კულტუროლოგიური თვალთახედვით.<br>მაგისტრს აქვს ცოდნა იუდაიზმის, როგორც რელიგიური აზროვნების ფორმირების შესახებ ბიბლიური ეპოქიდან მოყოლებული ჩვენს თანამედროვეობამდე.<br>მაგისტრს აქვს ცოდნა ქრისტიანული მწერლობის უძველეს კერებში მიმდინარე ლიტერატურული პროცესების შესახებ; არამეული (სირიული) ლექსწყობის სისტემასთან დაკავშირებული საკითხების ცოდნა. სირიული ლექსის სტრუქტურის | | 120 | 2012 წლის 18 ივლისის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #237 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | ენობრივი და ლიტერატურული ურთიერთობანი, არამეული ეპიგრაფიკა საქართველოში, არამეული კულტურის კერები და ადრექრისტიანული პრობლემატიკა, თანამედროვე ებრაული ენა და ლიტერატურა, ტექსტოლოგია და ტექსტუალური კრიტიკა.<br>სამაგისტრო პროგრამის აქტუალობას უდავოდ განაპირობებს საქართველოში ებრაული და არამეული დიასპორების არსებობა.<br>ებრაულ-არამეული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამით მომზადებულ მაგისტრს ეძლევა შესაძლებლობა, დასაქმდეს სპეციალობით ან განაგრძოს სწავლა დოქტურანტურაში.<br>დეტალურად იხ. http://www.tsu.edu.ge/data/file_db/faculty_humanities/ebraul-arameuli2012.pdf | კვლევა და სირიულ-არაბულ ვერსიფიკაციასთან ქართული ლექსის შეხების მომენტების გამოვლენა და ცოდნა.<br>არამეული (სირიული) ენის მორფოსინტაქსისა და სინტაქსის საფუძვლების ცოდნა, ბიბლიის ებრაულის მორფოსინტაქსის ცოდნა, თანამედროვე სალიტერატურო ებრაულის სინტაქსურ სირთულეში გარკვევის უნარი.<br>ტექტუალური კრიტიკის ზოგადი და სპეციფიკური სფეროების ცოდნა, სხვადასხვა ჟანრის ლიტერატურული თხზულებების კითხვის გამოცდილება და ავტორის თუ ჟანრის სტილისტიკაში გარკვევის შესაძლებლობა.<br>მაგისტრს აქვს ერთ-ერთი ევროპული ენის (ინგლისურის/ გერმანულის /ფრანგულის) ცოდნა B2 დონეზე მისი სასწავლო და კვლევითი მიზნებისთვის გამოსაყენებლად.<br><br>**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება:**<br>აღმოსავლური ლიტერატურული ძეგლების შესწავლა ტექსტოლოგიური, მხატვრულ – ლიტერატურული, ბიბლიოლოგიური, ისტორიოგრაფიული თუ კულტუროლოგიური თვალთახედვით, საშუალებას აძლევს მაგისტრანტს შეიმუშავოს ლიტერატურული ძეგლებისადმი კომპლექსური მიდგომის უნარი. ის იძენს ფილოლოგიური კვლევის სხვადასხვა მეთოდების გამოყენებისა და კვლევის შედეგების შეჯერების უნარს, ტექსტების გამართულად თარგმნის უნარს. მაგისტრანტს შეუძლია შეძენილი კომპეტენციების სამეცნიერო ან უმაღლეს | | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | სასწავლო დასწესებულებებსა თუ პრაქტიკულ, კონკრეტულ გარემოში გამოყენება.<br><br>**დასკვნის უნარი:**<br>სამაგისტრო პროგრამა ორიენტირებულია, მაგისტრანტს გამოუმუშაოს პრობლემის გამოკვეთის, მისი კომპლექსურად შესწავლისა და კომპარატიული კვლევის, ფაქტობრივი მასალის შეპირისპირების შედეგად არგუმენტირებული დასკვნის გამოტანის უნარი. საკითხისადმი კრიტიკული მიდგომის, ანალიზისა და სინთეზის უნარი.<br><br>**კომუნიკაციის უნარი:**<br>მშობლიურ და უცხო ენაზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის განხორციელების, დარგობრივ საკითხებზე დისკუსიის წარმართვისა და კრიტიკული შეხედულებების გამოხატვის უნარი. ქართული და აღმოსავლური კულტურების შესწავლის საფუძველზე ზოგადი და განსხვავებული პერსპექტივების გააზრების, ტექსტოლოგიური კვლევის, ანალიზის და სინთეზის შედეგად მაგისტრს აქვს საინფორმაციო ბაზის შექმნის უნარი, მონაცემთა ბაზის შედგენის და მისი საძიებლებითა და ინდექსებით უზრუნველყოფის, დამოუკიდებელი კვლევისათვის აუცილებელი ბიბლიოგრაფიის მომზადების უნარი უახლესი საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.<br>**სწავლის უნარი:** | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | სამაგისტრო პროგრამის დასრულების შედეგად შეძენილი ცოდნა და კვლევის უნარი მაგისტრს აძლევს შესაბამის სფეროებში დამოუკიდებელი ორიენტაციის, სამეცნიერო კვლევისა და პრობლემების გამოკვეთის შესაძლებლობას. ის შეძლებს სწავლის პროცესის დამოუკიდებლად წარმართვას კომპარატივისტული, დესკრიპციული და ტიპოლოგიური მეთოდების თავისებურებების გაცნობიერებით და შემდგომი კვლევების სტრატეგიულად დაგეგმვით.<br><br>**ღირებულებები:**<br>მაგისტრს შეეძლება ღირებებულებისადმი საკუთარი და სხვათა დამოკიდებულების კრიტიკული განსჯა, მათი დამკვიდრების გზების ძიება. სხვადასხვა კონფესიების თანაარსებობის და ურთიერთდამოკიდებულების ამსახველი სათანადო წყაროების, ლიტერატურული ძეგლების, ტექსტების შესწავლის საფუძველზე მას ჩამოუყალიბდება შემწყნარებლური დამოკიდებულება სხვადასხვა რელიგიის მიმართ.<br>შეძენილი ცოდნის საფუძველზე იგი შეძლებს ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში გარკვეული წვლილის შეტანას მაღალი აკადემიური დონის და პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვის მეშვეობით.<br>**დეტალურად იხ.**<br>http://www.tsu.edu.ge/data/file_db/faculty_humanities/ebraul-arameuli2012.pdf | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **ლიტერატურათმცოდნეობა, ტექსტოლოგია და სარედაქციო-საგამომცემლო საქმე** | სამაგისტრო პროგრამას _ “ლიტერატურათმცოდნეობა, ტექსტოლოგია და სარედაქციო-საგამომცემლო საქმე” თავისი არსითა და დანიშნულებით მულტიმეთოდოლოგიურია და ორიენტირებულია საქართველოს დასაქმების ბაზარზე.<br>პროგრამის მიზანია მოამზადოს მაგისტრები როგორც თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევების ძირითადი თეორიული მიმართულებების _ ინტერკულტურული და კულტურათაშორისი კვლევების, ისე სპეციფიკური ფილოლოგიური საქმიანობის _ ტექსტოლოგიური კვლევებისა და სარედაქციო-საგამომცემლო მუშაობის მიმართულებით, აღჭურვოს ისინი საჭირო ღრმა და ფუნდამენტური თეორიული და პრაქტიკული ცოდნით. სამაგისტრო პროგრამა განკუთვნილია სტუდენტებისათვის, რომლებსაც მიღებული აქვთ საწყისი საბაკალავრო განათლება ჰუმანიტარულ მეცნიერებებში და სურთ, გააღრმავონ პროფესიული ცოდნა ან შეიცვალონ სპეციალობა ზოგადი და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის, აგრეთვე, ტექსტოლოგიისა და საგამომცემლო საქმის მიმართულებით.<br>პროგრამა ეხმარება სტუდენტებს, | **სწავლის შედეგი:**<br>ლიტერატურათმცოდნეობა, ტექსტოლოგია და სარედაქციო საქმის სამაგისტრო პროგრამით მომზადებული მაგისტრი ერუდირებული სპეციალისტია, მიღებული აქვს დარგის შესაბამისი ღრმა და სისტემური განათლება სპეციალობაში, ფუნდამენტური სამეცნიერო ცოდნის საფუძვლები ლიტერატურათმოცდნეობით და საგამომცემლო საქმის დისციპლინებში; იგი დარგს ფლობს კონცეპტუალურ დონეზე. ასევე მას შეუძლია დარგობრივ მონაცემთა დამოუკიდებელი ინტერპრეტირება და საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში დარგის მომიჯნავე სფეროებში გარკვევა; შესწევს დამოუკიდებლად როგორც სამეცნიერო-თეორიული, ისე პრაქტიკული მუშაობის უნარი.<br><br>**1. ცოდნა და გაცნობიერება**<br>მაგისტრანტს აქვს დარგობრივი სფეროს - ზოგადი და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის, ტექსტოლოგიისა და საგამომცემლო საქმის - უახლესი თეორიული და კვლევაზე დაფუძნებული ღრმა და სისტემური ცოდნა და უნარი, ასახოს ინდივიდუალური ინტერესი საკუთარი კვლევისას ლიტერატურათმცოდნეობასა და სხვა მომიჯნავე დისციპლინებთან მიმართებით. ეს დისციპლინებია: ქართული ლიტერატურის ისტორია, ევროპული ლიტერატურის ისტორია, ფილოსოფია, ესთეტიკა, ანთროპოლოგია, ფოლკლორი და | 120 | 2012 წლის 18 ივლისის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #231 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ჩამოყალიბდნენ კვლევის თანამედროვე ტექნოლოგიებში დაოსტატებულ პროფესიონალებად, რომელთაც შესწევთ უნარი, დააკმაყოფილონ ახალი სტანდარტები და, რაც არსებითია, ხელი შეუწყონ ქართული ლიტერატურათმცოდნეობითი სკოლის ჩართვას მსოფლიო ფილოლოგიურ დიალოგში.<br><br>**დეტალურად იხ.**<br>http://www.tsu.ge/data/file_db/faculty_humanities/literaturatmc.teqstologia_MA_2011_28023.pdf | სხვა.<br>მაგისტრს შეუძლია გაიაზროს მხატვრული ტექსტი სხვადასხვა თანამედროვე კრიტიკული მეთოდების _ ინტერპრეტაციული, კომპარატივისტული, ტიპოლოგიური, ჰოლისტიკური და სხვა _ მეშვეობით; ღრმად ჩაწვდეს კრიტიკული თეორიის არსს, რომელიც განსაკუთრებით კარგადაა ასახული ინტერპრეტაციისა და კომპარატივისტიკის (შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის) კრიტიკული აზროვნების მეთოდებში;<br>მაგისტრს აქვს ლიტერატურათმცოდნეობითი სამეცნიერო-ტერმინოლოგიური აპარატით ოპერირების უნარი. ერკვევა თანამედროვე ინტელექტუალურ მიმდინარეობებში (მოდერნიზმიდან პოსტმოდერნიზმამდე და შემდეგ), ფორმირებებში, ძირითად ცნებებსა და კრიტიკულ საკითხებში.<br>მაგისტრს შეუძლია ტექსტის თეორიული და პრაქტიკული დამუშავება: ცოდნის შეჯამება, კლასიფიცირება, დასმული საკითხების შეპირისპირება და შეფასება ზოგადი ლიტერატურათმცოდნეობის, ლექსმცოდნეობის, ტექსტოლოგიის და სხვა ამიმართულებებით;<br>მაგისტრს  აქვს ერთ-ერთი ევროპული ენის (ინგლისურის/ გერმანულის /ფრანგულის) ცოდნა B2 დონეზე მისი სასწავლო და კვლევითი მიზნებისთვის გამოსაყენებლად.<br><br>**2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:**<br>მაგისტრი სრულად ფლობს დარგისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ მეთოდებს. | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | შეუძლია ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, სამეცნიერო-კვლევითი, პედაგოგიური, პრაქტიკული საქმიანობის პროცესში; შეუძლია ლიტერატურათმცოდნეობის, ტექსტოლოგიისა და საგამომცემლო საქმიანობის მიმართულებით ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; ნებისმიერი მხატვრული და არამხატვრული ტექსტის რედაქტირება, კორექტირება და სტილისტური დამუშავება; ესმის საგამომცემლო საქმიანობის, როგორც ჰუმანიტარული აზროვნების აუცილებელი პრაქტიკული პროდუქტის, მუშაობის სპეციფიკა. შეუძლია კომპლექსური პრობლემების გადაჭრა ახალი და ორიგინალური გზებით; შეუძლია კვლევის განხორციელება დამოუკიდებლად, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; მაგისტრს შეუძლია ერთ-ერთ ევროპული ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) სასპეციალიზაციო დარგში სამეცნიერო ლიტერატურის გაგება და დამუშავება, ასევე სამეცნიერო ხასიათის ტექსტის შედგენა (საკონფერენციო მოხსენება, სამეცნიერო სტატია და სხვ.) და დარგობრივი პრეზენტაციის მომზადება შესაბამის უცხოენოვან აუდიტორიაში.<br><br>**3. დასკვნის უნარი**<br>მაგისტრს შეუძლია რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება;<br>კრიტიკული მიდგომის გათვალისწინებითა და დარგობრივი სფეროს უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით, მაგისტრს შეუძლია ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი – ანალიზი, კატეგორიზაცია, შედარება, შეპირისპირება, დასკვნების გამოტანა.<br><br>**4. კომუნიკაციის უნარი**<br>მაგისტრს შეუძლია განახორციელოს თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების დამაჯერებელი, მკაფიო, დამოუკიდებელი და კომპეტენტური კომუნიკაცია აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე; შეუძლია თავისი პოზიციის გამოხატვა, რეაგირება განსხვავებულ აზრზე, პროფესიულ კამათში ჩართვა, მოსაზრებების შეჯამება;<br>მაგისტრი მუშაობისას იყენებს საინფორმაციო–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევებს, ფლობს მულტიმედია კომპეტენციას და იყენებს მას დარგისათვის სპეციფიკურ კონტექსტში.<br><br>**5. სწავლის უნარი**<br>მაგისტრს გამომუშავებული აქვს შემდგომი საჭირო სწავლის უნარი: შეუძლია სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა; ის აცნობიერებს სწავლის პროცესის თავისებურებებს, დამოუკიდებლად გეგმავს დროს და ახორციელებს სამუშაოს. გამომუშავებული | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მაღალი დონე.<br><br>**6. ღირებულებები**<br>მაგისტრი მუშაობისას ითვალისწინებს აკადემიური პატიოსნების სტანდარტებს;<br>მას შეუძლია ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.<br><br>დეტალურად იხ.<br>http://www.tsu.ge/data/file_db/faculty_humanities/literaturatmc.teqstologia_MA_2011_28023.pdf | | |
| **კულტურული მემკვიდრეობა და თანამედროვეობა** | **პროგრამის მიზანია** მისცეს საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი ცოდნა ძველი ხელოვნების, თანამედროვე ხელოვნების და მუზეუმმცოდნეობის სპეციალობით; ჩამოაყალიბოს ფართო ერუდიციის მქონე სპეციალისტი. სამაგისტრო პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს სწავლების სამ მოდულს: ძველი ხელოვნება, ახალი და  თანამედროვე ხელოვნება და სამუზეუმო საქმე. პროგრამის ფარგლებში თითოეული მოდული ითვალისწინებს როგორც ვიწრო სპეციალიზებული, ისე საერთო საგნების სწავლებას. პროგრამის მიზანია, მისცეს მაგისტრს ღრმა და სისტემური ცოდნა ხელოვნებათმცოდნეობის დარგში, მოამზადოს ის როგორც ხელოვნებათმცოდნე, მომზადებული იმ | **ცოდნა და გაცნობიერება: მოდული: ძველი ხელოვნება, ახალი და თანამედროვე ხელოვნება:**<br>მაგისტრს აქვს ხელოვნების ფენომენის, მისი განვითარების ზოგადი და სპეციფიკური კანონზომიერებების ცოდნა; კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის რაობის, მისი დაცვის და ადაპტაციის პრობლემების ცოდნა; კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის გაცნობიერება საქართველოს სახელმწიფოს განვითარების კონტექსტში; სტუდენტს აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა აღმოსავლეთქრიატიანულ და დასავლურ სამყაროსთან საქართველოს მიმართების და ხელოვნების სხვადასხვა დარგის ფორმირების საკითხებზე;<br><br>მაგისტრი ფლობს ცოდნას იმ კულტურული, ისტორიული და რელიგიური კონტექსტის შესახებ, რომელშიც ყალიბდებოდა და | 120 | 2012 წლის 18 ივლისის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #234 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | დარგობრივი კომპეტენციებისა და კვლევითი უნარების გათვალისწინებით, რომლებიც უზრუნველყოფს მის შრომით დასაქმებას როგორც სამეცნიერო არეალზე, ასევე პრაქტიკულ–გამოყენებით სფეროებში.<br><br>მოდული ძველი ხელოვნება: მოდულის მიზანია მოამზადოს პროფესიონალი კადრი, რომელიც აქტიურად ჩაერთვება კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის საკითხებში, ექნება კულტურული ძეგლების, კერძოდ კი ხელნაწერი წიგნების, მინიატურების, მონუმენტური ძეგლების შესწავლისა და ანალიზის უნარი, დამოუკიდებელი მხატვრულ-იკონოგრაფიული ანალიზის უნარ-ჩვევები, წყაროებსა და ლიტერატურაზე მუშაობისა და კრიტიკულად გააზრების უნარის ჩამოყალიბება.<br><br>მოდული ახალი და  თანამედროვე ხელოვნება: მოდულის მიზანია შეასწავლოს ხელოვნების ისტორიის სხვადასხვა დარგები და მიმართულებები XIX საუკუნიდან XXI საუკუნის აქტუალური ხელოვნების ჩათვლით, კერძოდ კი: მსოფლიო და ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპების, მიმართულებების და | ვითარდებოდა ქართული ხუროთმოძღვრება, ორნამენტული მხატვრობა, მინიატურის ხელოვნება, სახვითი ხელოვნება, იკონოგრაფია, სცენოგრაფია და კინემატოგრაფია. მაგისტრი ფლობს ცოდნას არქიტექტურული ტიპის არსსა და ქვეტიპების ფორმირების პროცესზე. იცის XX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული სახვითი ხელოვნების ძირითადი მიმდინარეობები და სტილები, ფლობს ინფორმაციას კინოენის ჩამოყალიბებისა და განვითარების შესახებ, ადრეული და ამავე პერიოდის დასავლური კინემატოგრაფიის შესახებ, რაც ეხმარება მას, სათანადოდ შეაფასოს  ქართული კინემატოგრაფიის ნიმუშები. ფლობს ცოდნას XX საუკუნის 40-80-იანი წლების დასავლეთ ევროპისა და აშშ-ს ვიზუალური ხელოვნების ძირითადი მიმდინარეობებისა და ტენდენციების შესახებ. აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს, რაც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას. მაგისტრმა იცის თანამედროვე ხელოვნებათმცოდნეობაში არსებული მეთოდოლოგიისა და კვლევის მიმართულებები; მაგისტრს  აქვს ერთ-ერთი ევროპული ენის (ინგლისურის/ გერმანულის /ფრანგულის) ცოდნა B2 დონეზე მისი სასწავლო და კვლევითი მიზნებისთვის გამოსაყენებლად.<br><br>**მოდული: სამუზეუმო საქმე:** მუზეუმების სოციალური და კულტურული ასპექტების, სამუზეუმო სტრუქტურების ფუნქციონირების, | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ძირითადი კონცეფციების შესწავლა; კინოს, როგორც ახალი ვიზუალური კომუნიკაციის საშუალების გავლენა ზოგად კულტურულ პროცესებზე და პირიქით, მასში ამ მოვლენათა რეფლექსირების საკითხი; პოსტმოდერნისტული ეპოქის კულტურისა და ხელოვნების ძირითადი სფეროები, ტენდენციები და თავისებურებები სხვადასხვა დარგებში: არქიტექტურა, მხატვრობა, პლასტიკა, ახალი მედიები და სხვ.<br>მოდული სამუზეუმო საქმე: მოდული სამუზეუმო საქმე ითვალისწინებს თანამედროვე სამუზეუმო სტანდარტების შესაბამისად სპეციალისტების მომზადებას, რომლებიც შეისწავლიან სამუზეუმო ფასეულობებს, მოდელებს, კანონმდებლობას და, შესაბამისად, შეძლებენ სხვადასხვა ტიპის მუზეუმში მუშაობას. ეს მოდული ინოვაციური ხასიათისაა და მოიცავს სამუზეუმო მოღვაწეობის ყველა ასპექტს – როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ სამუშაოებს.<br><br>**დეტალურად იხ.**<br>http://www.tsu.edu.ge/data/file_db/faculty_humanities/ma2012Program.kulturuli%20memkvidreoba.pdf | მუზეუმმცოდნეობის თანამედროვე თეორიების ცოდნა. ცოდნა კულტურული ინსტიტუციების მართვისა და იქ მიმდინარე ყველა პრაქტიკული პროცესების შესახებ. კულტურული და სოციალური კონტექსტის ცოდნა, რომელშიც ყალიბდებოდა და ვითარდებოდა ეს დაწესებულებები. მარკეტინგის თეორიების შესახებ ცოდნა. თანამედროვე მარკეტინგული ტექნოლოგიების ზოგადი პრინციპებისა და მექანიზმების ცოდნა. სტუდენტი ფლობს ცოდნას სამუზეუმო საქმიანობისა და მუზეუმებით სარგებლობის ძირითადი პრინციპების შესახებ, სამუზეუმო საქმიანობაში სახელმწიფო გარანტიების უზრუნველყოფის შესახებ, მუზეუმების სისტემის მართვისა და დაფინანსების პრინციპების შესახებ, მუზეუმების კატეგორიების შესახებ; სამუზეუმო საქმიანობაში მონაწილე ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ძირითადი უფლება–მოვალეობების შესახებ, სამუზეუმო ექსპონატების აღრიცხვისა და დაცვის ტექნოლოგიების შესახებ. მაგისტრს აქვს ერთ-ერთი ევროპული ენის (ინგლისურის/ გერმანულის /ფრანგულის) ცოდნა B2 დონეზე მისი სასწავლო და კვლევითი მიზნებისთვის გამოსაყენებლად.<br><br>**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება/პრაქტიკული უნარები**<br>**მოდული: ძველი ხელოვნება,** ახალი და თანამედროვე ხელოვნება: კულტურული | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | მემკვიდრეობისა და თანამედროვე ხელოვნების სფეროში ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების უნარი; თანამედროვე ეპოქაში მხატვრული შემოქმედების კვლევისა და მართვის პრობლემების წარმოჩენისა და პრიორიტეტულობის მიხედვით მათი რანჟირების უნარი; თანამედროვე სახელოვნებათმცოდნეო მეთოდოლოგიის გამოყენების უნარი; მიღებული ცოდნის გამოყენება მისი განზოგადების საფუძველზე კონკრეტულ მასალაზე კვლევის პროცესში; ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება.<br><br>**მოდული: სამუზეუმო საქმე:** კულტურისა და ხელოვნების დარგში არსებული პრობლემების გადაწყვეტის ოპტიმალური, რეალური განხორციელების გზების ძიების უნარი; კულტურული მემკვიდრეობისა და ხელოვნების კვლევასა და მართვასთან დაკავშირებული კონკრეტული, პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტის უნარი; მეთოდოლოგიური უნარ-ჩვევები და კვლევითი ტექნიკა; მაგისტრს შეუძლია ერთ-ერთ ევროპული ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) სასპეციალიზაციო დარგში სამეცნიერო ლიტერატურის გაგება და დამუშავება, ასევე სამეცნიერო ხასიათის ტექსტის შედგენა (საკონფერენციო მოხსენება, სამეცნიერო სტატია და სხვ.) და დარგობრივი | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | პრეზენტაციის მომზადება შესწავლილი ენის შესაბამის უცხოენოვან აუდიტორიაში.<br><br>**დასკვნის უნარი:** კულტურული მემკვიდრეობის შესახებ უახლესი კვლევების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი; ხელოვნების ძეგლთა შესახებ მოძიებულ მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის უნარი; უახლესი ინოვაციური თეორიებისა და იდეების საფუძველზე თამამი გადაწყვეტილებების მიღების უნარი.<br><br>**კომუნიკაციის უნარი:** ძველი და თანამედროვე ხელოვნების, კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და კვლევის მეთოდების, სამუზეუმო საქმიანობის პროფესიული შეფასების, არგუმენტაციისა და მიღებული დასკვნების ანალიზისა და კომუნიკაციურ დონეზე გადატანის უნარი აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან; საკუთარი დასკვნებისა და კვლევის მიმართულებებისა და მეთოდების შესახებ კოლეგებთან ქართულ და უცხო ენაზე კომუნიკაციის უნარი საინფორმაციო–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. აქვს საჯარო გამოსვლის ტექსტის, სამეცნიერო ნაშრომის ქართულ და უცხო ენაზე შექმნის უნარი აკადემიური ნორმებისა და სტანდარტების დაცვით; ქართულ და უცხო ენაზე პრეზენტაციის წარმართვის უნარი;<br><br>**სწავლის უნარი:** თანამედროვე მოთხოვნების | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | შესაბამისად ხელოვნების სხვადასხვა დარგის ქმნილებების კვლევის და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლის უნარი, სწავლის პროცესის მაღალ დონეზე დაგეგმვის უნარი.<br><br>**ღირებულებები:** ხელოვნების, როგოც ღირებულებითი კატეგორიისადმი საკუთარი და სხვების შეფასების უნარი; სამოქალაქო საზოგადოებაში ხელოვნების აუცილებლობის დამკვიდრებაში წვლილის შეტანის უნარი.<br><br>**დეტალურად იხ.** http://www.tsu.edu.ge/data/file_db/faculty_humanities/ma2012Program.kulturuli%20memkvidreoba.pdf | | |
| **სახვითი ხელოვნება** | სახვითი ხელოვნების სამაგისტრო პროგრამის მიზანია დარგში მიღებული საბაკალავრო ცოდნისა და უნარების სამაგისტრო დონეზე ამაღლება, გაღრმავება და განვითარება, ამავე დროს მაგისტრანტის შემოქმედებითი და ინტელექტუალური მუშაობის პრინციპულად ახალ ჭრილში გადაყვანა. პროგრამა ითვალისწინებს და ემყარება შრომით ბაზარზე მხატვრობის სფეროში მაღალკვალიფიცირებულ, ფართო შემოქმედებითი დიაპაზონის მქონე, ერუდირებულ ხელოვანზე მოთხოვნას. სახვითი ხელოვნების სამაგისტრო პროგრამა მასში ჩართული აკადემიური რესურსით, სასწავლო და კვლევითი | **ცოდნა და გაცნობიერება**<br>პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს სახვითი ხელოვნების სახეობების, დარგების დამახასიათებელი ნიშან-თვისებების, ამოცანების, სტილისტიკის და ჟანრობრივი თავისებურებების ღრმა და სისტემური ცოდნა. დაზგური მხატვრობისთვის, ილუსტრირებისთვის, კინო და თეატრალური მხატვრობისთვის საჭირო მასალის, ოპტიმალურად გამოყენების მეთოდიკის, თანამედროვე, ალტერნატიული და არატრადიციული მხატვრული აზროვნების სფეროს ცოდნა. ფერის, პლასტიკის, სივრცისა და სასურათე სიბრტყის ურთიერთდამოკიდებულების, მხატვრული იდეის და თემატიკის შემოქმედების საბოლოო პროდუქტთან დაკავშირების სისტემური | 120 | 2012 წლის 18 ივლისის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #235 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | კომპონენტით მიზნად ისახავს, მოიცვას დარგის ღრმა და სისტემური ცოდნა და უზრუნველყოს საკუთარი კურსდამთავრებულის როგორც წარმატებული დასაქმება, ასევე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა. პროგრამით გათვალისწინებული კომპლექსური სწავლება ორიენტირებულია სტუდენტის მრავალმხრივი ინტერესებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე, მისთვის პიროვნული და აკადემიური თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, ეთიკური იდეალების შესაბამის, კრიტიკული, შემოქმედებითი და პროგრესული აზროვნების გამომუშავებაზე; კონკურენტუნარიანი პროფესიული კადრის მომზადებაზე, სრულფასოვანი მოქალაქის ჩამოყალიბებასა და ახალგაზრდებში ეროვნულ–ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებაზე.<br><br>დეტალურად იხ. http://www.tsu.edu.ge/data/file_db/faculty_humanities/saxviti%20xelovneba%20MA%20PRogram.pdf | ცოდნა; მხატვრული კომპოზიციური აზროვნების სხვადასხვა დარგში და მასალაში სტილისტური და მიზნობრივი დატვირთვის გათვალისწინებით გამოყენების ცოდნა, შედეგად - ორიგინალური მხატვრული იდეების შემოქმედებითად გადაწყვეტის უნარი.<br>ხელოვნებაში თეორიული აზრის განვითარების ისტორიული ეტაპების გაღრმავებული ცოდნა; მხატვრული შემოქმედების ანალიტიკური ასპექტის, როგორც ცნობიერების ფორმის არსის, მნიშვნელობის გაცნობიერება. მხატვრული ტექსტის გაგების და განმარტების მეთოდური კონცეპტების ღრმა და სისტემური ცოდნა. მაგისტრს აქვს ერთ-ერთი ევროპული ენის (ინგლისურის/ გერმანულის /ფრანგულის) ცოდნა B2 დონეზე მისი სასწავლო და კვლევითი მიზნებისთვის გამოსაყენებლად.<br><br>**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:**<br>პრაქტიკული უნარების გამომუშავება პროგრამისთვის პრიორიტეტს წარმოადგენს და საგნების უმრავლესობა ამ ამოცანას ემსახურება. კურსდამთავრებულს აქვს დაზგურ ფერწერასა და გრაფიკაში, კინო-ტელე და თეატრის მხატვრობაში სამუშაოდ საჭირო მასალების, ინსტრუმენტებისა და დამხმარე ინვენტარის პრაქტიკაში სწორად და ოპტიმალურად გამოყენების უნარ-ჩვევები. შეუძლია სხვადასხვა სამხატვრო ტექნიკის სინთეზისა ან მათი სამუშაოს შესრულების ეტაპების მიხედვით მონაცვლეობის | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | მეშვეობით შექმნას მაღალმხატვრული პროდუქცია. შეუძლია ნებისმიერი სირთულის კომპოზიციაზე მუშაობისას შემოქმედებითად გამოიყენოს ათვისებული პრაქტიკული უნარები, მონახოს ამოცანის ორიგინალური კომპოზიციური და მხატვრული გადაწყვეტა.<br>აქვს საკუთარი მხატვრული ხედვის თანამედროვე ხელოვნების მულტიდისციპლინურ გარემოში დანერგვის, ინდივიდუალური მხატვრული პრაქტიკის უახლესი კონცეფციებით გამდიდრების უნარი.<br>არტეფაქტისა და დიზაინერული პროექტების მხატვრული ღირებულების ექსპერტიზისა და ორიგინალური შემოქმედებითი მეთოდის გამოყენების უნარი.<br>მაგისტრს შეუძლია ერთ-ერთ ევროპული ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) სასპეციალიზაციო დარგში სამეცნიერო ლიტერატურის გაგება და დამუშავება, ასევე სამეცნიერო ხასიათის ტექსტის შედგენა და დარგობრივი პრეზენტაციის მომზადება შესწავლილი ენის შესაბამის უცხოენოვან აუდიტორიაში.<br><br>**დასკვნის უნარი:**<br>კურსდამთავრებულს აქვს  მხატვრობის სპეციფიკისა და ამ სფეროში შეფასების კრიტერიუმების არაერთგვაროვნების გაცნობიერებით როგორც ხელოვნების ნიმუშის, ასევე მხატვრული იდეის, კონკრეტული ამოცანის და გარემოსთვის მისადაგების შეფასებისას საფუძვლიანი კრიტიკული ანალიზის, დასკვნების | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | გამოტანისა და მხატვრულ-ესთეტიკური იდეების სინთეზის უნარი.<br>კურსდამთავრებულს შეუძლია სფეროს შემოქმედებითი ნაწილისათვის დამახასიათებელი რთული, კომპლექსური, ხშირ შემთხვევაში არასრული ინფორმაციის შეგროვება, სპეციფიკური სიტუაციების კრიტიკული ანალიზი, ბიოეთიკურ ველზე არსებული დილემური კოლიზიების გახსნა, ზნეობრივი მოტივების აღმოჩენა–დადგენა და ინდუქციას, დედუქციის, ანალიზისა და სინთეზის მეთოდების გამოყენებით დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება.<br><br>**კომუნიკაციის უნარი:**<br>კურსდამთავრებულს აქვს თეორეტიზებისა და, აქედან გამოდინარე, ვერბალური კომუნიკაციის უნარი, რაც სახვითი ხელოვნების სფეროში მოღვაწეთათვის, ამ სფეროს გამოხატვის"ენობრივი" სპეციფიკიდან გამომდინარე, მოსაზრებების არგუმენტაციის დამატებითი საშუალებაა. სახვითი ხელოვნების სფეროში, პროფილისა და თემატიკის შესაბამისად, კონკრეტულ შემოქმედებით ამოცანაზე დასკვნების გამოტანისა და მათი არგუმენტაციის უნარი. შეუძლია ორგანიზაციასა და მომხმარებელის კულტურული განსხვავებულობის დაფიქსირება, განსხვავებულ კულტურულ ღირებულებათა მქონე ადამიანებთან კომუნიკაცია.<br><br>**სწავლის უნარი:** | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | კურსდამთავრებულს აქვს პრაქტიკული უნარ-ჩვევების, კომპოზიციური აზროვნების განვითარების ინდივიდუალურ-შემოქმედებით რეჟიმში, დამოუკიდებლად წარმართვის უნარი. ვიზუალური ხელოვნების ამა თუ იმ დარგში მხატვრული პროდუქციის შესრულებისა და პრეზენტაციის პირობების დაგეგმვის, თემის აქტუალობისა და პროექტის ეფექტურობის განსაზღვრის უნარი; ინდივიდუალურ-მხატვრული სფეროს ზოგად კულტურულ კონტექსტში და თანამედროვე სახელოვნებო პროცესებში ჩართვის უნარი. სწავლების პროცესის სტრატეგიული დაგეგმარებისა და რთულ სიტუაციაში ადაპტირების უნარი.<br><br>**ღირებულებები:**<br>კურსდამთავრებულს აქვს ესთეტიკური აზრის ისტორიის, როგორც მხატვრულ ღირებულებათა დამკვიდრებისა და ცვლის ისტორიის ცოდნა, საკუთარ და სხვათა ღირებულებების მიმართებათა შეფასებისა და აქტივიზაციის უნარი. ესთეტიკური გემოვნების შეფასების უნარი. ისეთი ღირებულებითი სისტემის შემუშავების უნარი, რომელიც გულისხმობს ესთეტიკური და მორალური ნორმების შესაბამის ქცევას.<br><br>**დეტალურად იხ.**<br>http://www.tsu.edu.ge/data/file_db/faculty_humanities/saxviti%20xelovneba%20MA%20PRogram.pdf | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **კულტურის კვლევები** | **პროგრამის მიზანია,** მაგისტრანტს მისცეს ღრმა ცოდნა კულტურათა კვლევების სფეროში, მოამზადოს სპეციალისტი, აღჭურვილი იმ დარგობრივი კომპეტენციებითა და უნარებით, რომლებიც რომელიც კონკურენტუნარიანი იქნება შრომის ბაზარზე.<br><br>პროგრამა აგრძელებს საუნივერსიტეტო ტრადიციებს და ავითარებს მათ ინოვაციური კვლევებითა და სწავლებით. იგი მიზნად ისახავს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრებას, კერძოდ, კულტურული მრავალფეროვნების პოზიტიური აღქმის ხელშეწყობას, კულტურათაშორისი დიალოგის პრინციპების დამკვიდრებას, რაც გულისხმობს სხვა კულტურების გაცნობას, კულტურათაშორისი განსხვავებების გაცნობიერებას, განსხვავებული კულტურული ტრადიციების პატივისცემას; სტერეოტიპების, ქსენოფობიის და რასიზმის პრევენციას; მრავალფეროვან კულტურულ გარემოში ორიენტაციის, წარმატებული კომუნიკაციისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავებას.<br><br>სამაგისტრო პროგრამა მოიცავს | **ცოდნა და გაცნობიერება:**<br>კულტურის კვლევების მაგისტრი იძენს კულტურის ფენომენის შესახებ მეცნიერულ ცოდნას და შეისწავლის სამეცნიერო დისციპლინათა წარმომადგენლების ნააზრევს, რომლებიც საფუძვლად დაედო კულტურის კვლევათა ჩამოყალიბებას ცალკე დარგად; სტუდენტი ეუფლება იმ მეთოდოლოგიურ საფუძვლებს, რომელთაც დაემყარა კულტურის კვლევათა ისტორიული დისკურსი, ასევე ძირითად მიმდინარეობებსა და დისკუსიას სხვადასხვა მეთოდოლოგიური მიდგომის წარმომადგენელთა შორის. მაგისტრი ეცნობა კულტურის ფენომენის ისტორიული კვლევის სფეროში დაგროვილ მეთოდოლოგიურ გამოცდილებას; კულტურის პოლიტიკის არსს, მიზნებს, სამეცნიერო და პრაქტიკულ მნიშვნელობას, ინტერკულტურული კვლევის და კომუნიკაციის არსს, კულტურათაშორისი ურთიერთობების შესაძლებლობებს და დონეებს, ამ პროცესში წარმოქმნილ სირთულეებს და მათი გადალახვის შესაძლებლობებს; ინტერკულტურული დიალოგის როლს უსაფრთხოების საკითხში. კულტურებში ისტორიის ორგანიზების, წარსულის დამახსოვრებისა და აღქმის თავისებურებებს, მეხსიერების კვლევის სფეროში არსებული ძირითად ცნებებსა და თეორიებს, ისტორიისა და წარსულის გამოყენებას სხვადასხვა სახის კონფლიქტურ სიტუაციებსა და ზოგადად, პოლიტიკურ პროცესებში. მაგისტრს აქვს ერთ-ერთი | 120 | 2012 წლის 18 ივლისის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #209 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | როგორც თეორიულ საკითხებს, ასევე კულტურათა კონკრეტული კვლევის მეთოდებსა და მაგალითებს (case studies). სტუდენტმა უნდა გაიაზროს ემპირიული მასალის თავმოყრისა და ანალიზის წესი და მიზანი კულტურის კვლევათა სფეროში. ფართო და მრავალფეროვანი თეორიული მიდგომების საფუძველზე, სტუდენტი უნდა დაეუფლოს კულტურის ფენომენის ანალიზის ხერხებსა და მეთოდებს, გაიაზროს კულტურის კვლევის ინტერდისციპლინური ხასიათი. პროგრამის სავალდებულო და არჩევითი კურსები საერთოა სხვადასხვა სამაგისტრო პროგრამასთან. ეს უზრუნველყოფს კულტურის კვლევათა სფეროსათვის აუცილებელ მრავალმხრივ და ინტერდისციპლინურ ცოდნას. პროგრამა ამზადებს სტუდენტს შემდგომი კვლევისა და პრაქტიკული საქმიანობისათვის. იგი უნდა ჩამოყალიბდეს ანალიტიკოსად და პრაქტიკოსად კულტურის კვლევათა სფეროში.<br><br>**დეტალურად იხ.**<br>http://www.tsu.edu.ge/data/file_db/QA_humanities/MA%20kulturis%20kvlevebi%202013.pdf | ევროპული ენის (ინგლისურის/ გერმანულის /ფრანგულის) ცოდნა B2 დონეზე მისი სასწავლო და კვლევითი მიზნებისთვის გამოსაყენებლად.<br><br>**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:** კულტურის კვლევების მაგისტრს შეუძლია კულტურის კვლევების სფეროში არსებული ცნებებისა და კონცეფციების, ისტორიული პროცესის კულტურული კონტექსტის როლისა და მნიშვნელობის გამოყენება კულტურის კონკრეტული ფენომენების კვლევაში, ასევე თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების გააზრება და გამოყენება კულტურული პროცესების დაგეგმვისა და სტრატეგიების შემუშავებაში. მაგისტრი შეძლებს ინტერკულტურული კომუნიკაციის სპეციფიკის, ინტერკულტურული და კომპარატივისტული მეთოდის გამოყენებას კულტურათაშორისი ურთიერთობების პროცესის სირთულეების ანალიზისა და გადალახვის პროცესში; კულტურის ფენომენისადმი ინტერდისციპლინური მიდგომის, ემპირიული მასალის თავმოყრისა და ანალიზის უნარ-ჩვევების დაუფლებას; ეთნიკური კონფლიქტების ანალიზსა და მათ შედარებით შესწავლას; პოლიტიკური ლიდერების როლის იდენტიფიცირებას კონფლიქტურ პროცესებში; მაგისტრს გამოუმუშავდება თანამედროვე მსოფლიოში კულტურულ იდენტობასთან დაკავშირებული | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | პრობლემებისა და მათი გამომწვევი მიზეზების ანალიზის უნარი.<br><br>**დასკვნის უნარი:** კულტურის კვლევების მაგისტრს შეუძლია მონაცემების ანალიზი დარგობრივი სფეროსათვის შესაბამისი სტანდარტული და ინოვაციური მეთოდების გამოყენებით; პრობლემის გააზრება სინქრონულ და დიაქრონულ ჭრილში; საკითხების განხილვა სხვადასხვა პერსპექტივით, მკაფიოდ არგუმენტირებული დასკვნის გამოტანა.<br><br>**კომუნიკაციის უნარი:** კულტურის კვლევების მაგისტრს შეუძლია სხვადასხვა ტიპის პროფესიულ დისკუსიაში მონაწილეობა, დასკვნებისა და არგუმენტების გაზიარება აკადემიური, სამეცნიერო და პროფესიული წრეებისთვის ქართულ და უცხოურ ენებზე, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების აქტიურად გამოყენება, ეფექტური ურთიერთობა სასწავლო თუ სამუშაო ჯგუფში.<br><br>**სწავლის უნარი**: კულტურის კვლევების მაგისტრს აქვს სამუშაო დროის სწორად და რაციონალურად დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი: შეუძლია სამუშაოს დაწყებამდე სამუშაო გეგმის შედგენა, პრიორიტეტების გამოყოფა, მუშაობის პროცესში საჭირო რესურსების მოძიება და გამოყენება. მას ესმის ცოდნის გაღრმავების აუცილებლობა; შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის მართვა, მისი | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | თანმიმდევრული და მრავალმხრივი შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა. შეუძლია საკუთარ თავზე მუშაობა და მაგისტრატურაში სწავლის მანძილზე მიღებული ცოდნისა და უნარების დამოუკიდებლად სრულყოფა პრაქტიკული საქმიანობის პროცესში; დამოუკიდებელი მუშაობა; სამეცნიერო დარგობრივ ლიტერატურაზე დამოუკიდებელი მუშაობით ცოდნის განახლება; მას აქვს განათლების შემდგომ (სადოქტორო) საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.<br><br>**ღირებულებები:** კულტურის კვლევების მაგისტრს კარგად აქვს გაცნობიერებული პროფესიული პასუხისმგებლობა, აკადემიური და ეთიკური ნორმები; იცავს ინტერპერსონალური ურთიერთობების ეთიკას; აქვს კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის, ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარი; ახასიათებს ტოლერანტობა, განსხვავებული აზრის, განსხვავებული კულტურებისა და რელიგიების პატივისცემა; პატივს სცემს დემოკრატიულ ფასეულობებს.<br><br>**დეტალურად იხ.**<br>http://www.tsu.edu.ge/data/file_db/QA_humanities/MA%20kulturis%20kvlevebi%202013.pdf | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **კულტურული და სოციალური ანთროპოლოგია** | **პროგრამის მიზნებია** მაგისტრანტებისთვის სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის შესახებ ღრმა და სისტემური მეცნიერული ცოდნის მიწოდება; ანთროპოლოგიური კვლევის მეთოდოლოგიური და ემპირიულ-კვლევითი უნარების გავითარება და გააზრება პრაქტიკული საქმიანობის კონტექსტში; უახლესი ემპირიულ/კვლევით სტრატეგიათა კრიტიკული სწავლება, ფართოდ გამოყენებადი კვლევითი ტექნოლოგიების დაუფლება; სოციოკულტურული კვლევის დაგეგმვისა და დიზაინის ბაზისური პრინციპების, მონაცემთა მოპოვების, მათი ანალიზისა და ინტერპრეტაციის სწავლება, აგრეთვე ანალიტიკური, დისკუსიური, პრეზენტაციისა და სხვა, პრაქტიკული საქმიანობისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავება, ადამიანისა და საზოგადოების, სოციალური ორგანიზაციის ფორმების განვითარების ლოგიკური ჯაჭვის შესახებ ცოდნის მიცემა, რათა მათ შესძლონ ერთ მთლიანობად გაიაზრონ მსოფლიოო ხალხების კულტურული მრავალფეროვნება. სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სემინარები და სწავლების პრაქტიკული ელემენტები მიმართული იქნება კვლევის | **ცოდნა-გაცნობიერება:** კურსდამთავრებულს აქვს სოციალურ და კულტურულ ანთროპოლოგიაში აქტუალური თემატიკის ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც მოიცავს ამ სფეროსთვის აუცილებელ ტერმინოლოგიურ/ცნებით აპარატს, ანთროპოლოგიურ თეორიებს, კლასიკურ და თანამედროვე სოციალურ-თეორიულ მიდგომებს, კულტურის გამოყენებითი ასპექტების გააზრება, რაც მაგისტრს აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას; აქვს ცოდნა სოციოკულტურული ფაქტორების ზემოქმედების კანონზომიერებების, აგრეთვე სოციალური ინსტიტუტების, პიროვნებისა და, ზოგადად, სოციალური და კულტურული ფენომენების სპეციფიკური ასპექტების შესახებ, სოციალური ცვლილების პროცესთა კულტურულ ვარიაციებზე, ინოვაციისა და ტრადიციის ურთიერთმიმართებაზე თანამედროვე პრაქტიკის კონტექსტში. აცნობიერებს აბსტრაქტული მონაცემებისა და კონცეფციების საჭიროებისამებრ ტრანსფორმაციის და პრობლემის გადაჭრის გზების მოძიების საჭიროებას. მაგისტრს აქვს ერთ-ერთი ევროპული ენის (ინგლისურის/ გერმანულის /ფრანგულის) ცოდნა B2 დონეზე მისი დარგობრივ სფეროში სასწავლო და კვლევითი მიზნებისთვის გამოსაყენებლად.<br><br>**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება:** კურსდამთავრებულს აქვს ცოდნა და უნარი გამოიყენოს კვლევის დარგობრივი მეთოდები | 120 | 2012 წლის 18 ივლისის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #225 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | სტრატეგიათა და მეთოდთა გამოყენების წვდომის გაღრმავებაზე; პრობლემის დასმასა და კვლევის დაგეგმვაზე, სხვადასხვაგვარი მეთოდების გამოყენებით მოპოვებული მონაცემების ინტერპრეტაციაზე. მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობა პროფესიული და კვლევის ეთიკის კონტექსტში დისკუსიური და პრეზენტაციის უნარების გამომუშავებას. სამაგისტრო პროგრამის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანია კონკრეტულ-კვლევითი საქმიანობის სწავლება და ზემოთჩამოთვლილი უნარებით აღჭურვილი კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადება თანამედროვე შრომითი ბაზრისათვის.<br><br>დეტალურად იხ. http://www.tsu.edu.ge/data/file_db/faculty_humanities/MA%20Soc-Cult%20Anthropology%202012.pdf | და თანამედროვე სტრატეგიები კვლევის დამოუკიდებლად განხორციელებისათვის. აქვს ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედების უნარი. აქვს ცოდნის ინტეგრირების უნარი; აგრეთვე, გამომუშავებული აქვს უშუალოდ საქმიანობის სპეციფიკით გათვალისწინებული სპეციალური უნარ-ჩვევები: კონკრეტული სფეროს საკვლევად ადეკვატური პრინციპების ანალიზის, საკვლევი საკითხის ფორმალიზების, გამოსაყენებელ მეთოდთა შერჩევის, კვლევით მოპოვებული მასალის დამუშავების ჩვევები; შეუძლია სასპეციალიზაციო სფეროში კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრა სათანადო ცოდნისა და მეთოდების გამოყენებით. მაგისტრანტები აითვისებენ ეთნოგრაფიული კვლევის ემპირიულ მეთოდებს. მათ შეეძლებათ საველე სამუშაობის წარმოება. შეძლებენ გამოიყენონ დაკვირვების, ინტერვიურება-ანკეტირების, ტიპოლოგიის მეთოდები. მასალის ფიქსაციისას საველე-კვლევით სპეციფიკას ემატება წერილობითი ფიქსაცია დღიურების, თემატური ბარათების, ანგარიშების სახით, ასევე ვიზუალური ფიქსაცია ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. მაგისტრანტებს შეეძლებათ განახორციელონ პრაქტიკული კვლევები, მოახდინონ ეთნოგრაფიული ფაქტების რეკონსტრუცია, მოვლენების პროგნოზირების უნარის საფუძველზე შეიმუშაონ რეკომენდაციები მნიშვნელოვან სოციო-კულტურულ საკითხებთან | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | მიმართებაში. მაგისტრს შეუძლია ერთ-ერთ ევროპულ ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) სასპეციალიზაციო დარგში სამეცნიერო ლიტერატურის გაგება და დამუშავება, ასევე სამეცნიერო ხასიათის ტექსტის შედგენა (საკონფერენციო მოხსენება, სამეცნიერო სტატია და სხვ.) და დარგობრივი პრეზენტაციის მომზადება შესწავლილი ენის შესაბამის უცხოენოვან აუდიტორიაში.<br><br>**დასკვნის უნარი:** ანთროპოლოგიის მაგისტრს შეუძლია სფეროსათვის დამახასიათებელი რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი; შეუძლია განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი დარგობრივი სფეროსათვის შესაბამისი როგორც სტანდარტული, ისე ინოვაციური მეთოდების გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება და მკაფიო არგუმენტებით დასაბუთება; ზუსტი ფორმულირებით გადმოცემა; აქვს პრობლემის სინქრონიაში და დიაქრონიაში ხედვის უნარი; სისტემის (სტრუქტურის) შემადგენელი ცალკეული ელემენტების ურთიერთზეგავლენის გააზრების, სიტუაციაში ადაპტირების და მინიმალური დახმარების პირობებში გადაწყვეტილების მიღების უნარი. | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **კომუნიკაციის უნარი:** ანთროპოლოგიის მაგისტრს შეუძლია დისკუსიაში პროფესიულ დონეზე მონაწილეობა, ანთროპოლოგიის მაგისტრს შეუძლია სხვადასხვა თემებზე თავის აზრებისა და შეხედულებების ზეპირი და წერილობითი სახით ჩამოაყალიბება; შეუძლია სამეცნიერო ანგარიშის და ესეს დაწერა, არგუმენტების მოყვანა სხვადასხვა შეხედულებების საწინააღმდეგოდ ან მხარდასაჭერად. აქვს საჯარო გამოსვლის ტექსტის, სამეცნიერო ნაშრომის ქართულ და უცხო ენაზე შექმნის უნარი აკადემიური ნორმებისა და სტანდარტების დაცვით; აქვს ქართულ და უცხო ენაზე პრეზენტაციის წარმართვის უნარი;<br><br>**სწავლის უნარი:** ანთროპოლოგიის მაგისტრს აქვს სამუშაო დროის სტრატეგიულად დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი: თავისი კომპეტენციის სფეროში შეუძლია სამუშაოს დაწყებამდე სამუშაოს შესრულების გეგმის დამოუკიდებლად შედგენა, პრიორიტეტების გამოყოფა, მუშაობის პროცესში საჭირო რესურსების უზრუნველყოფა და გამოყენება. მას კარგად აქვს გაცნობიერებული ცოდნის გაღრმავების აუცილებლობა; შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის დამოუკიდებლად წარმართვა რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით; შეუძლია სამეცნიერო დარგობრივ ლიტერატურაზე დამოუკიდებელი მუშაობით ცოდნის განახლება; მას აქვს განათლების შემდგომ (სადოქტორო) საფეხურზე სწავლის | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | გაგრძელების შესაძლებლობა.<br><br>**ღირებულებები:** ანთროპოლოგიის მაგისტრს კარგად აქვს გაცნობიერებული პროფესიული, სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობები და სათანადო აკადემიური და ეთიკური ნორმები. იცავს აკადემიური პატიოსნებისა და ეთიკის სტანდარტებს; ინტერპერსონალური ურთიერთობების ეთიკას. მას აქვს კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის, ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარი; ახასიათებს ტოლერანტობა, განსხვავებული კონფესიების, კულტურებისა და აზრის პატივისცემა; დემოკრატიული ფასეულობების პატივისცემა; შეუძლია ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.<br><br>დეტალურად იხ. http://www.tsu.edu.ge/data/file_db/faculty_humanities/MA%20Soc-Cult%20Anthropology%202012.pdf | | |
| **განათლების მეცნიერებებ ი** | **პროგრამის მიზანი.** საზოგადოების განვითარების შესაბამისად, ქვეყნის განათლების სისტემა პერმანენტულად იცვლება და ვითარდება. განათლების სისტემაში ცვლილებების გონივრულ გატარებას შესაბამისი დარგის სპეციალისტები ესაჭიროება. მით უფრო | **ცოდნა და გაცნობიერება**<br>პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულმა უნდა იცოდეს:<br>• პედაგოგიკურ/ფსიქოლოგიური დისციპლინები;<br>• მსოფლიო საგანმანათლებლო სისტემების აგების პრინციპები; | 120 | 2012 წლის 18 ივლისის საგანმანათლებლ ო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | საჭიროა ასეთი სპეციალისტების მომზადება ჩვენი ქვეყნისათვის, ვინაიდან საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციის პროცესები აუცილებლობით აყენებს მისი განათლების სისტემის ძირეულ ცვლილებებს. წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის მიზანს წარმოადგენს ისეთი უნარებითა და კომპეტენციებით აღჭურვილი სპეციალისტის მომზადება, რომელიც წარმატებით გაუძღვება ქვეყანის განათლების სისტემაში მიმდინარე სერიოზულ ცვლილებებს, შეძლებს დააკმაყოფილოს განათლების სფეროს ხელმძღვანელი მუშაკისადმი წაყენებული მოთხოვნები. ამასთანავე მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს პედაგოგიკის მეცნიერების განვითარების საქმეში.<br>განათლების სფეროს ხელმძღვანელობისა და მართვის მოდულის მიზანია: შეასწავლოს სტუდენტს განათლების მართვის ძირითადი პრინციპები და განუვითაროს ამ სფეროში მოღვაწეობისათვის საჭირო უნარები. გააცნოს განათლების ეკონომიკისა და მართვის ძირითადი ცნებები და კავშირები, განათლების სისტემის სამართლებრივი საფუძვლები, სკოლის შეფასების და ხარისხის უზრუნველყოფის ძირითადი | • საქართველოს საგანმანათლებლო სისტემა;<br>• ზოგადი და უმაღლესი განათლების მეთოდოლოგიური საფუძვლები და თანამედროვე ტექნოლოგიები;<br>• ქვეყნის განათლების სისტემის საკანონმდებლო ბაზა;<br>• პედაგოგიური კვლევის მეცნიერული მეთოდები;<br>• განათლების ეკონომიკისა და მართვის ძირითადი პრინციპები;<br>• განათლების ისტორია;<br>• ზრდასრულთა განათლების საკითხები;<br>• განათლების პოლიტიკის სფეროსთან დაკავშირებული ძირითადი ცნებები და თეორიები.<br>• მაგისტრს აქვს ერთ-ერთი ევროპული ენის (ინგლისურის/ გერმანულის /ფრანგულის) ცოდნა B2 დონეზე მისი სასწავლო და კვლევითი მიზნებისთვის გამოსაყენებლად.<br><br>**განათლების სფეროს ხელმძღვანელობა და მართვა.**<br>პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულმა უნდა იცოდეს: პედაგოგიკურ/ფსიქოლოგიური დისციპლინები; საქართველოს საგანმანათლებლო სისტემა; ბოლონიის პროცესის ამსახველი დოკუმენტები; ზოგადი და უმაღლესი განათლების მეთოდოლოგიური საფუძვლები და სწვლების თანამედროვე ტექნოლოგიები; ქვეყნის განათლების სისტემის საკანონმდებლო ბაზა; პედაგოგიური კვლევის მეცნიერული მეთოდები; განათლების | | #229 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | პრინციპები, სწავლების პროცესში მოზარდის ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზებისთვის აუცილებელი პირობები. პროფესიული განვითარების პრინციპები. სტუდენტს განუვითაროს განათლების კვლევის პრაქტიკული უნარები, პრაქტიკისა და თეორიის ერთმანეთთან ეფექტურად დაკავშირების უნარი;<br><br>განათლების პოლიტიკის მოდულის მიზანია: მოამზადოს განათლების ექსპერტი.შეუქმნას სტუდენტს საფუძველი განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებებისა და ქართული საგანმანანათლებლო სივრცის საჭიროებების გაცნობიერებისა და განვითარებისათვის. მისცეს სტუდენტს თეორიული ცოდნა განათლების პოლიტიკის საკითხებში, განუვითაროს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და ხარისხის მართვის პრაქტიკული უნარები, საერთაშორისო გამოცდილების ქართულ საგანმანათლებლო სივრცეცთან ადაპტირების უნარი, ქართული ბაზარის საჭიროებების განსაზღვრისა და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნის უნარი.<br>განათლების კვლევების მოდულის მიზანია: მოამზადოს განათლების მკვლევარი, მისცეს სტუდენტს | ეკონომიკისა და მართვის ძირითადი პრინციპები; ზრდასრულთა განათლების საკითხები;<br><br>**განათლების პოლიტიკა**<br>პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულმა უნდა იცოდეს: პედაგოგიკურ/ფსიქოლოგიური დისციპლინები; მსოფლიო საგანმანათლებლო სისტემების აგების პრინციპები; საქართველოს საგანმანათლებლო სისტემა; საგანმანათლებლო სივრცეში არსებული აკრედიტაციისა და ევალუაციის მოდელები; ბოლონიის პროცესის ამსახველი დოკუმენტები; ზოგადი და უმაღლესი განათლების მეთოდოლოგიური საფუძვლები და სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიები; ქვეყნის განათლების სისტემის საკანონმდებლო ბაზა;  განათლების ისტორია; განათლების პოლიტიკის სფეროსთან დაკავშირებული ძირითადი ცნებები და თეორიები, განათლების პოლიტიკის აგების ძირითადი პრინციპები, განათლების პოლიტიკისა და ქვეყნის ეკონომიკის ურთიერთმიმართების საკითხები.<br><br>**განათლების კვლევები**<br>პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულმა უნდა იცოდეს: პედაგოგიკურ/ფსიქოლოგიური დისციპლინები;  საქართველოს საგანმანათლებლო სისტემა; საგანმანათლებლო სივრცეში არსებული | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | აუცილებელი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა მეცნიერული და პედაგოგიური მოღვაწობისათვის, განათლების სხვადასხვა სფეროში საქმიანობისათვის. შეასწავლოს ზოგადი და უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების ჩამოყალიბებისა და განვითარების ეტაპები; მისი წყაროები და ცნებები; მეცნიერული კვლევის მეთოდები; სწავლება/სწავლების პროცესის სპეციფიკა; სწავლების ორგანიზაციის ფორმები; სწავლების პრინციპები და მეთოდები; მოსწავლეთა და სტუდენტთა  შემეცნებითი უნარების აქტივიზაციის გზები.<br>**დეტალურად იხ.**<br>http://www.tsu.edu.ge/data/file_db/faculty_humanities/2012_MA%20ganatlebis%20mecnierebebi.pdf | აკრედიტაციისა და ევალუაციის მოდელები; ბოლონიის პროცესის ამსახველი დოკუმენტები; ზოგადი და უმაღლესი განათლების მეთოდოლოგიური საფუძვლები და სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიები; უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა, ანდროგოგიკა/ზდასრულთა პედაგოგიკა/ ქვეყნის განათლების სისტემის საკანონმდებლო ბაზა; პედაგოგიური კვლევის მეცნიერული მეთოდები;<br><br>**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება**<br>პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს:<br>• საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის ხედვა მსოფლიო კონტექსტში;<br>• ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის საჭიროებების განსაზღვრა და შესაბამის საკანონმდებლო ბაზის შექმნაში მონაწილების მიღება;<br>• საგანმანათლებლო სისტემის ყველა დონეზე განათლების ხარისხის შეფასება;<br>• მეცნიერული კვლევის დაგეგმვა და განხორციელება;<br>• ტრეინინგ-კურსებისა და სემინარების ორგანიზება და გაძღოლა;<br>• კონკრეტული საგანამანთლებლო ობიექტის მიზნისა და მისიის განსაზღვრა, ხელმძღვანელობა და მართვა;<br>• საგანმანათლებლო დოკუმენტაციის დამუშავება;<br>• სხვადასხვა კონტექსტში უმაღლესი განათლების პრობლემების თანამშრომლობით | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | გადაწყვეტა, პერსონალური და ფართო ავტონომიური ინიციატივების გამოჩენა;<br>• უმაღლესი განათლების მმართველობის სფეროსთან ინსტიტუციურ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე საკუთარი პრაქტიკული და კვლევითი საქმიანობის ადაპტირება;<br>• საშუალო და უმაღლესი საგანათლებლო დაწესებულების კონცეპტუალური ხედვის ჩამოყალიბება და მისიის განსაზღვრა განათლების სფეროში ქვეყნის პოლიტიკის გათვალისწინებით.<br>• მაგისტრს შეუძლია ერთ-ერთ ევროპული ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) სასპეციალიზაციო დარგში სამეცნიერო ლიტერატურის გაგება და დამუშავება, ასევე სამეცნიერო ხასიათის ტექსტის შედგენა (საკონფერენციო მოხსენება, სამეცნიერო სტატია და სხვ.) და დარგობრივი პრეზენტაციის მომზადება შესწავლილი ენის შესაბამის უცხოენოვან  აუდიტორიაში.<br><br>**განათლების სფეროს ხელმძღვანელობა და მართვა.**<br>პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს: კონკრეტული საგანამანთლებლო ობიექტის მიზნისა და მისიის განსაზღვრა, ხელმძღვანელობა და მართვა; სასწავლო დაწესებულების ხარისხის მართვა; საკუთარი საქმიანობუს თვითშეფასება; საგანმანათლებლო დოკუმენტაციის დამუშავება; ქვეყნის საგანმანათლებლო | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | სისტემის საჭიროებების განსაზღვრა და შესაბამის საკანონმდებლო ბაზის შექმნაში მონაწილეობის მიღება; ტრეინინგ-კურსებისა და სემინარების ორგანიზება; საშუალო და უმაღლესი განათლების მმართველობის სფეროსთან საკუთარი პრაქტიკული და კვლევითი საქმიანობის ადაპტირება.<br><br>**განათლების პოლიტიკა**<br>პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს: საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის ხედვა მსოფლიო კონტექსტში; ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის საჭიროებების განსაზღვრა და შესაბამის საკანონმდებლო ბაზის შექმნაში მონაწილეობის მიღება; საგანმანათლებლო სისტემის ყველა დონეზე განათლების ხარისხის შეფასება; მეცნიერული კვლევის დაგეგმვა და განხორციელება; საშუალო და უმაღლესი საგანათლებლო დაწესებულების კონცეპტუალური ხედვის ჩამოყალიბება და მისიის განსაზღვრა განათლების სფეროში ქვეყნის პოლიტიკის გათვალისწინებით.<br><br>**განათლების კვლევები**<br>**პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს:** ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის საჭიროებების განსაზღვრა და შესაბამის საკანონმდებლო ბაზის შექმნაში მონაწილეობის მიღება პედაგოგიკის მეცნიერებაზე დაყრდნობით. საგანმანათლებლო სისტემის ყველა დონეზე | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | განათლების ხარისხის შეფასება; მეცნიერული კვლევის დაგეგმვა და განხორციელება, კვლევის შედეგების გათვალისწინება საკუთარ საქმიანობაში; საგანმანათლებლო დოკუმენტაციის დამუშავება; უმაღლესი განათლების მმართველობის სფეროსთან ინსტიტუციურ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე საკუთარი პრაქტიკული და კვლევითი საქმიანობის ადაპტირება;<br><br>**დასკვნის უნარი**<br>პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს უნდა ჰქონდეს:<br>• საგანმანათლებლო კონცეფციებისა და თეორიებისა სისტემური ანალიზის უნარი;<br>• დარგობრივი ცოდნის ასპექტებისა და საგანმანათლებლო პოლიტიკაში მათ გამოყენებას შორის პოტენციური კავშირების იდენტიფიცირების უნარი;<br>• რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი.<br><br>**კომუნიკაციის უნარი**<br>პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს უნდა შეეუძლოს:<br>• პროფესიულ სფეროში აკადემიურ დონეზე ზეპირი და წერითი კომუნიკაცია;<br>• პროფესიულ თემებზე არგუმენტირებული მსჯელობის, დიალოგისა და დასკვნების დასაბუთება;<br>• საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | პროფესიულ დონეზე კომუნიკაციისათვის;<br>• პროფესიულ ჯგუფში მუშაობა, როგორც წევრის, ასევე ლიდერის როლში.<br>• საჯარო გამოსვლის ტექსტის, სამეცნიერო ნაშრომის ქართულ და უცხო ენაზე შექმნის უნარი აკადემიური ნორმებისა და სტანდარტების დაცვით;<br>• ქართულ და უცხო ენაზე პრეზენტაციის წარმართვის უნარი;<br><br>**სწავლის უნარი**<br>პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს:<br>• სამუშაოს დამოუკიდებლად დაგეგმვა და ორგანიზება საკუთარი შესაძლებლობების გათვალისწინებით;<br>• ახალი საგანმანათლებლო საჭიროებებისა და მოთხოვნების დანახვა/განჭვრეტა და, შესაბამისად, საკუთარი სწავლის დაგეგმვა;<br>• ახალი პროფესიული მასალის მოძიება და დამოუკიდებლად სწავლა.<br><br>**ღირებულებები**<br>პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს:<br>• საკუთარი საქმიანობის შეფასება და თვითკრიტიკა;<br>• საზოგადოებრივ-კულტურული და ზნეობრივი ღირებულებების შეფასება და დამკვიდრებაში მონაწილეობის მიღება;<br>• პროფესიულ–ეთიკური ნორმების დაცვა;<br>• სხვადასხვა კულტურისადმი პატივისცემა, ღირებულებათა ფორმირებაში კულტურისა და | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | განათლების როლის მნიშვნელობის გააზრება.<br><br>**დეტალურად იხ.**<br>http://www.tsu.edu.ge/data/file_db/faculty_humanities/2012_MA%20ganatlebis%20mecnierebebi.pdf | | |
| **მასწავლებელთა განათლება** | **პროგრამა მიზნად** ისახავს ახალი, პრინციპულად განსხვავებული მასწავლებლის მომზადებას. ასეთ მასწავლებელს უნდა გააჩნდეს ისეთი უნარები, როგორიცაა ლიდერობა, ინიციატიურობა, შემოქმედებითობა, სასწავლო პროგრამისა და გეგმის განვითარების დამოუკიდებელი ხედვა, მოსწავლეთა სწავლისადმი მოტივირება და სხვა. ამასთან, ამ ტიპის მასწავლებელი უნდა ფლობდეს მეთოდისტ-მასწავლებლის უნარებსაც, რომელზეც განსაკუთრებული აქცენტი კეთდება განათლების კანონში. პროგრამაში ასახულია თანამედროვე მოთხოვნები მასწავლებლისა და დარგის მეთოდიკის სპეციალისტის მიმართ, რაც შესაბამისობაშია მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცესთან. პროგრამა მოიცავს თორმეტ მოდულს. ესენია: ფიზიკის სწავლების მეთოდიკა; მათემატიკის სწავლების მეთოდიკა; ბიოლოგიის სწავლების მეთოდიკა; ქიმიის სწავლების მეთოდიკა; ისტორიის სწავლების მეთოდიკა; გეოგრაფიის სწავლების მეთოდიკა; | **ცოდნა და გაცნობიერება**<br>პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულმა უნდა იცოდეს:<br>• მეთოდოლოგიურ/ფსიქოლოგიური დისციპლინებინები (პროფესიული სტანდარტი);<br>• სასწავლო პროცესში მოზარდის უფლებებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხები;<br>• ზოგადი განათლების თანამედროვე ტექნოლოგიები; კვლევის მეცნიერული მეთოდები;<br>• მაპროფილებელი სასწავლო დისციპლინების საბაზო და საშუალო სკოლის მასწავლებლის სტანდარტით გათვალისწინებული სწავლების მეთოდიკა; ქვეყნის განათლების სისტემის საკანონმდებლო ბაზა;<br>• პროფესიულ-ეთიკური ნორმები; მშობლებთან თანამშრომლობის ფორმები;<br>• უწყვეტი პროფესიული განვითარების საჭიროება; სასწავლო დისციპლინა (საგნობრივი სტანდარტი).<br>• მაგისტრს აქვს ერთ-ერთი ევროპული ენის (ინგლისურის/ გერმანულის /ფრანგულის) ცოდნა B2 დონეზე მისი სასწავლო და კვლევითი მიზნებისთვის გამოსაყენებლად. | 120 | 2012 წლის 18 ივლისის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #219 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ქართულის სწავლების მეთოდიკა; ინგლისურის სწავლების მეთოდიკა; გერმანულის სწავლების მეთოდიკა; ფრანგულის სწავლების მეთოდიკა; რუსულის სწავლების მეთოდიკა; რუსულის, როგორც მეორე უცხო ენის სწავლების მეთოდიკა; თითოეული მოდულის მიზანია სასპეციალიზაციო დარგის მეცნიერული საფუძვლების დაუფლება, მეთოდოლოგიური საკითხების და დარგის სწავლების მეთოდიკის შესწავლა განახლებული სასკოლო სტანდარტის შესაბამისად, შედეგზე და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და ეფექტურად მართვის უნარ-ჩვევების, სასწავლო მიზნებისა და სწავლების სტრატეგიების ურთიერთშეთანხმების უნარის გამომუშავება სტანდარტის მოთხოვნილების გათვალისწინებით.<br><br>**დეტალურად იხ.**<br>http://www.tsu.edu.ge/data/file_db/faculty_humanities/MA%20maswavlebelTa%20ganaTleba_2012.pdf | **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება**<br>პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს:<br>• სასწავლო საგნობრივი პროგრამის ანალიზი და დაგეგმვა;<br>• საგნის სწავლების პრობლემების განსაზღვრა და დამოუკიდებლად გადაწყვეტა;<br>• საგნის სწავლების მეთოდოლოგიური საფუძვლის და შესაბამისი ტექნოლოგიის შერჩევა;<br>• სწავლება/სწავლის პროცესის მრავალფეროვანი მეთოდებისა და სტრატეგიების გამოყენება;<br>• შეფასების სისტემის მეთოდების მორგება კონკრეტულ სასწავლო სიტუაციასთან;<br>• სასწავლო პროცესის მიზანმიმართული დაგეგმვა და მართვა;<br>• სასწავლო თემატიკის შერჩევა აღმზრდელობითი მიზნებიდან გამომდინარე;<br>• კლასგარეშე მუშაობის მიზნობრივად წარმართვა; სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში ინკლუზიის სწორად განხორციელება;<br>• პროფესიულ-ეთიკური ნორმების დაცვა; ტრეინინგ-კურსებისა და სემინარების ორგანიზება და გაძღოლა;<br>• სასწავლო პროცესში მშობლებთან და კოლეგებთან თანამშრომლობა.<br>• მაგისტრს შეუძლია ერთ-ერთ ევროპული ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) სასპეციალიზაციო დარგში სამეცნიერო ლიტერატურის გაგება და დამუშავება, ასევე სამეცნიერო ხასიათის ტექსტის შედგენა | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | (საკონფერენციო მოხსენება, სამეცნიერო სტატია და სხვ.) და დარგობრივი პრეზენტაციის მომზადება შესწავლილი ენის შესაბამის უცხოენოვან აუდიტორიაში.<br><br>**დასკვნის უნარი**<br>პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს უნდა ჰქონდეს:<br>• რთული პროფესიული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზისა და სინთეზის უნარი, არგუმენტირებული მსჯელობის უნარი;<br>• თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიების შესახებ არსებული თეორიული მასალის დამუშავების, ძირითადი ტენდენციებისა და დებულებების გააზრებისა და მათზე დაყრდნობით ეფექტური ტექნოლოგიებისა და სტრატეგიების მოძიება-შემუშავების უნარი;<br>• სასწავლო პროცესში არსებული ვითარების კრიტიკული ანალიზის, პრობლემის განსაზღვრისა და უახლესი მონაცემების გამოყენებით მისი გადაჭრის უნარი.<br><br>**კომუნიკაციის უნარი**<br>პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს უნდა ჰქონდეს:<br>• პროფესიულ დონეზე კომუნიკაციის ყველა ფორმის გამოყენების უნარი;<br>• საინფორმაციო ტექნლოგიების გამოყენების უნარი, ინფორმაციის პროფესიულ დონეზე დამუშავების უნარი;<br>• პროფესიულ ჯგუფში ეფექტური მუშაობის უნარი, როგორც წევრის, ასევე ლიდერის | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | როლში;<br>• პროფესიულ თემებზე არგუმენტირებული მსჯელობის, დიალოგისა და დასკვნების დასაბუთების უნარი;<br>• კონფლიქტური სიტუაციების მოგვარების უნარი;<br>• საჯარო გამოსვლის ტექსტის, სამეცნიერო ნაშრომის ქართულ და უცხო ენაზე შექმნის უნარი აკადემიური ნორმებისა და სტანდარტების დაცვით;<br>• ქართულ და უცხო ენაზე პრეზენტაციის წარმართვის უნარი;<br><br>**სწავლის უნარი**<br>პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს უნდა ჰქონდეს:<br>• ახალი საგანმანათლებლო საჭიროებებისა და მოთხოვნების დანახვის/განჭვრეტის უნარი და, შესაბამისად, საკუთარი სწავლის დაგეგმვის უნარი;<br>• ახალი პროფესიული მასალის მოძიებისა და დამოუკიდებლად სწავლის უნარი. პროფესიული კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და ჩატარების უნარი;<br>• საკუთარი საქმიანობის რეფლექსიის, შეფასებისა და თვითკრიტიკის უნარი;<br>• პროფესიულ პრაქტიკაში ინიციატივის უნარი;<br>• სამუშაოს დამოუკიდებლად დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი საკუთარი შესაძლებლობების  გათვალისწინებით.<br><br>**ღირებულებები** | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს:<br>• საკუთარი საქმიანობის  შეფასება და თვითკრიტიკა;<br>• საზოგადოებრივ-კულტურული და ზნეობრივი ღირებულებების შეფასება და დამკვიდრება;<br>• მასწავლებლის პროფესიულ–ეთიკური ნორმების დაცვა;<br>• სხვადასხვა კულტურისადმი პატივისცემა, ღირებულებათა ფორმირებაში კულტურისა და განათლების როლის მნიშვნელობის გააზრება.<br><br>**დეტალურად იხ.**<br>http://www.tsu.edu.ge/data/file_db/faculty_humanities/MA%20maswavlebelTa%20ganaTleba_2012.pdf | | |
| **კომპიუტერული მეცნიერება** | სამაგისტრო პროგრამის მიზანია მაგისტრს მისცეს ცოდნა თანამედროვე კომპიუტერული მეცნიერების ძირეულ კომპონენტებში (ალგორითმების აგება და ანალიზი, ალგორითმების სირთულე, მონაცემთა სტრუქტურების თეორიული და პრაქტიკული ასპექტები, დაპროგრამების თანამედროვე ენები, კომპიუტერული მეცნიერების განვითარების ტენდენციები და აუცილებელი მათემატიკური ფუნდამენტი) და გამოუმუშაოს მიღებული ცოდნის შემოქმედებითი და ეფექტური გამოყენებისთვის აუცილებელი | კომპიუტერული მეცნიერების მაგისტრს შეეძლება რეალური ინტერესის მქონე პრობლემების კლასიფიცირება, მათთვის თეორიული მეთოდების და ტექნოლოგიური საშუალებების შერჩევა, ამოცანის დამუშავება და რეალიზება. კომპიუტერული მეცნიერების მაგისტრს უნდა შეეძლოს თავისი ცოდნის ეფექტური გამოყენება როგორც ნდივიდუალური, ასევე გუნდური მუშაობის შემთხვევაში.<br>სწავლის შედეგად მაგისტრი:<br>• შეიძენს როგორც ფუნდამენტური, ასევე შედარებით სპეციალური სახის ალგორითმების შესახებ მრავალმხრივ ცოდნას;<br>• შეისწავლის დაპროგრამების თანამედროვე | 120 | აკრედიტაციის გადაწყვეტილების ნომერი 186; თარიღი 11/07/2012 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | უნარები.<br>კომპიუტერული მეცნიერების მიმართულება შრომის ბაზარზე დიდი აქტუალობით და მაღალი მოთხოვნით გამოირჩევა. მსოფლიოს დაახლოებით 2500 წამყვან უნივერსიტეტში აქტუალურია ამ მიმართულების სწავლებისა და კვლევის საკითხები. ჩვენს მიერ წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა ეფუძნება საუნივერსიტეტო გარემოში კომპიუტერული მეცნიერების სწავლების მსოფლიოში აღიარებულ მეთოდოლოგიას (Computing Curricula 2005, http://www.computer.org/education/cc2005). ეს მეთოდოლოგია აპრობირებულია (იხ. http://ed.sjtu.edu.cn/rank/2005/ARWU2005_Top100.htm) წამყვან უნივერსიტეტებში და შემუშავებულია ისეთი ცნობილი საზოგადოებების მიერ, როგორებიცაა: The association for Computer Machinary (ACM, http://www.acm.org), The Computer Society (IEEE-CS, http://computer.org ). სწავლის შედეგად, მაგისტრი იძენს ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რაც აუცილებელია მისი შრომითი საქმიანობის წარმატებისთვის. ამ ტიპის სპეციალისტისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მრავალმხრივობა, კომუნიკაბელურობა, სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების ადეკვატური | ტექნოლოგიებს;<br>• შეიძენს კომუნიკაციური, ადამიანთშორისი და ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევებს;<br>• შეიძენს ანალიზური და კრიტიკული აზროვნების უნარს, რაც ასევე მოიცავს შემოქმედებით მიდგომას და ეთიკური ღირებულებების დაცვას;<br>• სპეციფიკურ უნარ-ჩვევებს წარმატებული კარიერის შესაქმნელად.<br><br>დარგობრივი კომპეტენციები, ცოდნა და გაცნობიერება<br>• კომპიუტერული მეცნიერების საფუძვლების ცოდნა;<br>• კომპიუტერული მეცნიერების ინფრასტრუქტურის ცოდნა;<br>• ანალიზის, აგების და იმპლემენტაციის მეთოდების ცოდნა;<br>• კომპიუტერული მეცნიერების განვითარების ტენდენციების ცოდნა;<br>დარგობრივი კომპეტენციები, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება<br>• კომპიუტერული მეცნიერების თეორიული მეთოდების საშუალებით, კონკრეტული პრობლემების ანალიზის და შესაბამისი ალგორითმების აგების უნარს;<br>• პროგრამირების თანამედროვე ტექნოლოგიების საფუძველზე კონკრეტული პრობლემების შესაბამისი ალგორითმების ეფექტური იმპლემენტაციის უნარს;<br><br>ზოგადი / ტრანსფერული კომპეტენციები<br>დასკვნის უნარი | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | აღქმა.<br>როგორც წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილება გვიჩვენებს, კომპიუტერული მეცნიერების მიმართულების მაგისტრატურაში მიღებული ცოდნა წარმოადგენს წარმატებული კარიერის გარანტიას. დასაქმების სფერო მოიცავს ანალიტიკურ, პრაქტიკულ, დამოუკიდებელ, სამეცნიერო-კვლევით (თუ მაგისტრი დოქტორანტურაში მოისურვებს სწავლის გაგრძელებას), სასწავლო, საკონსულტაციო საქმიანობას. | • აბსტრაქტული აზროვნების, ანალიზისა და სინთეზის უნარი;<br>• პრობლემის იდენტიფიცირების, დასმისა და გადაწყვეტის უნარი;<br>• გააზრებული გადაწყვეტილების მიღების უნარი;<br>კომუნიკაციის უნარი<br>• ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი სხვადასხვა<br>წყაროდან ინფორმაციის მოძიების, დამუშავების და სათანადო დონეზე პრეზენტაციის მიზნით;<br>• მსჯელობისა და მისგან გამომდინარე დასკვნების ნათლად, ზუსტად და ადრესატისათვის მისაღები ფორმით მიწოდების უნარი, როგორც ზეპირად ისე წერილობით ქართულ და უცხოურ ენებზე;<br>სწავლის უნარი<br>• ვერბალური და წერილობითი ინფორმაციის აღქმის უნარი;<br>• დამოუკიდებლად მუშაობის უნარი;<br>• გუნდში მუშაობის უნარი;<br>ღირებულებები<br>• პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვა;<br>• კომპიუტერული მეცნიერების მაგისტრი შეითვისებს და შეაფასებს ღირებულებათა და ფასეულობათა იმ სისტემას, რაც მიღებულია საუნივერსიტეტო გარემოში. | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **ინფორმაციული სისტემები** | ამჟამად, ადამიანის მოღვაწეობის ყოველ სფეროში წარმატების მიღწევის მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს კომპიუტერული ინფორმაციული სისტემებისა და ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენება. იმისათვის, რომ პროფესიულ საქმიანობაში წარმატების მიღწევა შეძლოს, ინფორმაციული სისტემების მიმართულების მაგისტრი უნდა ფლობდეს საფუძვლიან თეორიულ ცოდნასა და სამეცნიერო და პრაქტიკული მუშაობის უნარ–ჩვევებს ცოდნის იმ სფეროებში, რომლებიც ეკუთვნის კომპიუტინგს (ზოგადად ინფორმატიკა). ესენია:<br>• კომპიუტერის არქიტექტურა და დაპროგრამება, დაპროგრამების ინჟინერია;<br>• დაპროგრამების ტექნოლოგიები;<br>• კომპიუტერული ქსელები და ტელეკომუნიკაციები. E-კომერციის სისტემები;<br>• მონაცემთა ანალიზი, მონაცემთა ბაზები, მონაცემთა ბაზების მენეჯმენტის სისტემები;<br>• ინფორმაციული სისტემები და ტექნოლოგიები;<br>• ინფორმაციული სისტემების მენეჯმენტი;<br>• ინფორმაციული სისტემების პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერია ;<br>• საინფორმაციო სისტემების ანალიზი | ინფორმაციული სისტემების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს დაიკავოს მმართველი თანამდებობები ინფორმაციული სისტემების მიმართულებით.<br>კურსდამთავრებულს უნდა გააჩნდეს შემდეგი ზოგადი ცოდნა, უნარ–ჩვევები და ღირებულებები:<br>• ფუნდამენტური ცოდნა საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტსა და ტექნოლოგიებში<br>• ინფორმაციული სისტემებისა და ბიზნესის ურთიერთკავშირის საფუძვლების ცოდნა<br>• ინფორმაციული სისტემების დარგისა და ბიზნესის ფართო სპექტრის აღქმა<br>• კომუნიკაციური, ადამიანთ–შორისი და ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევები<br>• ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარი, რაც ასევე მოიცავს შემოქმედებით მიდგომას და ეთიკური ღირებულებების დაცვას<br>• სპეციფიკური უნარ-ჩვევები წარმატებული კარიერის შესაქმნელად<br><br>უფრო დეტალურად მიღებული ცოდნა და უნერ-ჩვევები შეგვიძლია შემდეგნაირად წარმოვადგინოთ:<br>დარგობრივი კომპეტენციები, ცოდნა და გაცნობიერება<br>ზოგადი შედეგი (მოდული A)<br>• ინფორმაციული სისტემების საფუძვლების ცოდნა<br>• ბიზნესის საფუძველების ცოდნა<br>• ინფორმაციული ტექნოლოგიების | 120 | აკრედიტაციის გადაწყვეტილების ნომერი 185; თარიღი 11/07/2012 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | და დიზაინი;<br>• ინფორმაციის მართვა, ინფორმაციული მენეჯმენტის თეორია და პრაქტიკა;<br>• ინფორმაციის დაცვის სისტემები და ტექნოლოგიები;<br>• გადაწყვეტილებათა მიღების მეცნიერების საფუძვლები და ზოგადი სისტემების თეორია;<br>• ბიზნეს-მოდელები, ბიზნესის-მოთხოვნების ანალიზი და რისკების მენეჯმენტი;<br>• ინფორმაციული ინტელექტუალური სისტემები და ფაზი-სისტემები;<br>• გადაწყვეტილების მიღების მრჩეველი ინტელექტუალური სისტემები;<br>• გამოთვლითი ინტელექტუალური სისტემები<br>აგრეთვე შედარებით სპეციფიკური ცოდნის სფეროები, რომლებზეც ყურადღება<br>მახვილდება მოდულებში.<br>ინფორმაციული სისტემების მიმართულება შრომის ბაზარზე დიდი აქტუალობით და<br>მაღალი მოთხოვნით გამოირჩევა.<br>მსოფლიოს დაახლოებით 2500 წამყვან უნივერსიტეტში<br>აქტუალურია ამ მიმართულების სწავლებისა და კვლევის საკითხები. ჩვენს მიერ<br>წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა ეფუძნება საუნივერსიტეტო გარემოში | ინფრასტრუქტურის ცოდნა<br>• ანალიზის, მოდელირებისა და დიზაინის მეთოდების ცოდნა<br>• პროექტისა და მოთხოვნების მენეჯმენტის ცოდნა<br>ინფორმაციული სისტემების მოდული (მოდული B)<br>• საწარმოო მოდელების ცოდნა<br>• თანამედროვე ინფორმაციული სისტემების ცოდნა<br><br>ინტელექტუალური სისტემების მოდული (მოდული C)<br>• ინტელექტუალური სისტემების საფუძვლების ცოდნა<br>• გამოთვლითი ინტელექტის მეთოდების ცოდნა<br><br>დარგობრივი კომპეტენციები, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება<br>ზოგადი შედეგი (მოდული A)<br>Ø ინფორმაციული სისტემების ტექნოლოგიებისა და მენეჯმენტის ინტეგრირებული გამოყენების უნარი რეალურ ორგანიზაციებში<br><br>ინფორმაციული სისტემების მოდული (მოდული B)<br>Ø არსებული ინფორმაციული სისტემების ბიზნესში გამოყენების უნარი<br><br>ინტელექტუალური სისტემების მოდული (მოდული C) | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ზოგადად<br>კომპიუტინგის (Computing) სწავლების მსოფლიოში აღიარებულ მეთოდოლოგიას<br>(Computing Curricula 2005, http://www.computer.org/education/cc2005). ეს მეთოდოლოგია აპრობირებულია (იხ. http://ed.sjtu.edu.cn/rank/2005/ARWU2005_Top100.htm) წამყვან უნივერსიტეტებში და შემუშვებულია ისეთი ცნობილი საზოგადოებების მიერ,<br>როგორებიცაა: The Association for Computer Machinary (ACM, http://www.acm.org), The Association for Information Systems (AIS), The Computer Society (IEEE-CS, http://computer.org ). | Ø პრაქტიკულ ამოცანაზე მორგებული ინტელექტუალური სისტემის აგების უნარი.<br><br>ზოგადი / ტრანსფერული კომპეტენციები<br>დასკვნის უნარი<br>• აბსტრაქტული აზროვნების, ანალიზისა და სინთეზის უნარი;<br>• პრობლემის იდენტიფიცირების, დასმისა და გადაწყვეტის უნარი;<br>• გააზრებული გადაწყვეტილების მიღების უნარი;<br><br>კომუნიკაციის უნარი<br>• ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიების, დამუშავების და სათანადო დონეზე პრეზენტაციის მიზნით;<br>• მსჯელობისა და მისგან გამომდინარე დასკვნების ნათლად, ზუსტად და ადრესატისათვის მისაღები ფორმით მიწოდების უნარი, როგორც ზეპირად ისე წერილობით, ქართულ და უცხოურ ენებზე;<br><br>სწავლის უნარი<br>• ვერბალური და წერილობითი ინფორმაციის აღქმის უნარი;<br>• დამოუკიდებლად მუშაობის უნარი;5<br>• გუნდში მუშაობის უნარი;<br><br>ღირებულებები<br>• პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვა, | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | • ახალი ღირებულებების დამოკიდებულებაში წვლილის შეტანა. | | |
| **ინფორმაციული ტექნოლოგიები** | სამაგისტრო პროგრამის მიზანია მაგისტრს მისცეს ცოდნა თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების ძირეულ კომპონენტებში (მონაცემთა ბაზები, ქსელები და საკომუნიკაციო სისტემები, ვებ-სისტემები, ინფორმაციის დაცვა და უსაფრთხოება) და გამოუმუშაოს უნარები მათ გამოყენებაში ადამიანის მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროში, ასევე ამ მიმართულებით კვლევების წარმოებაში.<br>ინფორმაციული ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენება ადამიანის მოღვაწეობის ყოველ სფეროში წარმატების მიღწევის მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს. ამდენად მაგისტრი უნდა ფლობდეს საფუძვლიან თეორიულ ცოდნასა და სამეცნიერო და პრაქტიკული მუშაობის უნარ–ჩვევებს ცოდნის იმ სფეროებში, რომლებიც განეკუთვნება ინფორმაციული | სამაგისტრო ხარისხის მოპოვების შედეგად მსმენელს შეეძლება ადამიანის მოღვაწეობის კონკრეტული სფეროსათვის სხვადასხვა პრობლემის გადასაჭრელად დასვას ამოცანა, შეარჩიოს დარგობრივი გადაწყვეტილების და ამოცანის შესაბამისი საინფორმაციო ტექნოლოგიური ინსტრუმენტები (თეორიულ და პრაქტიკულ დონეზე) და მოახდინოს მისი რეალიზება. ინფორმაციული ტექნოლოგიების მაგისტრს უნდა შეეძლოს წამყვანი პოზიციის დაკავება ინფორმაციული ტექნოლოგიების ნებისმიერი პროექტის განხორციელებაში და სხვადასხვა დაწესებულების ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარამენტებში. მაგისტრი შეიძენს:<br>• ინფორმაციული ტექნოლოგიების თანამედროვე ინსტრუმენტების გამოყენების უნარს;<br>• კონკრეტული დარგობრივი პრობლემის გადაწყვეტის უნარს ინფორმაციული ტექნოლოგიების თვალსაზრისით;<br>• კომუნიკაციური, ადამიანთშორისი და | 120 | აკრედიტაციის გადაწყვეტილების ნომერი 184; თარიღი 11/07/2012 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ტექნოლოგიების ძირითად საყრდენს:<br>• მონაცემთა ბაზები;<br>• კომპიუტერული ქსელები და კომუნიკაციები;<br>• ვებ ორიენტირებული დაპროგრამება;<br>• ინფორმაციის უსაფრთხოება და დაცვა.<br>ინფორმაციული ტექნოლოგიები შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ ყველაზე მოთხოვნად დარგად. ძნელად მოიძებნება მსოფლიოში უნივერსიტეტი, რომელშიც ეს მიმართულება რაიმე სახით მანც არ არის წარმოდგენილი. წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა ეფუძნება საუნივერსიტეტო გარემოში მსოფლიოში აღიარებულ მეთოდოლოგიას Curriculum Guidelines for Undergraduate Degree Programs in Information Technology, რომელიც შემუავებილია ისეთი ორგანიზაციების მირ როგორიცაა:<br>• The Association for Computer Machinary (ACM, http://www.acm.org),<br>• The Association for Information Systems (AIS),<br>• The Computer Society (IEEE-CS, http://computer.org ) . | ჯგუფური მუშაობის უნარჩვევები<br>• ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარი, რაც ასევე მოიცავს შემოქმედებით მიდგომას და ეთიკური ღირებულებების დაცვას;<br>• სპეციფიკური უნარ-ჩვევები წარმატებული კარიერის შესაქმნელად.<br><br>დარგობრივი კომპეტენციები, ცოდნა და გაცნობიერება<br>• ინფორმაციული ტექნოლოგიების საფუძვლების ღრმა და სისტემური ცოდნა;<br>• ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ცოდნა;<br>• ანალიზის, მოდელირებისა და დიზაინის მეთოდების ცოდნა;<br>• ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში ტექნოლოგიური პროექტის მოთხოვნების გაცნობიერება;<br><br>დარგობრივი კომპეტენციები, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება<br>• ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების უნარი რეალური ამოცანების გადასაჭრელად;<br>• სხვადასხვა დარგობრივ სფეროში ინფორმაციული ტექნოლოგიების ტექნოლოგიური<br>პროექტის შემუშავების და რეალიზების უნარი;<br><br>ზოგადი / ტრანსფერული კომპეტენციები<br>დასკვნის უნარი | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | • აბსტრაქტული აზროვნების, ანალიზისა და სინთეზის უნარი;<br>• პრობლემის იდენტიფიცირების, დასმისა და გადაწყვეტის უნარი;<br>• გააზრებული გადაწყვეტილების მიღების უნარი;<br><br>კომუნიკაციის უნარი<br>• ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი სხვადასხვა წყაროდან (ქართულ და უცხოურ ენაზე) ინფორმაციის მოძიების, დამუშავების და სათანადო დონეზე პრეზენტაციის მიზნით;<br>• მსჯელობისა და მისგან გამომდინარე დასკვნების ნათლად, ზუსტად და ადრესატისათვის მისაღები ფორმით მიწოდების უნარი, როგორც ზეპირად ისე წერილობით (ქართულ და უცხო ენაზე).<br><br>სწავლის უნარი<br>• ვერბალური და წერილობითი ინფორმაციის აღქმის უნარი;<br>• დამოუკიდებლად მუშაობის უნარი;<br>• გუნდში მუშაობის უნარი;<br>• სწავლის დამოუკიდებლად დაგეგმვა და ორგანიზება.<br><br>ღირებულებები<br>• პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვა;<br>• ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა. | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მათემატიკა | • მისცეს მაგისტრს თანამედროვე მიღწევათა შესაბამისი საფუძვლიანი განათლება მათემატიკაში<br>• გამოუმუშავოს მას სამეცნიერო კვლევასა და სხვადასხვა პრაქტიკულ პრობლემათა გადაჭრაში მათემატიკური მეთოდების გამოყენების უნარი; | დარგობრივი კომპეტენციები, ცოდნა და გაცნობიერება<br>• აბსტრაქციის უნარი, ფორმალური თეორიების ლოგიკური განვითარებისა და მათ შორის ურთიერთკავშირების დადგენის ჩათვლით,<br>• ამოცანის მათემატიკურად, კერძოდ სიმბოლური სახით ჩამოყალიბების უნარი, მისი ანალიზისა და ამოხსნის გაადვილების მიზნით,<br>• პრობლემის წვდომის და მისი არსის მოკლედ და მკაფიოდ ჩამოყალიბების უნარი,<br>• მათემატიკურ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგებიდან საკვანძო თეორემების ჩამოყალიბება და დამტკიცება.<br><br>დარგობრივი კომპეტენციები, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება<br>• ლოგიკური მათემატიკური მსჯელობის აგებისა და განვითარების უნარი მოცემულობების, დაშვებების და დასკვნების მკაფიო იდენტიფიკაციით,<br>• მკაცრი დამტკიცებების აგების უნარი,<br>• მათემატიკური ტექნიკის გამოყენების უნარი ამოცანათა ამოსახსნელად:<br>• ამოცანათა ამოხსნის მეთოდების ჩამოყალიბების და ანალიზის უნარი,<br>• ამოცანის ამონახსნის თვისებათა ანალიზისა და გამოკვლევის უნარი,<br>ანალიტიკური/სიმბოლური და რიცხვითი მეთოდების, აგრეთვე შესაბამისი გამოთვლითი ტექნიკის გამოყენება ამოცანათა ამოსახსნელად, | 120 | აკრედიტაციის გადაწყვეტილების ნომერი 180; თარიღი 11/07/2012 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | • უცხო ენის ცოდნა დოკუმენტების წაკითხვისა და პრეზენტაციისთვის<br>ზოგადი / ტრანსფერული კომპეტენციები<br>დასკვნის უნარი<br>• აბსტრაქტული აზროვნების, ანალიზისა და სინთეზის უნარი<br>• პრობლემის იდენტიფიცირების, დასმისა და გადაწყვეტის უნარი<br>• გააზრებული გადაწყვეტილების მიღების უნარი<br>კომუნიკაციის უნარი<br>• საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი<br>სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიების, დამუშავების და სათანადო დონეზე პრეზენტაციის მიზნით<br>• მსჯელობისა და მისგან გამომდინარე დასკვნების ნათლად, ზუსტად და ადრესატისათვის მისაღები ფორმით მიწოდების უნარი, როგორც ზეპირად ისე წერილობით ქართულ და უცხოურ ენაზე.<br>სწავლის უნარი<br>• ვერბალური და წერილობითი ინფორმაციის აღქმის უნარი<br>• ახალი პრობლემების შესწავლისთვის მზაობა<br>• დამოუკიდებლად მუშაობის უნარი<br>• გუნდში მუშაობის უნარი<br>ღირებულებები<br>• პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვა<br>• მათემატიკასთან დაკავშირებული ღირებულებების მიმართ თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასების უნარი;<br>• მათემატიკასთან დაკავშირებული | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანის უნარი. | | |
| გამოყენებითი მათემატიკა | • მაგისტრს მისცეს თანამედროვე მიღწევათა შესაბამისი საფუძვლიანი განათლება გამოყენებით მათემატიკაში<br>• მაგისტრს განუვითაროს სამეცნიერო კვლევისა და პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტის მათემატიკური მოდელირების, კომპიუტერული ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენების უნარ-ჩვევები | დარგობრივი კომპეტენციები, ცოდნა და გაცნობიერება<br>• მათემატიკურ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგებიდან საკვანძო თეორემების ჩამოყალიბება და დამტკიცება<br>• რაოდენობრივი მონაცემებიდან თვისობრივი ინფორმაციის მოპოვების უნარი<br>• რეალური სამყაროს მოვლენების (სიტუაციების) მათემატიკური მოდელირებისა და მათემატიკური ექსპერტიზის დასკვნების არამათემატიკურ კონტექსტში გადატანის უნარი<br>• ექსპერიმენტისა და დაკვირვებების დაგეგმვისა და მიღებული მონაცემების ანალიზის უნარი<br>დარგობრივი კომპეტენციები, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება<br>• ლოგიკური მათემატიკური მსჯელობის აგებისა და განვითარების უნარი მოცემულობების, დაშვებების და დასკვნების მკაფიო იდენტიფიკაციით | 120 | აკრედიტაციის გადაწყვეტილების ნომერი 180; თარიღი 11.07.2012 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ფუნდამენტური პრინციპები, მიზნები, ამოცანები და ინსტრუმენტები; დაუფლებულნი არიან ცოდნას მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე უახლესი მოვლენების, პროცესების, ტენდენციების, განსაკუთრებით კი მსოფლიო მეურნეობის გლობალიზაციის, ცალკეულ ქვეყნებსა და რეგიონებზე მისი ზემოქმედების მიმართულებების შესახებ; ფლობენ საფუძვლიან ცოდნას საერთაშორისო სტატისტიკის პრაქტიკაში გამოყენებული მაჩვენებლების გამოთვლისა და ანალიზის მეთოდოლოგიასა და მეთოდიკაში, ეკონომიკურ–მათემატიკური მოდელებისა და განსაკუთრებით ფინანსური ეკონომეტრიკის, როგორც თანამედროვე ეკონომეტრიკის ყველაზე დინამიკურად განვითარებადი ნაწილის შესახებ; გააჩნიათ მიკრო–, მაკრო– და გლობალურ დონეებზე მიმდინარე ეკონომიკური პროცესებისა და ჩამოყალიბებული კანონზომიერებების, განვითარების ტენდენციების ანალიზის, მიღებული შედეგების ურთიერთშეჯერების, სინთეზისა დაგანმაზოგადებელი დასკვნების, მეცნიერულ საფუძველზე პროგნოზების გაკეთების უნარი კვლევის პროცესში თანამედროვე რაოდენობრივი (სტატისტიკური) და ეკონომეტრიკული მეთოდების | • აქვს ცოდნა შემოსავლების განაწილებისა და სიღარიბის დონის კრიტერიუმების შესახებ;<br>• მიღებული ეკონომეტრიკული ცოდნის საფუძველზე აცნობიერებს მონაცემების დამუშავებიდან მიღებული შესაძლო გამოთვლების ორაზროვნებას;<br>• აქვს ცოდნა, რომელიც დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების ან/და დამოუკიდებლად მუშაობის შესაძლებლობას იძლევა.<br>2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი<br>2.1. ზოგადი კომპეტენცია:<br>• თავისუფლად ორიენტირდება ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში;<br>• შეუძლია პრობლემის იდენტიფიცირება, გადაჭრის გზების მოძიება, ალტერნატივების შეფასება და გადაწყვეტილების მიღება პრობლემის გადასაჭრელად (მათ შორის ახალი, ორიგინალური გზების პოვნა კომპლექსური პრობლემების გადასაწყვეტად);<br>• შეუძლია ჯგუფის წევრებს შორის დაგეგმილ ვადებში შესასრულებელი სამუშაოს განაწილება;<br>• დამოუკიდებლად ახორციელებს კვლევას უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.<br>2.2. დარგობრივი კომპეტენცია:<br>• გააჩნია ბაზარზე შინამეურნეობის, ფირმის, სახელმწიფოს ქცევის, ბაზრების ფუნქციონირების, ეროვნული და გლობალური ეკონომიკური განვითარების ტენდენციების ანალიზის, მიღებული შედეგების შეჯერების | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | გამოყენების საფუძველზე; შეუძლიათ კვლევის შედეგად მიღებული საკუთარი მოსაზრებებისა და დასკვნების საჯარო პრეზენტაცია, მათი მკაფიო, დამაჯერებელი და ლოგიკური დასაბუთება როგორც სპეციალისტების, ისე არასპეციალისტებისათვის; გააჩნიათ გაღრმავებული, სპეციალიზებული ცოდნა და კომპეტენციები შესაბამის მოდულებში (საერთაშორისო ეკონომიკა, ეკონომიკური პოლიტიკა და ეკონომიკური დიპლომატია, მაკროეკონომიკა, ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკა, ბიზნესის ეკონომიკა, ეკონომეტრიკა და მათემატიკური ეკონომიკა), როგორც ტრადიციული და თანამედროვე სწავლების კანონზომიერი შედეგი; აქვთ ეკონომიკის სხვადასხვა დარგის სიღრმისეული და სისტემური ცოდნა, რომელიც იძლევა სწავლების მომდევნო საფეხურზე – დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების საშუალებას. | და მათი გამოყენების უნარი;<br>• შეუძლია ეკონომიკური კანონზომიერებების ანალიზის პროცესში სტატისტიკური და ეკონომეტრიკული მეთოდების გამოყენება;<br>• აქვს ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების დამოუკიდებლად კვლევის უნარი;<br>• ახდენს ეკონომიკური მონაცემების თავმოყრას, ფორმირებას, ანალიზს და ინტერპრეტრაციას;<br>• შეუძლია სტატისტიკურ მონაცემთა მონიტორინგი;<br>• სტატისტიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე აკეთებს დასკვნებს;<br>• როგორც დამოუკიდებლად, ასევე გუნდის შემადგენლობაში ახორციელებს კვლევას, მონაცემთა მონიტორინგს, ინფორმაციის ანალიზს, ამზადებს ანგარიშს და გეგმას ეკონომიკური და ბიზნესპრობლემების გადასაწყვეტად;<br>• დამოუკიდებლად იყენებს და ავითარებს მოდელებს ეკონომიკური ქცევის ანალიზის, ახსნისა და პროგნოზირების პროცესში;<br>• აყალიბებს პროფესიონალურ რჩევებს ხელისუფლების, ბიზნესის და დაინტერესებული ჯგუფებისთვის, ეკონომიკისა და ბიზნესის მიმდინარე და მომავალი პრობლემების გადაწყვეტის შესახებ;<br>• შეუძლია ეკონომიკური მოვლენების პროგნოზირება;<br>• აფასებს ცვალებად ეკონომიკურ გარემოში მოკლე– და გრძელვადიანი დაგეგმვის და ინვესტიციების ეფექტიანობას; | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | • შეუძლია წარმოებისა და მოხმარების პროგნოზირება;<br>• ეკონომიკურ მონაცემთა ანალიზის ბაზაზე შეუძლია რჩევების შემუშავება მონეტარული, ფისკალური და სტრუქტურული პოლიტიკის შესახებ;<br>• გააჩნია ეკონომიკური პრობლემების ანალიტიკური კვლევისა და ეფექტიანი ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების უნარ–ჩვევები;<br>• მათემატიკური, სტატისტიკური და ეკონომეტრიკული მეთოდების გამოყენებით ამოწმებს ეკონომიკურ თეორიებს;<br>• გაიაზრებს და იღებს ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს;<br>• შეუძლია გამოიკვლიოს კომპანიების ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული პრობლემები;<br>• შეუძლია ეკონომიკური ცოდნის ბაზაზე პოლიტიკისა და სხვა ეგზოგენური მოვლენების ეფექტების შეფასება;<br>• შეუძლია შეაფასოს ეროვნული და მსოფლიო ეკონომიკის დინამიკა;<br>• სიღარიბის განსაზღვრის კრიტერიუმების გამოყენებით შეუძლია შეაფასოს სიღარიბის დაძლევის საერთაშორისო, სახელმწიფო და სხვა ღონისძიებები;<br>• შეუძლია სამეცნიერო ნაშრომებისა და ანგარიშების მომზადება.<br>3. დასკვნის უნარი<br>3.1. ზოგადი კომპეტენცია:<br>• აყალიბებს დასაბუთებულ დასკვნებს სრული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | ანალიზის საფუძველზე;<br>• შეუძლია საკუთარი დასკვნების შესაბამისი ცოდნითა და ლოგიკით მკაფიო დასაბუთება, როგორც სპეციალისტების, ისე არასპეციალისტებისათვის;<br>• უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ახორციელებს ინფორმაციის ინოვაციურ სინთეზს;<br>• აანალიზებს მონაცემებს და სიტუაციებს სტანდარტული და სპეციფიკური მეთოდების გამოყენებით;<br>• ანალიზისა და ინოვაციური სინთეზის საფუძველზე აკეთებს დასკვნებს.<br>3.2. დარგობრივი კომპეტენცია:<br>• შეუძლია გლობალურ, რეგიონულ და ადგილობრივ ბაზრებზე მიმდინარე მოვლენების ანალიზი და მათი შესაძლო გავლენის განსაზღვრა შინამეურნეობის, ფირმის და სახელმწიფოს საქმიანობაზე;<br>• პოლიტიკური გადაწყვეტილებების შესაძლო შედეგების შეფასების საფუძველზე შეუძლია რჩევების მიცემა ეკონომიკური პოლიტიკისა და მოქმედების მიზანშეწონილი კურსის შესახებ;<br>• შეუძლია ლოკალურ, რეგიონულ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ბაზრის მდგომარეობის ანალიზი, გაყიდვების, ფასების, ბაზრის პოტენციალის და სამომავლო ტენდენციების შეფასებისა და ბიზნესსტრატეგიების განვითარებისთვის;<br>• შეუძლია ეკონომიკაში სამეცნიერო ნაშრომების, კვლევების და ანგარიშების მომზადება. | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 4.კომუნიკაციის უნარი<br>4.1. ზოგადი კომპეტენცია:<br>• ახდენს საკუთარი არგუმენტირებული მოსაზრებების წარდგენას ფართო საზოგადოების წინაშე (აკადემიური პატიოსნების სტანდარტების გათვალისწინებით);<br>• შეუძლია კვლევის პროცესში საინფორმაციო–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება.<br>4.2. დარგობრივი კომპეტენცია:<br>• შეუძლია ეკონომიკაში სამეცნიერო ნაშრომების, კვლევების და ანგარიშების პრეზენტაცია;<br>• ახდენს ეკონომიკური კვლევის შედეგების (დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების) წარდგენას აკადემიური და პროფესიული წრეების წინაშე (აკადემიური ეთიკის პრინციპების დაცვით), მ.შ. საინფორმაციო–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გამოყენებით.<br>5. სწავლის უნარი<br>5.1. ზოგადი კომპეტენცია:<br>• აქვს დამოუკიდებლად სწავლის უნარი;<br>• აცნობიერებს სწავლის პროცესის თავისებურებებს;<br>• გეგმავს სწავლის პროცესს.<br>5.2. დარგობრივი კომპეტენცია:<br>• კრიტიკულად ითვისებს ეკონომიკურ თეორიებს, კონცეფციებს და მოდელებს;<br>• ახდენს ალტერნატიული მიდგომების რანგირებას და იყენებს მოდელირების მეთოდს კვლევის დასაბუთების მიზნით;<br>• ეკონომიკური პრობლემების ანალიზისა და | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | მოდელირებისას იყენებს ალტერნატიულ მიდგომებს, შეზღუდვებს და შესაძლებლობებს;<br>• მიღებული ცოდნის ბაზაზე შეუძლია დაგეგმოს სადოქტორო პროგრამაზე სწავლის და კვლევის გაგრძელება.<br>6. ღირებულებები<br>6.1. ზოგადი კომპეტენცია:<br>• აფასებს ღირებულებებისადმი პირად და სხვების დამოკიდებულებას;<br>• შეაქვს წვლილი ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში.<br>6.2. დარგობრივი კომპეტენცია:<br>• ეკონომიკური ცოდნის ბაზაზე ჩამოყალიბებული ხედვით შეაქვს წვლილი ღია სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებაში;<br>• ეკონომიკური საკითხების განხილვისას აქვს ინტერპერსონალური ურთიერთობების, ჯგუფური მუშაობის, სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობის უნარი;<br>• მიღებული ცოდნის ბაზაზე, როგორც მოქალაქე, მონაწილეობს სოციალურ–ეკონომიკური და პოლიტიკური გადაწყვეტილებების ფორმირებაში;<br>• აქვს გარემოს დაცვის პრინციპების ცოდნა და შეუძლია შეაფასოს ეკოლოგიური ფაქტორების ზეგავლენა სოციალურ–ეკონომიკურ განვითარებაზე;<br>• აქვს შესასრულებელი სამუშაოსადმი პასუხისმგებლობის გრძნობა;<br>• იცის, რას მიანიჭოს უპირატესობა, როგორც პროფესიონალმა, სამუშაოს მოძიებისას;<br>• დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რესურსების | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | ეკონომიურ გამოყენებას;<br>• შეძენილი ცოდნის საფუძველზე შეუძლია ეკონომიკური სუბიექტების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ეფექტიანობისა და სამართლიანობის შეფასება;<br>• შეუძლია განსაზღვროს ეკონომიკური განვითარების მაღალი ხარისხის როლი დასახულ მიზანთა სისტემაში;<br>• შეუძლია შეაფასოს სტაბილური და ზრდადი ეკონომიკის მნიშვნელობა საზოგადოების მდგრადი განვითარებისთვის;<br>• აქვს ჩამოყალიბებული თვალსაზრისი ქვეყნის ეკონომიკასა და მისი სუბიექტების ცხოვრებაზე საერთაშორისო ვითარების გავლენის შესახებ;<br>• აქვს შეხედულებები საერთაშორისო ორგანიზაციების მნიშვნელობაზე;<br>• აქვს ჩამოყალიბებული ხედვა სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთმიმართების შესახებ;<br>• შეუძლია ეთიკური ნორმების დაკავშირება როგორც ცალკეული ფირმებისა და შინამეურნეობების, ისე ერთიანი ეროვნული ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირება–განვითარებასთან;<br>• მიღებული ცოდნის საფუძველზე შეუძლია განსაზღვროს განსხვავებული კულტურული ღირებულებების ზემოქმედება ეკონომიკურ განვითარებაზე;<br>• აქვს გარკვეული ხედვა შემოსავლების განაწილების უთანაბრობის სოციალური და პოლიტიკური შედეგების შესახებ;<br>• აქვს შეხედულებები პროფკავშირების და სხვა საზოგადოებრივი, პოლიტიკური, | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | რელიგიური ორგანიზაციების როლზე;<br>• შეუძლია თვითშეფასება. | | |
| **ბიზნესის ადმინისტრირება** | საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია ბიზნესის ადმინისტრირების მრავალმხრივი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების, სამეცნიერო კვლევისა და შემოქმედებითი მუშაობის უნარის მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომელთაც ექნებათ:<br>• ბიზნეს-ორგანიზაციების სტრატეგიების დაგეგმვის, ეფექტიანი მართვის, ორგანიზაციული დაპროექტების და სტრუქტურის განვითარების საკვანძო საკითხების ცოდნა და უნარ-ჩვევები;<br>• საბანკო საქმის, ფულად-საკრედიტო სისტემის, საჯარო და კორპორაციის ფინანსების თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები;<br>• ფინანსური აღრიცხვა-ანალიზისა და აუდიტის ღრმა თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები;<br>• საერთაშორისო ვაჭრობის, საერთაშორისო ბიზნესის მართვისა და | 1. ცოდნა და გაცნობიერება<br>ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს ექნებათ მრავალმხრივი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით. კერძოდ, კურსდამთავრებულს ეცოდინება:<br>1.1. მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები; ორგანიზაციის მართვის მეთოდები და პრინციპები; ორგანიზაციის მართვის თანამედროვე მიდგომები; სიტუაციის შესაბამისი მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების ტაქტიკა; მენეჯმენტის ცალკეული ფუნქციების რეალიზაციის ინსტრუმენტები;<br>1.2. ფირმის მართვის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა, რაც წინ უძღვის მარკეტინგული სტრატეგიების ჩამოყალიბებას; ძირითადი ტენდენციებისა და ძალების აღწერა, რომლებიც ურთიერთობათა ახალ ეპოქაში მარკეტინგულ პეიზაჟს ცვლიან; კულტურული, სოციალური, პოლიტიკური, სამართლებრივი, ბუნებრივი და ტექნოლოგიური ფაქტორების გამოკვეთა და | 120 | აკრედიტაციის გადაწყვეტილება<br>N 1<br>01.02.2012 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | რეგულირების, საერთაშორისო მენეჯმენტის, საერთაშორისო კონკურენციის მართვის თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები;<br>• ნებისმიერი სახის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოში მარკეტინგული სამსახურის ორგანიზებისა და წარმართვის უნარი;<br>• ბიზნესის მართვის სხვადასხვა დონეზე არსებული საინფორმაციო სისტემებისა და ტექნოლოგიების ტოპ-მენეჯერის ფუქციებისა და გადასაწყვეტი ამოცანების შესახებ ცოდნა და უნარ-ჩვევები;<br>• ბიზნესის სფეროში სამეცნიერო კვლევების დაგეგმვისა და დამოუკიდებლად წარმართვის უნარი. | ორგანიზაციის საქმიანობაზე მათი ზეგავლენის გაცნობიერება; მყიდველზე ორიენტირებული მარკეტინგული სტრატეგიის ჩამოყალიბება მყიდველთა კაპიტალის შექმნისა და მისი შემდგომი ზრდის გათვალისწინებით;<br>1.3. ფინანსური მენეჯმენტის თანამედროვე თეორია ფინანსური ინსტრუმენტების განსაზღვრისას და ასევე ფინანსურ რესურსების მოზიდვის მეთოდების შერჩევის დროს; კორპორაციის ფინანსური ანგარიშგების შედგენა და ანალიზის განხორციელების მეთოდები, ასევე ფინანსური განვითარების პროგნოზი; ფინანსური გადაწყვეტილებების რისკების, შემოსავლიანობის და ეფექტურობის შეფასება, მათ შორის გრძელვადიანი დაფინანსების სტრატეგიის განსაზღვრა; მოკლევადიანი და გრძელვადიანი ხასიათის ფინანსური გადაწყვეტილებების მომზადება; კაპიტალის მართვის და სადივიდენდო პოლიტიკის გამომუშავება;<br>1.4. ინფორმაციული რესურსების მართვაში ორგანიზაციის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები; მმართველობითი საქმიანობის ინფორმაციული უზრუნველყოფის სხვადასხვა ვარიანტების ეფექტიანობის შეფასება; ინფორმაციული უზრუნველყოფის სფეროში ორგანიზაციაში კვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნის, შერჩევისა და სწავლების პოლიტიკის განსაზღვრა; ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაზარზე | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | ორგანიზაციისათვის საჭირო პროგრამული და ტექნიკური საშუალებების შერჩევა; ინფორმაციული რესურსების კომპლექსური დაცვის საკითხები;<br>1.5. მმართველობითი აღრიცხვის მეთოდიკისა და მეთოდოლოგიის საკითხები; დანახარჯების აღრიცხვის ხერხების თავისებურებები; მმართველობითი აღრიცხვის კონკრეტული პრობლემების გადაჭრის გზები; მართვის ალტერნატიული ვარიანტები, ოპტიმალური ვარიანტის შერჩევა;<br>1.6. კავშირი გლობალიზაციასა და საერთაშორისო ბიზნეს შორის; მათი დადებითი და უარყოფითი ტენდენციები მსოფლიოში; ერებს შორის ეკონომიკური, სამართლებრივი, კულტურული, სოციალური დიფერენციაციის ზეგავლენა გლობალურ ბიზნესზე; რელიგიისა და კულტურის ზეგავლენა გლობალურ ბიზნესზე; გლობალური ბიზნესის ეთიკისა და სოციალური პასუხისმგებლობის საკითხები; გლობალური ვაჭრობის ეკონომიკური პოლიტიკა; რეგიონული ინტეგრაციის ზეგავლენა გლობალურ ბიზნესზე; უცხოურ ბაზარზე შესვლის სტრატეგიები; ადამიანურ რესურსების მენეჯმენტი გლობალურ ბიზნესში; გლობალური ბიზნესის სისტემის ჩამოყალიბების კანონზომიერებანი; საქმიან ურთიერთობათა სამართლებრივი ფორმები გლობალურ ბიზნესში; მარკეტინგისა და მენეჯმენტის როლი გლობალურ ბიზნესში; საქონლისა და მომსახურების წარმოების პროცესები; საფინანსო ინსტიტუტების როლი | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | გლობალურ ბიზნესში; გლობალური ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ფილოსოფიური საფუძვლები; გლობალური ბიზნესის დაწყების ორგანიზაცია; საგარეო ბაზრებზე შესვლის სტრატეგიები; გლობალური წარმოების პროცესი, წარმოების საწარმო და ოპერატიული მართვა; გლობალური ბიზნესის მატერიალური, ფინანსური და ადამიანური რესურსების მართვის პროცესი; სახელმწიფოს როლი გლობალური ბიზნესის რეგულირებაში.<br><br>2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს შეეძლებათ:<br>2.1. ამოცანების სწორად დასმა და მმართველობითი ინსტრუმენტების გამოყენებით ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღება; ორგანიზაციული სისტემის რაციონალური დაპროექტების მეთოდების შერჩევა; ორგანიზაციული ცვლილებებისა და განვითარების მართვა; მაღალეთიკური ხელმძღვანელობის სტილის შერჩევა და მენეჯერული უნარების გამოვლენა კორპორატიული კულტურის ფარგლებში; წამყვანი მენეჯერების საერთაშორისო გამოცდილებისა და გლობალური მენეჯმენტის თანამედროვე მიღწევების გამოყენება;<br>2.2. კომპანიის მართვისათვის მარკეტინგული კონცეფციების, მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენება; მიზნობრივი | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | ბაზრების შერჩევა და თითოეული ბაზრისათვის შესაბამისი მარკეტინგის კომპლექსის დაკავშირება; მარკეტინგული საქმიანობის (სტრატეგიის) ეფექტიანობის შეფასება თითოეული პროდუქტისა და ბაზრის დონეზე;<br>2.3. უახლესი მიდგომებისა და მეთოდების გამოყენებით ძირითად, საფინანსო და საინვესტიციო გადაწყვეტილებების მისაღებად კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება;<br>2.4. საინფორმაციო სისტემის მენეჯმენტის ამოცანების კლასიფიცირება და სამართავი ობიექტისთვის ინფორმატიზაციის სფეროში კადრების შერჩევა; საწარმოსთვის საჭირო ინფორმაციული რესურსების ოპერატიული და სტრატეგიული მართვის გეგმების მომზადება; ინფორმაციული რესურსების უსაფრთხოების ღონისძიებების შერჩვა; საინფორმაციო სისტემების შექმნის, დანერგვისა და ექსპლოატაციის ხარჯების კლასიფიცირება; ინფორმატიზაციის სფეროში ინოვაციური პროექტების განხორციელება და დემონსტრირება;<br>2.5. დანახარჯების აღრიცხვისა და კონტროლის კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი გზების ძიება; წარმოების სხვადასხვა ტიპის პირობებში პროდუქციის თვითღირებულების კალკულაციის (ანგარიშის) შედგენა; გაუთვალისწინებელ პირობებში დანახარჯების ეფექტიანი მართვის გზების ძიება; დანახარჯების მართვის კონკრეტულ საკითხებზე საკუთარი თვალსაზრისის | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | ჩამოყალიბებისა და ინტერპრეტაციების უნარი;<br>2.6. გლობალური ბიზნესის სფეროში მონაწილე სუბიექტების ტექნიკური, ორგანიზაციული და ეკონომიკური ხასიათის პრობლემების კვალიფიციური ანალიზისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი; გლობალური ბიზნესის მსოფლიო კანონზომიერებათა ათვისების, მათი გენერაციისა და საქართველოს რეალობაში გამოყენების უნარი; გლობალიზაციის პროცესის ეკონომიკური ანალიზისა უნარი და გადაწყვეტილების მიღების უნარი; გლობალური ბიზნესის წარმოებაში კულტურული თავისებურებების როლის შეფასების უნარი; რეგიონული ინტეგრაციული პრობლემების კრიტიკული ანალიზისა და შეფასების უნარი; გლობალური ადამიანური რესურსების საკითხების ანალიზის და მართვისას შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების უნარი; საგარეო გაცვლითი ბაზრისა და საერთაშორისო მონეტარული სისტემის გაანალიზების უნარი; გლობალური წარმოების და ლოჯისტიკის დახასიათების და მართვისას გადაწყვეტილების მიღების უნარი; გლობალური ბიზნესის სტრატეგიების დადგენის უნარი.<br><br>3. დასკვნის უნარი<br>ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს შეეძლებათ: | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 3.1. აბსტრაქტული აზროვნება, სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოპოვება, დალაგება, კრიტიკული ანალიზი და სინთეზი;<br>3.2. ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების სწორი დიაგნოსტირება;<br>3.3. ბიზნესის სფეროში არსებული ძირითადი პრობლემების იდენტიფიკაცია, გამოცალკევება და ერთმანეთთან შედარება.<br>3.4. შედეგების ფორმულირება და დასკვნების გამოტანა;<br>3.5. არგუმენტირებული და სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღება და დაცვა;<br>3.6. განსახორციელებელი ღონისძიებების ორგანიზება;<br>3.7. სტრატეგიული გადაწყვეტილების კრიტიკული შეფასება; პრობლემების გადაჭრა და ალტერნატივების შეთავაზება.<br><br>4. კომუნიკაციის უნარი<br>ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს შეეძლებათ:<br>4.1. იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება;<br>4.2. საკითხის ჩამოყალიბება და მისი წარდგენა როგორც წერილობით, ასევე ზეპირად;<br>4.3. რეფერატული სახის ნაშრომის მომზადება და მისი პრეზენტაცია;<br>4.4. თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების თავისუფლად გამოყენება; | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 4.5. საკუთარი მოსაზრებების გამოხატვა და დაცვა; ჯგუფში მუშაობა და ჯგუფური გადაწყვეტილებების შემუშავებაში მონაწილეობა.<br><br>5. სწავლის უნარი<br>ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულები შეეძლება:<br>5.1. სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა;<br>5.2. სწავლის პროცესის გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვა;<br>5.3. ცოდნის რეგულარულად განახლება დარგობრივი ლიტერატურის კითხვით;<br>5.4. სწავლის პროცესის თავისებურებათა ათვისება, მათი გაცნობიერება, დამოუკიდებელი დაგეგმვა.<br><br>6. ღირებულებები<br>ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს შეეძლება:<br>6.1. ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დამკვიდრებაში წვლილის შეტანა აკადემიური პატიოსნებისა და პროფესიული ეთიკის სტანდარტების გათვალისწინებით;<br>6.2. ეთიკური, სოციალური და სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაცნობიერება;<br>6.3. ღირებულებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება. | | |
| **ეკონომიკა** | * მაღალკვალიფიციური | **ცოდნა:** | 120 | აკრედიტაციის |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **(ეკონომიკის საერთაშორი სო სკოლის ინგლისურენ ოვანი სამაგისტრო პროგრამა)** | ეკონომისტების აღზრდა, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან ეკონომიკის თანამედროვ თეორიისა და პრაქტიკის ცოდნით;<br>* ეკონომიკური განათლებისა და სამეცნიერო კვლევების საერთაშორისო სტანდარტების დონეზე წარმართვა სახელმწიფო და კერძო სექტორების ინტერესების შესაბამისად;<br>* ეკონომიკის სწავლებისადმი ახალი მიდგომების ჩამოყალიბება სამხრეთი კავკასიის რეგიონში;<br>* სწავლებისა და ეკონომიკური კვლევის ინოვაციური მეთოდების დანერგვა სამხრეთი კავკასიის რეგიონში;<br>* ახალი ეკონომიკური აზროვნების ჩამოყალიბების ხელშეწყობა სამხრეთი კავკასიის ქვეყნებში. | 1.1. მიკრო და მაკრო ეკონომიკის, გარდამავალი ქვეყნების ეკონომიკის, ეკონომიკური გეოგრაფიის, ბუნებრივი რესურსების გეოგრაფიის, ენერგეტიკის ეკონომიკის, შრომის ეკონომიკის, მონეტარული და პოლიტიკური ეკონომიკის, რეგიონალური ინტეგრაციისა და საერთაშორისო ვაჭრობის თანამედროვე პრინციპების, თანამედროვე ეკონომიკური თეორიებისა და მეთოდების სიღრმისეული ცოდნა;<br>1.2. ეკონომიკის განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემების გამოკვეთა და მკაფიოდ ჩამოყალიბება;<br>1.3. ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის გზების ძიება;<br>1.4. ეკონომიკური პრობლემების შეფასების კრიტერიუმების შერჩევა;<br>1.5. ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის გზების ალტერნატივების განსაზღვრა და მათგან ოპტიმალურის შერჩევა;<br>1.6. ეკონომიკის ღრმა და სისტემური ცოდნა.<br><br>**გაცნობიერება:**<br>სტუდენტები იძენენ ღრმა, სისტემურ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რომელიც მათ მისცემს საშუალებას მოახდინონ:<br>2.1 სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის შეფასება;<br>2.2 გადაწყვეტილებების მიღება სხვადასხვა რესურსის ოპტიმალურ გამოყენებასთან დაკავშირებით;<br>2.3 საერთაშორისო და განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების | | გადაწყვეტილება<br><br>N 14<br><br>16.09.2011 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | გამოცდილების შეფასება, მათი დადებითი და უარყოფითი მხარეების განხილვა და ქართულ რეალობასთან მათი მისადაგება;<br>2.4 სახელმწიფოს როლის გაცნობიერება ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის საქმეში, იმ პრობლემების დაძლევაში, რომელიც ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას უშლის ხელს;<br>2.5 საკუთარი თვალსაზრისის დასაბუთებულად წარმოდგენა ფაქტობრივი ინფორმაციის ანალიზზე დაყრდნობით და ობიექტური არგუმენტების მოტანით;<br>2.6 სერიოზული სირთულის ეკონომიკური ტექსტების თარგმნა და გაანალიზება;<br>2.7 თეორიული ვარაუდების შედარებითი ანალიზი და ამგვარი ანალიზის შედეგების მკაფიოდ ჩამოყალიბება;<br>2.8 ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების უნარი, ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზების გაცნობიერება.<br><br>**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:**<br>3.1 ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღება;<br>3.2 თეორიული კონცეფციებისა და მიდგომების გამოყენება;<br>3.3 პრაქტიკული პრობლემების მულტიდისციპლინური მიდგომებით გადაჭრა;<br>3.4 ახალი მიდომების ფორმირება;<br>3.5 ეკონომიკის სხვადასხვა დარგში კვლევების ჩატარება;<br>3.6 უახლესი მიდგომების, მეთოდებისა და შესაბამისი კომპიუტერული პროგრამების | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | გამოყენებით მონაცემთა გაანალიზება და დასკვნების გამოტანა;<br>3.7 მათემატიკური მიდგომების გამოყენება რეალური სიტუაციების მოდელირების, ექსპერიმენტირებისა და კვლევის გზით;<br>3.8 პარალელურად მოქმედი ფაქტორების ურთიერთდაკავშირება, მათი მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გაანალიზება და შეფასება;<br>3.9 ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედების უნარი. კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიებისა და კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.<br><br>**დასკვნის უნარი:**<br>სწავლის დროს მიღებული და განვითარებული ანალიტიკური უნარები სტუდენტებს საშუალებას მისცემს:<br>* ჩაატარონ პრობლემების სიღრმისეული ანალიზი რეალურ სიტუაციებში მოქმედი მრავლობითი ფაქტორის გათვალისწინებით;<br>* გამოიყენონ მულტიდისციპლინური მიდგომები სწორი დასკვნების გაკეთების მიზნით;<br>*გამოაცალკევონ კონკრეტულ სიტუაციაში მოქმედი ფაქტორები, დაალაგონ და მოახდინონ მათი კატეგორიზაცია;<br>*ერთმანეთისაგან გამოყონ ძირითადი და მეორეხარისხოვანი, მოახდინონ არსებული მიდგომების კრიტიკა და გამოიტანონ | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | დასაბუთებული დასკვნები;<br>*გამოავლინონ რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი.<br><br>**კომუნიკაციის უნარი:**<br>*საერთაშორისო გარემოში მუშაობის უნარი და შესაბამისი გამოცდილების მიღება;<br>*ეკონომიკის დარგში უახლესი ინფორმაციის მიღების და გაცვლის გამოცდილება წამყვანი ელექტრონული ბიბლიოთეკებისა და კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებით;<br>*სამხრეთ კავკასიის რეგიონის სტუდენტებთან, დარგის სპეციალისტებთან, ევროპელ/ამერიკელ პროფესორებთან და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ურთიერთობის გამოცდილება;<br>*მშობლიურ და უცხო ენაზე პროფესიული პრეზენტაციების წარმართვა;<br>*დისკუსიების წარმოება, აზრის ზეპირად და წერილობით მკაფიოდ და მწყობრად გამოხატვა;<br>*საკუთარი შეხედულებების მკაფიოდ ჩამოყალიბება, გასაგებად გამოხატვა და არგუმენტირებული კამათის უნარი;<br>*საკუთარი დასკვნების აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით ჩამოყალიბების უნარი. | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **სწავლის უნარი:**<br>* სამაგისტრო პროგრამაში სასწავლო მასალებისა და ლიტერატურის ხელმისაწვდომობა სტუდენტს უყალიბებს უნარს გააცნობიეროს სწავლის პროცესის თავისებურებები;<br>* სტრატეგიულად დაგეგმოს და წარმართოს სწავლის პროცესი;<br>* შეეჩვიოს როგორც დამოუკიდებელ, ისე გუნდურ მუშაობას;<br>* შეიძინოს საკუთარ თავზე მუშაობის, ცოდნის მუდმივად განახლების, დიდი მოცულობის ინფორმაციასთან მუშაობისა და დროითი შეზღუდვების პირობებში მუშაობისათვის საჭირო უნარები;<br>*აქცენტი ეკონომიკაში რთული მათემატიკური მიდგომების გამოყენებისა და უახლესი თეორიების გაცნობაზე იწვევს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის ამაღლებას სადოქტორო პროგრამების აბიტურიენტთა შორის და ზრდის დასავლეთის წამყვანი უნივერსიტეტების სადოქტორო პროგრამებში მათი წარმატებით ჩართვის შესაძლებლობას;<br>*სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის, მისი თავისებურებების გაცნობიერებისა და სტრატეგიულად დაგეგმვის განვითარებული უნარი.<br><br>**ღირებულებები:**<br>*თანამედროვე დასავლური ღირებულებებისადმი ერთგულება, მათი | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | ქართულ რეალობაში დამკვიდრების სურვილი და მზაობა;<br>*სკოლის რეგიონალური ხასიათი და პროფესურა სხვადასხვა ქვეყნიდან სტუდენტებში აყალიბებს შემწყნარებლობისა და ტოლერანტობის გრძნობებს სხვა ეროვნების, მრწამსისა და ტრადიციების წარმომადგენელთა მიმართ;<br>*მაღალი ღირებულებებისადმი საკუთარი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანის უნარი და სურვილი. | | |
| **საერთაშორისო საწარმოთა მართვა** | ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის მიზანია ბიზნესის ადმინისტრირების თეორიული ცოდნის, სამეცნიერო კვლევისა და შემოქმედებითი მუშაობის უნარების მქონე ევროპული და მსოფლიო დონის კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება. | 1.დარგობრივი კომპეტენციები:<br>1.1.ცოდნა და გაცნობიერება - სწავლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულებს ექნებათ ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს, კერძოდ, საერთაშორისო კომპანიების მართვის მეთოდების ღრმა და სისტემური ცოდნა, გაცნობიერებული ექნებათ პრობლემების გადაჭრის გზები<br><br>1.2.ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება კურსდამთავრებულები შეძლებენ მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას, რაც გულისხმობს:<br>• ორგანიზაციების ფინანსური და | 120 | აკრედიტაციის გადაწყვეტილება<br><br>N 15<br><br>16.09.2011 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზს;<br>• განსახორციელებელ ღონისძიებათა დაგეგმვასა და კონტროლს;<br>• მოკლევადიანი და გრძელვადიანი საფინანსო გადაწყვეტილების მიღებას;<br>• ბაზრის მარკეტინგულ კვლევას და საბაზრო რისკების შეფასებას;<br>• კომპანიებში თანამდროვე კომპუტერული პროგრამების, როგორიცაა ERP-სისტემების ეფექტურად გამოყენებასდა მათ მორგებას კომპანიისთვის სპეციფიკური რესურსების დაგეგმვისა და კონტროლის თავისებურებებზე;<br>• კომპანიის გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება, ამ სტრატეგიის მაკროეკონომიკურ პარამეტრებზე დაყრდნობით და გლობალური ეკონომიკის დინამიკის გათვალისწინებით;<br>• ინტერდისციპლინარული პროექტების მართვა; პროექტის მიზნების ჩამოყალიბება და მათი გარდასახვა სამუშაო პაკეტებში;<br>• პროექტ-ჯგუფის მართვა: მოდერირება, მოტივაცია და კონტროლი.<br><br>1.3.დასკვნის უნარი<br>კურსდამთავრებულები გამოიმუშავებენ მიღებული ინფორმაციის (მათშორის უახლესი კვლევების) დამუშავების და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ორგანიზაციის პოტენციალის შეფასებისა და ბიზნესის ეფექტიანი სტრატეგიების შემუშავების, დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების, ბიზნესის მართვის სფეროში მეცნიერული კვლევის ჩატარების უნარს. | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 1.4.კომუნიკაციის უნარი<br>კურსდამთავრებულები გამოიმუშავებენ საერთაშორისო ბიზნეს–პარტნიორებთან კომუნიკაციის ჩვევებს; კრიტიკულ სიტუაციებში კურსდამთავრებულები შეძლებენ გუნდში  საერთო გადაწყვეტილების მიღებისას პროცესის მოდერირებას.<br>1.5.სწავლის უნარი - საერთაშორისო სამეწარმეო ურთიერთობების შესწავლით, სხვადასხვა ინფორმაციული წყაროების მოძიებითა და გამოყენებით კურსდამთავრებულები  შეძლებენგააღრმავონ და გააფართოვონ საკუთარი ინტერესის სფეროები.<br><br>1.6.ღირებულებები – კურსდამთავრებულები აცნობიერებენ ბიზნეს–ერთეულების მორალურ და სოციალურ პასუხისმგებლობას; საერთაშორისო ბაზრებზე ეთიკური ქცევის ზოგად ნორმებს.<br><br>2.ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენციები:<br>2.1.ცოდნა და გაცნობიერება – კურსდამთავრებულებები აცნობიერებენ ბიზნესის  ადმინისტრირების პრინციპების და თეორიების მნიშვნელობას საერთაშორისო მენეჯმენტის სფეროში მომუშავე მმართველ სპეციალისტთა ჩამოყალიბების  პროცესში.<br><br>2.2.ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება – კურსდამთავრებულები შეძლებენ მმართველობითი ხასიათის ოპერაციების | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | განხორციელებას წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.<br><br>2.3.დასკვნის უნარი – პირველად და მეორად ინფორმაციულ წყაროებზე დაყრდნობით კურსდამთავრებულებს შეეძლებათ მონაცემთა ლოგიკური განზოგადება, შესაბამისი დასკვნების გამოტანა და მათი პრეზენტირება.<br><br>2.4.კომუნიკაციის უნარი - კურსდამთავრებულებს გამოუმუშავდებათ საერთაშორისო საწარმოს მრავალეროვნულ გარემოში კომუნიკაციის უნარი.<br><br>2.5.სწავლის უნარი - კურსდამთავრებულებს შეეძლებათსაკუთარი სწავლის პროცესის მართვა რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით;საკუთარი ცოდნის შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროებების განსაზღვრა.<br><br>2.6.ღირებულებები – კურსდამთავრებულები აცნობიერებენ საერთაშორისო ბიზნეს–ეთიკის ღირებულებების ფასეულობას და მათი დამკვიდრების მნიშვნელობას საზოგადოებრივ ურთიერთობებში. | | |
| **ტურიზმი** | საგანმანათლებლო პროგრამა | სწავლის შედეგი: ტურიზმის სამაგისტრო | 120 | აკრედიტაციის |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **(ტურიზმის განვითარების ინსტიტუტის სამაგისტრო პროგრამა)** | წარმოადგენს ტურიზმის სფეროში მაგისტრების მომზადებისა და უმაღლესი დონის მენეჯერული კომპეტენციების განვითარება–გაღრმავებაზე ორიენტირებულ პროგრამას. მისი მიზანია ქვეყნის განვითარების პრიორიტეტად აღიარებული ტურიზმის დინამიური და მზარდი ინდუსტრიის შრომის ბაზარის მოთხოვნების შესაბამისი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ–ჩვევების, სამეცნიერო კვლევებისა და შემოქმედებითი მუშაობის უნარის მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომელთაც ექნებათ: (1) ტურისტული ორგანიზაციების სტრატეგიული დაგეგმვის, ეფექტიანი მართვის, ორგანიზებული დაპროექტებისა და სტრუქტურული განვითარების საკვანძო საკითხების ცოდნა და შესაბამისი უნარ–ჩვევევბი; (2) ტურიზმის მაღალი დონის მენეჯერების ფუნქციებისა და გადასაწყვეტი ამოცანების თაობაზე ცოდნა და უნარ–ჩვევები; (3) ტურიზმის მართვის სხვადასხვა დონეზე არსებული საინფორმაციო სისტემებისა და ტექნოლოგიების ცოდნა და სარგებლობის უნარ–ჩვევები; (4) ნებისმიერი სახის ტურისტულ ორგანიზაციაში მარკეტინგული სამსახურის ორგანიზებისა და | პროგრამით განსაზღვრულია შემდეგი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები:<br>1. ცოდნა და გაცნობიერება:<br>ზოგადი კომპეტენცია:<br>1.1. გააჩნია მომსახურების მენეჯმენტის, თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და სისტემების მართვის, მყიდველზე ორიენტირებული მარკეტინგული სტრატეგიის ჩამოყალიბების ცოდნა; გუნდის შექმნის პრინციპებისა და ჯგუფში ლიდერობის მიღწევის ცოდნა;<br>დარგობრივი კომპეტენცია:<br>1.2. გააჩნია ტურიზმისა და მასპინძლობის დარგის ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც ემყარება ტურიზმისა და მასპინძლობის გარემოსა და მართვის უახლეს თეორიებს, კონცეფციებსა და მიდგომებს;<br>1.3. გააჩნია ტურიზმისა და საერთაშორისო მასპინძლობის ინდუსტრიის თითოეული სექტორის სტრუქტურული მახასიათებლების, პროდუქტისა და ოპერირების ცოდნა; ტურიზმის კრეატიული განვითარების, ტურიზმის ეკონომიკური სარგებლისა და ხარჯების გამოთვლის, მომხმარებლის ქცევის, ტურიზმში ფასწარმოქმნისა და დისტრიბუციის, ტურისტული დანიშნულების ადგილების მენეჯმენტის სპეციფიკის, ტურიზმში მეცნიერული კვლევის დიზაინისა და წარმართვის, მასპინძლობის სისტემებისა და პოლიტიკის ანალიზის ცოდნა, რაც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას;<br>1.4. აცნობიერებს ცალკეული პრობლემის | | გადაწყვეტილება<br><br>N103<br><br>29.08.2013 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | წარმართვის უნარი; (5) ტურიზმის სისტემების ამომწურავი ცოდნა და ტურიზმის პოლიტიკის ანალიზის უნარი; (6) ტურიზმის სფეროში სამეცნიერო კვლევების დაგეგმვისა და დამოუკიდებლად წარმართვის უნარი; (7) ლიდერული უნარ–ჩვევები და სხვ.რიოდში. | გადაჭრის გზებს.<br><br>2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:<br>ზოგადი კომპეტენცია:<br>2.1. გააჩნია კვლევის პროცესის გააზრების, დაგეგმვის, განხორციელებისა და ადაპტირების, კვლევის შედეგების ანალიზისა და შეფასების უნარი;<br>2.2. შეუძლია ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა;<br>დარგობრივი კომპეტენცია:<br>2.3. შეუძლია გამოიყენოს ტურიზმისა და მასპინძლობის სფეროს სპეციფიკისთვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეარჩიოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები და ინსტრუმენტები; აქვს ტურიზმის განვითარების საკითხისადმი შემოქმედებითი მიდგომის უნარი;<br>2.4. შეუძლია ოპერირება ტურიზმის მულტიდისციპლინურ და გაუთვალისწინებელ გარემოში; გააჩნია წამოჭრილი კომპლექსური საკითხების შემოქმედებითი მოგვარების უნარი; შეუძლია გამოავლინოს ინიციატივა და პერსონალური პასუხისმგებლობა პროფესიულ პრაქტიკაში; შეუძლია უნარ–ჩვევების ადაპტირება, ათვისება ან შემუშავება და სხვ.<br><br>3. დასკვნის უნარი<br>ზოგადი კომპეტენცია:<br>3.1. შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | წარმოქმნილი ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და კრიტიკული ანალიზი, რითაც ხდება ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარების ხელშეწყობა;<br>დარგობრივი კომპეტენცია:<br>3.2. შეუძლია პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტიანი გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება; შეუძლია ტურიზმის გლობალურ, რეგიონულ და ადგილობრივ ბაზრებზე მიმდინარე მოვლენების ანალიზი და მათი შესაძლო გავლენის განსაზღვრა ფირმის, ტურისტული დანიშნულების ადგილისა და სახელმწიფოს საქმიანობაზე.<br><br>4. კომუნიკაციის უნარი<br>ზოგადი კომპეტენცია:<br>4.1. შეუძლია ეფექტიანად იმუშაოს ჯგუფში, იყოს ლიდერი;<br>დარგობრივი კომპეტენცია:<br>4.2. შეუძლია ტურიზმისა და მასპინძლობის კვლევის მეთოდებზე კომუნიკაცია კოლეგებთან, მეცნიერთა ფართო წრეებთან და ზოგადად საზოგადოებასთან;<br>4.3. შეუძლია აწარმოოს მოლაპარაკებები და მოაგვაროს კონფლიქტები; შეუძლია ეფექტიანად იყენებდეს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს; | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 4.4. შეუძლია ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა მშობლიურ და ინგლისურ ენებზე.<br><br>5. სწავლის უნარი<br>ზოგადი კომპეტენცია:<br>5.1. შეუძლია საკუთარი ცოდნის შეფასება და შემდგომი სწავლისა და პრაქტიკის საჭიროების განსაზღვრა;<br>დარგობრივი კომპეტენცია:<br>5.2. გააჩნია დამოუკიდებლად სწავლის უნარი შემდგომი პროფესიული განვითარების მიზნით, აქვს სხვების პროფესიონალიზმის გამოყენების უნარი, სადაც ეს შესაძლებელი და მისაღებია;<br>5.3. გააჩნია დარგის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე ახალი იდეების ან პროცესების განვითარებისათვის მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის კვლევის პროცესში.<br><br>6. ღირებულებები<br>ზოგადი კომპეტენცია:<br>6.1. შეუძლია ახალი და კომპლექსური იდეების შეფასება, სინთეზი და კრიტიკული ანალიზი, ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა;<br>დარგობრივი კომპეტენცია:<br>6.2. შეუძლია ტურიზმისა და მასპინძლობის სფეროში ღირებულებათა დასამკვიდრებლად | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | ინოვაციური მეთოდების შემუშავება;<br>6.3. შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებდეს პროფესიული საქმიანობისთვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად. | | |
| **საზოგადოებ რივი ჯანდაცვა** | პროგრამის მიზანია მაგისტრანტები საფუძვლიანად დაეუფლონ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ბაზისურ თეორიულ, მეთოდოლოგიურ და კვლევით პრინციპებს; გაეცნონ საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრაქტიკასთან დაკავშირებულ პროფესიულ და კონტექსტუალურ საკითხებს; შეიძინონ ცოდნა ჯანდაცვის ადმინისტრირების, ორგანიზაციისა და მენეჯმენტის ფუნდამენტურ საკითხებში. | პროგრამის ღრმა და საფუძვლიანი სწავლების შედეგად მაგისტრანტს განუვითარდება: საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხების თაობაზე მიღებული ინფორმაციის გააზრების, ლოგიკური მსჯელობის და ანალიტიკური აზროვნების უნარი, ასევე კვლევების ჩატარების პრაქტიკული უნარ-ჩვევები | 120 | აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება<br>N 94<br>17.10.2011 |
| **სამართალი** | სამაგისტრო პროგრამის მიზანია ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის მომზადება, მისი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. ტრადიციული და ინოვაციური მეთოდების გამოყენებით, შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისი, მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი და დამოუკიდებელი კვლევის უნარის მქონე კადრების მომზადება. | ცოდნა და გაცნობიერება<br>აქვს საჯარო, კერძო ან/და სისხლის სამართლის მიმართულებით ღრმა და სისტემური თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები, რაც აძლევს დასმული კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახლებური ხედვის ფორმირების შესაძლებლობას. გაცნობიერებული აქვს შესაბამისი სფეროსათვის მიკუთვნებული საკითხების გადაჭრის გზები.<br>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი<br>შესწევს უნარი სამართლის მაგისტრატურის | 120 | აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება<br>N 55<br>23.09.2011 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | პროგრამის ფარგლებში მიღებული ინფორმაცია და უნარები შეუსაბამოს პრაქტიკულ სიტუაციას; განმარტების მეთოდების გამოყენებით შეუძლია კომპლექსური პრობლემების შეფასება და პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგნალური გზების შემუშავება. შეუძლია უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება.<br>დასკვნის უნარი<br>ახლებური საკანონმდებლო მოწესრიგების, სასამართლო პრაქტიკისა და/ან მეცნიერული მიდგომების პირობებში შეუძლია ცვლილების კრიტიკული ანალიზი და გამომდინარე დასკვნის ჩამოყალიბება.<br>კომუნიკაციის უნარი<br>შეუძლია აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით, აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას წერილობითი და ზეპირი ფორმით მშობლიურ და უცხოურ ენაზე გადასცეს საკუთარი სამართლებრივი დასკვნები და არგუმენტები.<br>სწავლის უნარი<br>შეუძლია დამოუკიდებლად განსაზღვროს თეორიული კომპონენტებისა და პრაქტიკული გამოცდილების სინთეზი; სამართლის სფეროს უახლეს მეთოდებზე დაყრდნობით, ნორმატიული ბაზის, სამეცნიერო სატატიებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების განზოგადებული ანალიზის მეშვეობით, | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | სწავლის დამოუკიდებლად დაგეგმვა და წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება.<br>ღირებულებები<br>შეუძლია მხარეთა ინტერესების სამართლიანად დაბალანსების უზრუნველსაყოფად არსებული სამართლებრივი ღირებულებების გაანალიზება; ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულებების შეფასება; საჭიროების შემთხვევაში წვლილი შეაქვს ახალი ღირებულებების ფორმირებაში. | | |
| **საერთაშორისო სამართალი** | სამაგისტრო პროგრამის მიზანია ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის მომზადება, მაგისტრანტისთვის პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავება და, ამავე დროს, დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევისათვის საჭირო უნარების განვითარების ხელშეწყობა. კურსდამთავრებულის აღჭურვა როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო სამართლებრივი სივრცის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციით. სამაგისტო პროგრამა ამზადებს კურსდამთავრებულს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მთავრობის კანცელარიაში, საგარეო საქმეთა, იუსტიციის, შინაგან საქმეთა სამინისტროებში არსებულ საერთაშორისო და საგარეო | ცოდნა და გაცნობიერება<br>აქვს საერთაშორისო სამართლის ღრმა და სისტემური თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები, რაც აძლევს დასმული კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახლებური ხედვის ფორმირების შესაძლებლობას. გაცნობიერებული აქვს შესაბამისი სფეროსათვის მიკუთვნებული საკითხების გადაჭრის გზები. კურსდამთავრებულმა იცის: ხალხთა თვითგამორკვევისა და სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპების თანაფარდობა; საერთაშორისო სისხლის სამართლის აქტუალური თეორიული პრობლემები და მართლმსაჯულების პრაქტიკა; სახელმწიფოს, როგორც საერთაშორისო სამართლის ძირითადი სუბიექტის როლი და ადგილი სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ შექმნილი საერთაშორისო მართლწესრიგის დაცვასა და განმტკიცებაში; მიგრაციის | 120 | აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება<br>N 56<br>23.09.2011 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ერთეულებში, საქართველოს შიდა და საზღვარგარეტული ორგანოების აქტიურ საერთაშორისოსამართლებრივ უზრუნველყოფაში მონაწილეობისათვის და ამავე დროს გამოუმუშავებს მას სადოქტორო პროგრამისათვის აუცილებელ სამეცნიერო კვლევის უნარს.<br>ამავე დროს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლება სახელმწიფო სასერთიფიკატო გამოცდის ჩაბარება რომელიც სავალდებულოა იუსტიციის უმაღლეს სკოლოაში მისაღებად, ასევე ადვოკატისა და პროკურორის თანამდებობის დასაკავებლად.<br>ცალკეული პროფესიისათვის შესაძლებელია კანონმდებლობით ან შესაბამისი პროფესიული გაერთიანების მიერ გათვალისწინებული იყოს პროფესიის დაუფლებისათვის დამატებითი წინაპირობები. | აქტუალური პრობლემები და ევროკავშირის სტანდარტები; კავკასიის სახელმწიფოების შედარებითი პოლიტიკა; საერთაშორისო სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პრაქტიკა; საერთაშორისო სტანდარტები ადამიანით ვაჭრობასა და ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის სფეროში; საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმები; საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის თანაფარდობა; ძალის გამოყენების პრობლემა თანამედროვე საერთაშორისო სამართალში; საზღვაო სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი (თეორია და პრაქტიკა); გადაწყვეტილების მიღება საგარეო პოლიტიკაში და მათი სამართლებრივი საფუძვლები.<br>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი<br>შესწევს უნარი საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში მიღებული ინფორმაცია და უნარები შეუსაბამოს პრაქტიკულ სიტუაციას; განმარტების მეთოდების გამოყენებით შეუძლია კომპლექსური საერთაშორისო სამართლებრივი პრობლემების შეფასება და მათი გადაწყვეტის ახალი, ორიგნალური გზების შემუშავება. შეუძლია უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება.<br>დასკვნის უნარი<br>ახლებური საერთაშორისო სამართლებრივი გამოწვევების საერთაშორისო სასამართლო | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | პრაქტიკისა და/ან მეცნიერული მიდგომების პირობებში შეუძლია ცვლილების  კრიტიკული ანალიზი და გამომდინარე  დასკვნის ჩამოყალიბება.<br>კომუნიკაციის უნარი<br>შეუძლია აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო  ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით, აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას  წერილობითი და ზეპირი ფორმით მშობლიურ და უცხოურ ენაზე გადასცეს საკუთარი  სამართლებრივი დასკვნები და არგუმენტები;<br>სწავლის უნარი<br>შეუძლია დამოუკიდებლად განსაზღვროს თეორიული კომპონენტებისა და პრაქტიკული გამოცდილების სინთეზი; სამართლის სფეროს უახლეს მეთოდებზე დაყრდნობით, ნორმატიული ბაზის, სამეცნიერო სატატიებისა და საერთაშორისო ასპარეზზე ახალი გამოწვევების საერთაშორისო სამართლებრივი ანალიზის, შემოქმედებითი განზოგადება, შესასწავლი პრობლემების დამოუკიდებლად დაგემვა და წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება.<br>ღირებულებები<br>შეუძლია მხარეთა ინტერესების სამართლიანად დაბალანსების უზრუნველსაყოფად,  არსებულ საერთაშორისო ურთიერთობებში თანამედროვე ზოგადდემოკრატიული საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების და  მათი ღირებულებების | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | გაანალიზება; ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულებების შეფასება; საჭიროების შემთხვევაში წვლილი შეაქვს ახალი ღირებულებების ფორმირებაში. | | |

| | | |
|---|---|---|
| ანოტაციის შევსების თარიღი | 10.02.2014 | რექტორი |

შენიშვნა: